www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 14 ოქტომბერი, 2003 წელი. №271 (483)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### „ჩუბაისმა იყიდა საქართველო, ჩამოვიდა და იყიდა„

"არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში სამთავრობო ბლოკმა ბარიერი ვერ უნდა გადალახოს; თუმცა, ყველა აღიარებს, რომ ბლოკი მაინც გაიმარჯვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდება..."

A2

## ეკონომიკა

### წელს საქართველოს ენერგოსისტემა მთლიანად რუსულ ელექტროენერგიაზე იქნება დამოკიდებული

საქართველოში თითქმის უპრეცედენტო სიტუაციაა შექმნილი – საქართველოს ენერგობაზარზე მოთამაშე ორი მთავარი სუბიექტი: "თელასი"-ს ახალი მფლობელი და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებას ერთმანეთს "ასწრებენ".

A4

## უცხოეთი

### ჰომოსექსუალისტმა ეპისკოპოსმა ანგლიკანურ ერთობას საფრთხე შეუქმნა

ანგლიკანური ეკლესიის ხელმძღვანელობამ ლონდონში საგანგებო შეხვედრა მოიწვია, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოთა ანგლიკანური ეკლესიის მეთაურებმა უნდა გადაწყვიტონ ერთი საკითხი: შესაძლებელია თუ არა ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსი იყოს ჰომოსექსუალისტი.

A5

### რუსეთმა ირანში ატომური ელექტროსადგურის გაშვება გადადო

გუშინ მოსკოვმა განაცხადა, რომ ბუშერის ატომური ელექტროსადგურის გაშვება 2005 წლისათვის ველარ მოესწრება და იქვე დასძინა, რომ გადადება ტექნიკური პრობლემებითაა გამოწვეული და არა აშშ-ს მხრიდან ზეწოლით.

A5

## სამართალი

### აფეთქება შროშის ქუჩაზე

გუშინ, გამთენიისას, შროშის ქუჩაზე, ცნობილი პროდიუსერის ნატო დუმბაძის კუთვნილი ავტომანქანა აფეთქდა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | ☼ |
| ქუთაისი | 24 | ☼ |
| ბათუმი | 22 | ☁ |
| სოხუმი | 22 | ☼ |
| ფოთი | 22 | ☼ |
| თელავი | 22 | ☼ |
| ზუგდიდი | 23 | ☼ |
| გორი | 22 | ☼ |
| ახმეტა | 22 | ☼ |
| ჭიათურა | 22 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1025 |
| ევრო | 2.4864 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4990 |
| რუბლი | 0.0692 |

# მიმართვა, რომელიც დემოკრატიულ ქვეყანაში არასდროს დაიწერებოდა

მას შემდეგ, რაც საოლქო საარჩევნო კომისიებთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა სკანდალმა პიკს მიაღწია, "ახალმა მემარჯვენეებმა" და არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილმა გადაწყვიტეს, ოფიციალურად, საჯაროდ მიემართათ საარჩევნო კომისიების წევრებისათვის და კიდევ ერთხელ შეეხსენებინათ მათთვის ორი ნოემბრის არჩევნების მნიშვნელობა.

ოპოზიციონერთა და მესამე სექტორის წარმომადგენლთა ასეთი გადაწყვეტილება იმით არის განპირობებული, რომ, მათი მტკიცებით, ადგილებზე საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელები, ყოველგვარი მიზეზების გარეშე და იურიდიული ნორმების სრული იგნორირებით, რეგისტრაციიდან ხსნიან ხელისუფლებისათვის არასასურველ მაჟორიტარ კანდიდატებს. ასე იყო ტყიბულში, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიის დიდი მეცადინეობით, რეგისტრაციიდან მოიხსნა ყველა კანდიდატი, გარდა ბონდო შალიკიანისა, რომელსაც მხარს ხელისუფლება უჭერს.

გაგრძელება A2 გვერდზე



"მემარჯვენეებმა" და არასამთავრობოებმა საარჩევნო კომისიას მიმართეს.

## 150 000 ხმა რუსეთიდან

**"არჩევნების გაყალბების მიზნით, თბილისს, ბათუმსა და მოსკოვს შორის ხელისუფლებამ სამკუთხედი შექმნა,"** – განაცხადა სააკაშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის დაიდო გარიგება, რომლის თანახმადაც რუსეთიდან საქართველოში 150 ათასი საარჩევნო ხმა უნდა ჩამოვიდეს, რაც, ცხადია, სახელისუფლებო ბლოკის წისქვილზე დაასხამს წყალს. სააკაშვილის თქმით, ქართული საარჩევნო ბაზრის რუსული ხმებით უზრუნველყოფა ვიტალი ხაზარაძეს დაევალა. **"თუ ადრე რუსეთის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისთვის მხოლოდ სამი საარჩევნო უბანი მოქმედებდა, დღეს მათი რიცხვი ოცდათერთმეტამდეა გაზრდილი,"** – აცხადებს სააკაშვილი სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით. როგორც "ნაციონალების" ლიდერი ირწმუნება, ამ დახმარების სანაცვლოდ რუსეთი ქართული მხარისგან "ენერგოდისტრიბუციის სისტემას" მიიღებს.

სააკაშვილის მონაცემებით, რუსეთის მთელ რიგ ქალაქებსა და დაბებში – სვეტლოგრადში, ტულაში, კალუგაში და სხვაგან საარჩევნო უბნები გაიხსნება.

გარდა ამისა, მისივე თქმით, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლება აფხაზეთში დესტაბილიზაციის ინსცენირებას მოაწყობს, რაშიც მას რუსეთის გენერალიტეტი შეეშველება.

ტოტალური გაყალბების საფრთხეს ელის სააკაშვილი ბათუმიდანაც. მისი თქმით, აჭარიდან, სადაც 170 ათას ამომრჩეველზე მეტი არ ცხოვრობს, საარჩევნო ყულაბაში, დაახლოებით, 400 ათასი ხმა შევა.

**"ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ რუსეთიდან და ბათუმიდან ათიათასობით გაყალბებული ბიულეტენის ჩამოტანას,"** – აცხადებს "ნაციონალების" ლიდერი.

*24 საათი*

## არჩევნების გამყალბებლები გაყალბების მექანიზმებზე საუბრობენ

*მთავრობისგან "სანაგვეზე მოსროლილი" ჩინოვნიკები არჩევნების გაყალბების მექანიზმებზე ალაპარაკდნენ. ინფორმაცია, რომელიც "24 საათმა" მოიპოვა, ცესკო-დან გამოგზავნილ ორ იდენტურ ბეჭედს, არარსებულ ამომრჩეველს და ნორმაზე მეტად დაბეჭდილ საარჩევნო ბიულეტენს ეხება, რომლითაც ხელისუფლება არჩევნებს ყოველთვის იგებს.*

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ყველაზე დაძაბული რომ იქნება, ეჭვგარეშეა. ოპოზიცია ხელისუფლებას რომ არ უთმობს, ესეც უდავოა, რადგან არასამთავრობოებო ორგანიზაციების და ოპოზიციური პარტიების დიდი მონდომებით, ამომრჩეველთა სიების სიზუსტე დგინდება. ამ ყველაფრის მიუხედავად, როგორც სანდო წყარომ გვიამბო, ხელისუფლება ამ არჩევნებზე კვლავ ნაცად მეთოდებს მიმართავს.

ადამიანი, რომელიც არჩევნების გაყალბების მექანიზმების დღემდე გაუხმაურებელ ფაქტებზე საუბრობს, ათი წლის განმავლობაში შევარდნაძის გუნდის ერთგული წევრი იყო და ისიც, სხვების მსგავსად, "სანაგვეზე მოისროლეს". იგი იმ პირობით დაგვთანხმდა საუბარს, თუ მის ვინაობას არ გავამხელდით და, შესაბამისად, ინტერვიუც ხელით ჩაგვაწერინა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მატყუარა ხელისუფლება უნდა შეიცვალოს

### საზოგადოების დაკვეთა პოლიტიკურ პარტიებს

**სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმა და მისი დაწყებისათვის საბჭოთა უშიშროების სამსახურების თანამშრომელთა და კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელთათვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების შეზღუდვა.**

**სახელმწიფო თანამდებობის პირთათვის დაუსაბუთებელი ქონებისა და შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ კანონის მიღება.**

**კერძო საკუთრების გარანტიების გაძლიერება. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება. თავისუფალი მეწარმეობის შემზღუდავი კანონების გაუქმება. მეწარმეთა დაცვა სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების უკანონო ზეწოლისაგან. ლიბერალური საგადასახადო კოდექსის მიღება. ფისკალური პოლიტიკისა და კანონმდებლობის სტაბილურობა.**

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.**

**თბილისისა და ფოთის მერის არჩევითობა. ევროპული თვითმმართველობის ქარტიის რატიფიკაცია. ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ქონების გადაცემა და ფინანსური ავტონომიურობის მინიჭება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღება.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ირინა - ორაკულის აჩრდილებთან ბრძოლა

გიორგი ასანიშვილი

სირცხვილი და თავის მოჭრა საქართველოს უშიშროების სამინისტროს! რომ არა ირინა სარიშვილი, რუსეთის სპეცსამსახურებთან ჟვანია-ბურჯანაძის კონტაქტები საზოგადოებისთვის უცნობი დარჩებოდა და ფსევდოოპოზიციის ლიდერები, 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ, "მართვად ქაოსში" გადაჩეხავდნენ ქვეყანას! თუმცა, საფრთხე ჯერ მხოლოდ გამომჟღავნდა, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საშიშროებამ უკვე ჩაიარა. მიუხედავად ამისა, ედპ-ს ლიდერის ღვაწლის გაუბრალოება არ ეგების - პარლამენტის ყოფილი და მოქმედი თავმჯდომარეების მხილება არც ისე უბრალო საქმეა. ეს კი სახელისუფლებო ბლოკის სპიკერს მხოლოდ თავის დამსახურებად მიაჩნია და არ აპირებს, დიდების გვირგვინი სხვა ვინმეს, თუნდაც ქართული სპეცსამსახურის ხელმძღვანელობას გაუყოს.

**"ჩემს წყაროს სახელისუფლებო სტრუქტურებთან კავშირი არა აქვს. ის ჩემი წყაროა,"** - სიამაყით აღნიშნა გუშინ გამართულ მორიგ საგანგებო ბრიფინგზე ირინა სარიშვილმა.

საკუთარი წყაროს მფლობელი ქალბატონი, წესით, აღშფოთებული უნდა იყოს იმ უმოქმედობით, რასაც უშიშროების სამინისტრო

გაგრძელება A2 გვერდზე

# იოჰანეს ზემლერი: ფაქტია - რაღაც უნდა შეიცვალოს...

B1



ერთ-ერთი გავლენიანი გერმანელი - "24 საათის" სტუმარი.

## საქართველო ისევ ჯართად იყიდება

### საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის, შაქრისა და მინერალური წყლების ერთად აღებული საერთო მაჩვენებელი ნაკლებია, ვიდრე გატანილი ჯართის რაოდენობა

*უკანასკნელი რამდენიმე წელია, საექსპორტო პროდუქციის მოკრძალებულ ნუსხაში, ფერადი და შავი ლითონების ჯართი ლიდერობს. ქვეყნიდან გატანილი ჯართის საერთო მაჩვენებელი ექსპორტირებული პროდუქციის სხვა სახეობას რამდენჯერმე აღემატება. დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, უმრავლეს შემთხვევაში ამ ბიზნესის უკან თანამდებობის პირები დგანან.*

ეთერ მამულაშვილი

ჯართის ბიზნესი საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ და მომგებიან საქმედ ითვლება, ამას ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობაც უწყობს ხელს და ამიტომაც ყველას, ვისაც არ ეზარება, ე.წ. ჯართის მიმღებ პუნქტს ხსნის. ჯართის ექსპორტის აკრძალვა, სავალუტო ფონდის მოთხოვნით, გასულ წელს გაუქმდა. 1999 წელს მიღებული კანონით კი უკვე გაუქმებული იყო საექსპორტო გადასახადები, რისი წყალობითაც ჯართი საერთოდ დაუბეგრავად გადის ქვეყნიდან.

ამ ბიზნესის მნიშვნელოვან ზრდაზე მოწმობს ბოლო წლებში საქართველოდან ექსპორტირებული ყველა სახის ლითონის ნარჩენებისა და ჯართის მნიშვნელოვანი მატება. თუკი 1995 წელს გატანილი ჯართის ოდენობა 2.4 მილიონ ლარს შეადგენდა, 2000 წელს ამ მაჩვენებელმა 54 მილიონს გადააჭარბა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ერაყელებს თურქების შემოშვება არ სურთ

ამერიკელების მიერ დასმულმა "ერაყის მმართველმა საბჭომ", რომელიც რეალურად მარიონეტულ მთავრობას წარმოადგენს და მეტს არაფერს, მოულოდნელად ბრჭყალები გამოაჩინა.

საბჭოს 25 წევრიდან უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ მათ ქვეყანაში თურქული სამშვიდობო ჯარები შემოვიდნენ. თურქი ჯარისკაცების გამოჩენას ყველაზე აქტიურად ქურთები აპროტესტებენ. თუმცა, არც სხვები ელოდებიან თურქებს მოუთმენლად: ერაყი დიდი ხნის მანძილზე შედიოდა ოსმალთა იმპერიაში და ყოფილი ბატონ-პატრონების ხელახლა გამოჩენა ერაყელ არაბებსაც არაფრად ეპიტნავებათ.

"მმართველ საბჭოს მიაჩნია, რომ უმჯობესია, მეზობელი ქვეყნები სამშვიდობო მისიებში არ ჩაერთონ," – განაცხადა "ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა" ჰოშიარ ზებარიმ.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 კანონიერების კულტურა

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მეცნიერება B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# მიმართვა, რომელიც დემოკრატიულ ქვეყანაში არასდროს დაიწერებოდა

პირველი გვერდიდან

ასე იყო გურჯაანში, სადაც, ასევე საოლქო კომისიის "წყალობით", ახლა უკვე აქნეს მხოლოდ ნიკა კვეზერელი იყრის... და ასე ხდება თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში.

ამას გარდა, "ახალი მემარჯვენეები" და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები დაჟინებით ითხოვენ ხელისუფლებისგან, გამოძიებულ იქნას ის მიზეზები, რომლის გამოც ამომრჩეველთა სიები ნახევარი მილიონით არის გაბერილი. დღეს შექმნილი საერთო პოლიტიკური ფონი კი პოლიტიკოსებსაც და მესამე სექტორის წარმომადგენლებსაც აფიქრებინებს, რომ ხელისუფლება ღიად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე არჩევნების ტოტალური გაყალბებისთვის ემზადება და თუ მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით წარიმართება, ისინი მთელ პასუხისმგებლობას სრულად დააკისრებენ პრეზიდენტ შევარდნაძეს და მის გარემოცვას.

რაც შეეხება თავად მიმართვას. მისი ადრესატი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები არიან.

"... დღეს ხელისუფლება კიდევ **ერთხელ ცდილობს თქვენ და თქვენს შვილებს, მოლიანად საქართველოს წაართვას მომავალი. ის ამ პროცესში თქვენს ჩართვასაც აქტიურად ცდილობს და იმედი აქვს, რომ თქვენი ხელით გააყალბებს არჩევნებს. თქვენც ამ საზოგადოების წევრები ხართ და ძალიან კარგად იცით, რომ ამ ხელისუფლებას საქართველოს არც ერთ მხარეში რეალური არ აქვს სამართლიანი ნდობა მოსახლეობის მხრიდან. ამიტომ ის სწორედ თქვენი საშუალებით აპირებს ქვეყნის ხალხისთვის არჩევნების წართმევას"** - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც, "ახალ მემარჯვენეებთან" ერთად, ხელს აწერენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ("იურისტთა ასოციაცია", "არიქსი", "თავისუფლების ინსტიტუტი", "საქართველო ნატო-ში") წევრები.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, მიმართვა ყველა დონის საარჩევნო კომისიის თითოეულ წევრს გაეგზავნება. ამასთან, "ახალი მემარჯვენეები" მოუწოდებენ ყველა ოპოზიციურ პარტიას, შეუერთდნენ მათ მოწოდებას.

*24 საათი*

# ჟვანია რუსთავში ქვემო ქართლის აქტივს შეხვდა

მაია მოსიაშვილი

გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია რუსთავს ეწვია. ის პარტიის ქვემო ქართლის აქტივს შეხვდა. **"ჩვენ რუსთავში მხარს ვუჭერთ "ნაციონალების" კანდიდატს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შედეგები ძალიან სერიოზული გვექნება,"** - აცხადებს ზურაბ ჟვანია. ...

"დემოკრატების" ქვემო ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ... "ნაციონალების" მაჟორიტარ კანდიდატებს ...

რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა ეჭვი, რომ რუს- ... ვის დამაკმაყოფილებელია.

# შსს სიების გაყალბებით დაინტერესდება

საარჩევნო სიების შედგენის დროს შსს-ს მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეექმნა. **"ამიტომ გამორიცხული არ არის, ამ მხრივ სიებში ცალკეული ხარვეზები ყოფილიყო დაშვებული, მაგრამ შსს-მ საარჩევნო სიები ცესკო-ს დროულად ჩააბარა, მათი დახვეწა კი საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა"**, - განაცხადა კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა.

მისი თქმით, ბოლო დროს სიებთან დაკავშირებით შს სამინისტროზე "თავდასხმები" გახშირდა, მაგრამ სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სიები არ არის ამომრჩეველთა სიების სრულყოფილი ვარიანტი, რადგან მას უნდა დაემატოს იუსტიციის სამინისტროს, დამკრძალავი ბიუროს, სასჯელაღსრულების დაწესებულების, თავდაცვის სამინისტროს, სახლმმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვა უწყებების მონაცემები.

მინისტრის განცხადებით, სამინისტრო ვალდებული იყო, საარჩევნო უფლების მქონე პირთა სიები დროულად ჩაებარებინა და ეს ფუნქცია მან პირნათლად შეასრულა. **"შსს უფლებამოსილი ორგანო არ არის, რომ საარჩევნო სია დაადგინოს"**, - განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, სამინისტრო დაინტერესდება, რატომ და ვის მიერ მოხდა ცესკო-ში გადაცემული სიების გაყალბება

*ინტერ-პრესი*

# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება

საქართველოს ეროვნული ბანკი გატყობინებთ, რომ სახაზინო ვალდებულებების №40 აუქციონი ნაცვლად ადრე გამოცხადებული 15 ოქტომბრისა, შედგება მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს. ემისიის მოცულობა და დაფარვის ვადა გეცნობებათ დამატებით.

მიმდინარე წლის 11 ივნისს №23 აუქციონზე განთავსებული სახაზინო ვალდებულებების დაფარვა მოხდება 15 ოქტომბერს არსებული წესის შესაბამისად.

*აუქციონის კომიტეტი*

ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის რეალიზაციის მიზნით

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო აცხადებს ტენდერს

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილების ავარიული განათებისათვის მზის მიკროფოტოელექტროსადგურისა და ორკონტურიანი მზის წყალგამაცხელებელი სისტემის მოწოდება-მონტაჟზე.

დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა ა.წ. 20 ოქტომბრამდე მოგვაწოდეთ თქვენი ელფოსტის მისამართი ან ფაქსის ნომერი, რომელზედაც გადმოგეგზავნებათ ტენდერის პირობები.

მისამართი: ფაქსი: 921508. ელფოსტა: eecgeo@eecgeo.org

# ირინა - ორაკულის აჩრდილებთან ბრძოლა

პირველი გვერდიდან

ქვეყნის მტრების მხილების საქმეში იჩენს. მაგრამ სარიშვილი რაღაც ალოგიკურად მოქმედებს: მის ხელში ჩავარდნილ ჟვანია-ბურჯანაძის მამხილებელ დოკუმენტებს, რატომღაც, სწორედ უშიშროების მინისტრს გადასცემს. მეტიც, სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა გუშინდელ ბრიფინგზე ვალერი ხაბურძანიასგან მოითხოვა, რომ ბურჯანაძის სამდღიან ულტიმატუმს ანგარიში არ გაუწიოს და დოკუმენტაცია გულდასმით შეისწავლოს, თუნდაც ამას დიდი დრო დასჭირდეს.

რჩება შთაბეჭდილება, რომ სარიშვილს სწორედ ეს უნდა, ანუ, მან აურზაური სკანდალის დროში გაწელვის იმედად წამოიწყო. თუ უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა ჟვანია-ბურჯანაძის ბრალეულობის უარყოფას 2 ნოემბრის არჩევნებამდე მოახდენს, ეს მისთვის (სარიშვილისთვის) წამგებიანი იქნება, ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" რეიტინგი კი კიდევ უფრო აიწევს.

ამიტომ, ერთგვარ მუქარასავით გაისმის ბრიფინგზე სარიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ თუ ბრალდებები კარგად არ იქნება შესწავლილი, მას ვალერი ხაბურძანიასთან სერიოზული პრეტენზიები ექნება.

გარდა სამშობლოს გამყიდველთა მხილებისა, სახელისუფლებო ბლოკში, ირინა სარიშვილს, როგორც ჩანს, წინასწარმეტყველის ფუნქციებიც აქვს დაკისრებული. ამ ბოლო დროს იგი ისე დეტალურად ჭვრეტს მომავალს, რომ ნოსტრადამუსი და სიბილა არარაობად წარმოჩინდებიან. ედპ-ს ლიდერს ლამის წუთობრივი განრიგი გააჩნია იმისა, თუ როგორი სცენარით იგეგმება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ



სახელისუფლებო ბლოკში, ირინა სარიშვილს, როგორც ჩანს, წინასწარმეტყველის ფუნქციებიც აქვს დაკისრებული.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მოვლენების განვითარება.

**"15 ნოემბერს დაიწყება ფსევდოხალხური მოძრაობა ლოზუნგით "ისინი (დღევანდელი ხელისუფალნი) უნდა წავიდნენ". ამ დღეს გამართულ აქციაზე ცრუოპოზიციის არც ერთი ლიდერი არ გამოჩნდება. მოძრაობაში ისინი მეორე დღიდან ჩაერთვებიან და შეეცდებიან, გამოსვლებს პერმანენტული ხასიათი მისცენ,"** - აცხადებს სარიშვილი, რომელიც ძალიან ამაყობს იმითაც, რომ, თავის დროზე, მოძრაობა "კმარასთან" დაკავშირებითაც, "სწორი პროგნოზი" გააკეთა.

**"რაც არ უნდა დაიგეგმოს სხვა ქვეყანაში, თუ მას მოსახლეობაში დასაყრდენი არ ექნება, ვერ განხორციელდება,"** - ხალხის ძალის ეიმედება სარიშვილს.

ჟვანია-ბურჯანაძის ხრიკების ჩაშლის მიზნით, ედპ-ს თავმჯდომარემ, თავისი ოფისის წინ, გუშინ წამოიწყო აქცია სახელწოდებით "მშვიდობიანი არჩევნები".

**"ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, მოგმართავთ ყველა პოლიტიკურ ძალას, რომ აიღოთ პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, შეთანხმდით და უზრუნველყავით მშვიდობიანი არჩევნების ჩატარება. მოგვეცით თავისუფალი არჩევანის მშვიდობიან გარემოში გაკეთების საშუალება,"** - ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ირინა სარიშვილის გარდა, გუშინ ვანო ზოდელავამ და გიორგი ზურაბაშვილმაც მოაწერეს ხელი.

სარიშვილი იმედოვნებს, რომ მის აქციას მხარდამჭერები პოლიტიკურ სპექტრში, მათ შორის, ოპოზიციაშიც აუცილებლად გამოუჩნდებიან. თუმცა, სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი მეტისმეტი ილუზიებითაც არ იკვებება. **"მართალია, ამ აქციას დადებითი როლის შესრულება შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ის ქვეყანას უბედურებისგან ვერ გადაარჩენს,"** - დღეს ყველა საქმეს ჟვანია-ბურჯანაძის აჩრდილთან ბრძოლით იწყებს და ამთავრებს კანცელარიის ორაკული.

# რეაქცია პრეზიდენტის განცხადებაზე

**"ნინო ბურჯანაძის აზრით, ყველაფერში პრეზიდენტია დამნაშავე. ამ ტონალობაში და ასეთ დონეზე საუბრის გაგრძელება დაუშვებლად მიმაჩნია. იგი ხშირად იმეორებს, რომ ქვეყნის მეორე პირია. თუ მართლა მეორე პირი ხარ, ცოტა სხვანაირად უნდა ილაპარაკო,"** – მიიჩნევს პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელიც გუშინდელ რადიოინტერვიუში, ბურჯანაძეზე საუბრისას, მისთვის უჩვეულო აღელვებას აშკარად ვერ მალავდა.

პრეზიდენტის ეს განცხადება "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკის მხარდამჭერი ინტელიგენციისთვის პრესკონფერენციის გამართვის მიზეზი გახდა. **"ქართულ პოლიტიკაში ბრძოლის მეთოდები უნდა შეიცვალოს,"** – აცხადებენ ისინი.

**"პრეზიდენტმა თავის რადიოინტერვიუში საბოლოოდ დაადასტურა, რომ მრავალგზის უარყოფის მიუხედავად, "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინააღმდეგ აგორებული პიარ-კამპანიის უკან თავად დგას,"** – აცხადებს "ბურჯანაძე-დემოკრატების" ახალი სახე გიორგი ხელაშვილი და მიიჩნევს, რომ დროა, ქართულ პოლიტიკაში ბრძოლის ზნეობრივი მეთოდები დამკვიდრდეს. გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ აგორებული კამპანია კიდევ უფრო ცხადყოფს, თუ რა დაუცველია საქართველოში ჩვეულებრივი მოქალაქე. **"როცა შესაძლებელია ქვეყნის მეორე პირს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა დააბრალო, წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება დაგვბრალდეს ჩვენ, უბრალო მოქალაქეებს?"** – კითხულობს მარგველაშვილი.

**"ჩვენ ახალი სახეები ვართ პოლიტიკაში და ხელცარიელებიც არ მოვდივართ, საკმაო ცოდნა და გამოცდილება გაგვაჩნია, რომელიც აუცილებლად უნდა მოვახმაროთ ქვეყანას. სამწუხაროა, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ იმის მტკიცება გვიწევს, რომ უცხო ქვეყნის აგენტები არა ვართ. ეს შეურაცხმყოფელია ჩვენთვისაც და მთელი საქართველოსთვისაც,"** – აცხადებს თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი ზურაბ დავითაშვილი.

*24 საათი*

# „ჩუბაისმა იყიდა საქართველო, ჩამოვიდა და იყიდა"

*"არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში სამთავრობო ბლოკმა ბარიერი ვერ უნდა გადალახოს; თუმცა, ყველა აღიარებს, რომ ბლოკი მაინც გაიმარჯვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდება... არა მგონია, შვიდპროცენტიანი ბარიერი "ბურჯანაძე-დემოკრატებმაც" დაძლიოს", - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ჭაჭია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას ოდიოზურ ფიგურას უწოდებს.*

ვერიკო თევზაძე

ჭაჭიას პროგნოზით, არჩევნებში გაიმარჯვებენ "ნაციონალური მოძრაობა", "ლეიბორისტები", "ერთობა" და "აღორძინება". მისივე ვარაუდით, არჩევნებს გააყალბებს ხელისუფლება და ზურაბ ჟვანია, **"რომელიც დღეს სახელისუფლებო ბერკეტებს ვერ ფლობს, მაგრამ გაყალბების საკმაო გამოცდილება აქვს."** ალექსანდრე ჭაჭია ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო გამოსვლებსაც აკრიტიკებს: **"ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ... თუ ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით..." - სასაცილოა, როცა ამას ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე. როგორ, ქვეყნის მეორე პირს არ შეეძლო საქმის კეთება? მაინცდამაინც პრეზიდენტი უნდა გახდეს?"...**

გუშინ ჭაჭია ღიმილით შეხვდა ჟურნალისტების მინიშნებას მისი პრორუსული წარმომავლობის შესახებ (ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბატონ ალექსანდრეს ისიც კი უთხრა – თქვენზე ამბობენ, ერთ-ერთ სპეცსამსახურში მუშაობისას პუტინის "შეფი" იყოო). ჭაჭიას აზრით, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ჩვენმა ქვეყანამ დიდ მეზობლებთან – რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობა არ დაარეგულიროს და **"ოკეანის გაღმა არსებულ ქვეყანაზე იყოს ორიენტირებული."** "ერთობის" ლიდერის მტკიცებით, საქართველომ ვერ გამოიყენა ის პერიოდი, როცა საქართველოსთვის ბევრად მომგებიანი იყო რუსეთთან სიტუაციის დარეგულირება. **"შემდეგ რა მოხდა: სოჭის შეხვედრაზე პუტინმა შევარდნაძეს ყველაფერზე მოაწერინა ხელი... ჩუბაისმა იყიდა საქართველო, ჩამოვიდა და იყიდა. თქვენ კიდევ პრორუსულს მე მიწოდებთ, ეს ქართულია?"**

ჭაჭია, რომელიც თავის პრორუსულობას "მიწებებულ იარლიყს" უწოდებს, კვლავ ჩვეული დამაჯერებლობით აცხადებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა რუსეთზე გადის: **"თქვენ გგონიათ, დავით თევზაძის მიერ შექმნილი ჯარით დავიბრუნებთ აფხაზეთს? რუსეთს თუ დასჭირდა, ძალასაც გამოიყენებს აფხაზეთის დასაბრუნებლად და თუ საჭიროა, დაარწმუნებს კიდეც აფხაზებს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის აუცილებლობაში."** ჭაჭიას აზრით, რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება აფხაზეთს იმის გამო არ გვიბრუნებს, რომ შევარდნაძეს საქართველოში ნატო-ს ჯარი შემოჰყავს, რაც რუსეთისთვის მიუღებელია:

**"მსოფლიოს მართავს ძალა და ინტერესი. დანარჩენი რამ: დემოკრატიაზე საუბარი და ა. შ. არის ლაყბობა. ამ აზრის დემონსტრირებას ახდენს ამერიკა, რომელიც წამსვე ძალას იყენებს, როგორც კი ინტერესი ჩნდება."**

ჭაჭიამ გუშინდელ შეხვედრაზე ბრძანა, რომ აზერბაიჯანში სტაბილურობა გარე ძალებს იმდენად სჭირდებათ, რამდენადაც იქ არის ნავთობი. ჭაჭიას აზრით, მთავარია ნავთობი და არა დემოკრატია: **"სტაბილურობა დაიცავს ნავთობს; დასავლეთში ჩათვალეს, რომ ალიევი უზრუნველყოფს სტაბილურობას."**

რა ჩათვალეს დასავლეთში - ვინ დაიცავს სტაბილურობას საქართველოში? თუ ალექსანდრე ჭაჭიას დავუჯერებთ, რუსეთი და ამერიკა, ჯერჯერობით, ამაზე არ შეთანხმებულან. ვიდრე ეს საკითხი გაირკვეოდეს, რუსულ-მეგრული აქცენტით მოსაუბრე პოლიტოლოგი გვაიმედებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იგი პროქართულ პოლიტიკას გაატარებს.

# „ნანა დევდარიანის დასკვნა უსუსურია"

"მრეწველები" ცესკო-ს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ

*"საარჩევნო კომისიის წევრების 99 პროცენტი ერთ მაჟორიტარ კანდიდატზე მუშაობს... ცოტა ხნის წინათ ირა სოფრომაძემ განაცხადა, რომ იგი არის მაჟორიტარი კანდიდატის ბონდო შალიკიანის საარჩევნო შტაბის უფროსის მოადგილე. ამის შემდეგ იგი ინიშნება ტყიბულის საოლქო კომისიის თავმჯდომარედ," - "მრეწველები" ტყიბულში თავისი მაჟორიტარი კანდიდატის თენგიზ ჭიქაბერიძის რეგისტრაციიდან მოხსნას უკავშირებენ ხელისუფლების მაჟორიტარ კანდიდატს ბონდო შალიკიანს. ისინი ჯერ ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას, ხოლო შემდეგ ირა სოფრომაძის საკითხის დაყენებას აპირებენ.*

ვერიკო თევზაძე

"მრეწველთა" ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ტყემალაძის განმარტებით, ნანა დევდარიანმა ჭიქაბერიძის რეგისტრაციიდან მოხსნის გადაწყვეტილება ტყიბულის საოლქო კომისიის ოქმის საფუძველზე მიიღო. **"ოქმში კანდიდატის მოხსნის მიზეზად 1000-კაციან სიაში რამდენიმე მხარდამჭერის ბინის ნომრის მიუთითებლობაა დასახელებული, ნანა დევდარიანის დასკვნა უსუსურია,"** - ტყემალძის ვერსიით, ირა სოფრომაძემ ვერ გაბედა გადაწყვეტილების მიღება და ეს მისია დევდარიანს გადაულოცა.

ზურაბ ტყემალაძე უფრო რებუსებით საუბარს ამჯობინებს: **"რაღაცა ხდება, ვიღაცის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღეს ეს გადაწყვეტილება."** თავად მოხსნილი კანდიდატის თენგიზ ჭიქაბერიძის საუბრის სტილი ლაკონურია: **"ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ტყიბულში მხოლოდ ბონდო შალიკიანის კანდიდატურა დარჩეს."**

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი ლევან პირველი აცხადებს, რომ ამ რაიონის საარჩევნო სიებში 89 ასწლიანი და 21 ორასწლიანი ადამიანია შეყვანილი.

ზურაბ ტყემალაძე და "მრეწველთა" სხვა წარმომადგენლები გენერალურ პროკურორს რეაგირებას სთხოვენ **"იმ გაყალბებებსა და თაღლითობებზე, რასაც ხელისუფლება ახდენს."**

# არჩევნების გამყალბებლები გაყალბების მექანიზმებზე საუბრობენ

პირველი გვერდიდან

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობოების ინტერესები ძირითადად მიმართულია ამოამრჩეველთა სიების სიზუსტისაკენ. ისინი დახმარებას თავად ამომრჩეველსაც კი სთხოვენ, მაგრამ, როგორც ჩვენი რესპონდენტი ირწმუნება, "ძაღლის თავი" სულ სხვაგან მარხია. იგი აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიებით დაინტერესებულ პირებს, კიდევ ბევრი რამე რჩებათ მხედველობიდან: " მკვდარი სულების, ამომრჩევლების ორჯერ რეგისტრაციის გარდა, ყველა რაიონის ხელმძღვანელობა მიმართავს კიდევ ერთ, ძლიერ მეთოდს. ეს არის საარჩევნო სიებში შეტანილი არარსებული პირები და არარსებული პირადობის მოწმობის ნომრები. გგონიათ, რომ ეს არავინ იცის?! ყველამ იცის, მაგრამ..." - ამბობს "ინკოგნიტო" წყარო და იქვე, ნორმაზე მეტად დაბეჭდილ ბიულეტენებზე საუბრობს: "იმ დროს, როდესაც იბეჭდება ყველა ცოცხალ ამომრჩეველზე ბიულეტენი, პარალელურად სტამბა ხელისუფლების დაკვეთით ამზადებს ზედმეტ ბიულეტენებს, როგორც არარსებულ, ისე მკვდარ სულებზე და ერთი და იგივე ამორჩევლის სიაში ორჯერ გატარებულებისათვის. მე პირადად, შარშან ბევრი ბიულეტენი დამრჩა. იცით, რა კარგად ეკიდება ცეცხლი? მთელი ზამთარი ღუმელს ბიულეტენებით ვანთებდი".

არჩევნების გაყალბების მთავარი მექანიზმი კი, როგორც ჩვენი რესპონდენტი ირწმუნება, იდენტური ბეჭდებია, რომლებიც ცესკო-დან ყველგან იგზავნება: "როგორც მოგეხსენებათ, იმისათვის, რომ ბიულეტენები არ გაყალბდეს, დამცავ მექანიზმად მოსდევს ერთი, სპეციალური ბეჭედი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ პარალელურად მას მოსდევს იდენტური, მეორე ბეჭედი. მაგალითად, თუ არის 46 საარჩევნო უბანი, 92 ბეჭედი მოდის. ეს ბეჭდები ინახება მთავრობის ნდობით აღჭურვილ პირთან (ამ შემთხვევაში მოვალეობას თავის თავზე ხშირად ჩვენი რესპონდენტი იღებდა ხოლმე). მარტო ბეჭედი კი არა, ბიულეტენებიც იმ ადამიანთან ინახება ხოლმე. მას უკვე გამზადებული აქვს, ერთი ზარი მთავრობისგან და დავალება შესრულებულია".

სანდო წყაროს ინფორმაციითვე, არჩევნები ყველაზე მეტად იმ უბნებში ყალბდება, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა დიდია: " საკმარისია ასეთ უბნებში ჩოჩქოლი და კომუნიკაბელური "ქილერი" ოპერატიულად ახეხრხებს საარჩევნო ურნებში ბიულეტენების ჩაყრას. ამ დროს იგი ამ საქმეს ამომრჩეველს აკეთებინებს. გამჭვირვალე ურნებში კი იმ დროს იყრება გაყალბებული ბიულეტენები, როცა ურნა განახევრდება".

# პირველი პირი მეორე პირის წინააღმდეგ

თამარ ხორბალაძე

პირველი და მეორე პირების ბრძოლა საქართველოში კულმინაციურ წერტილს აღწევს. საქართველოს პრეზიდენტი გუშინ უკვე ღიად და საკმაოდ აგრესიულად ჩაერთო ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს პრეზიდენტი ყოვლად გაუგებარს უწოდებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ედპ-ს ლიდერი ბრალდებების გამოთქმისას მის მითითებებს ასრულებდა.

**"მეორე პირი ცოტა სხვანაირად უნდა ლაპარაკობდეს. ამ ბრალდებების გაგონებისას ისეთი სიტყვები მადგება პირზე, რომ..."** - აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და "ამ სიტყვებს" არა, მაგრამ ბევრ საგულისხმოს კი ამბობს.

პრეზიდენტი აქებს ირინა სარიშვილს: **"ირინა სარიშვილი-ჭანტურია საყოველთაოდ დაფასებული, პატივსაცემი, დამოუკიდებელი და თავისთავადი პოლიტიკური ფიგურაა"**, რომელმაც თავად კარგად უწყის **"სიტყვის მნიშვნელობა და ფასი."**

პრეზიდენტი ტოვებს ეჭვს (რაც შეადგენს კიდეც ბურჯანაძის საწინააღმდეგო პიარის დედააზრს): **"ალბათ, სჯობს, დაველოდოთ გამოკვლევის შედეგებს, რომელიც სიმართლეს დაადგენს."** და დასძენს, რომ: **"მისი მონაცემებით, დღევანდელ პოლიტიკურ წრეებში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ ქვეყანაში სტაბილურობის დარღვევისათვის."**

აქვე აფრთხილებს ყველას, რომ იგი არ დაუშვებს **"არასტაბილურობის ყოველგვარ გამოვლინებას"**, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს 2 ნოემბრისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარებას.

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნულს საკმაოდ მოკლე კომენტარი გაუკეთა: **"თავს მშვიდად როგორ გრძნობს ქვეყნის პირველი პირი, თუ დარწმუნებულია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მეორე პირი აგენტი იყო?! "**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ნინო ბურჯანაძისადმი გამოთქმულ ბრალდებებზე პრეზიდენტ შევარდნაძის კომენტარს "არასერიოზულს და უპასუხისმგებლოს" უწოდებს. იგი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი არის სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი და მისი პარტიის წევრების განცხადებების შესახებ ის საქმის კურსში უნდა იყოს. **"პრეზიდენტი პარტიის ლიდერი რომ არ ყოფილიყო, ბუნებრივია, ბურჯანაძეს მასთან პრეტენზიები არ ექნებოდა"**, - ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისნის რაიონში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ყარყარაშვილი ამავე რაიონში "გაერთიანებული დემოკრატების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს დათო ჭიჭინაძეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. **"ჭიჭინაძე და მისი მხარდამჭერები ხმებს ავრცელებენ, რომ არჩევნებზე მე ჩემი კანდიდატურა მოვხსენი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება"**, - განაცხადა ყარყარაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი 16 ოქტომბერს მოსკოვში გაემგზავრება დსთ-ს ქვეყნებიდან კოლეგებთან შესახვედრად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის გიორგი მიქანაძის ცემის ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" საარჩევნო ადმინისტრაციაზე თავდასხმად და ზეწოლად აფასებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. დღეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე აშშ-ში მიემგზავრება, სადაც ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით სამდღიანი კონსულტაციები გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მშენებელთა იმ ნაწილმა, ვინც გუშინ, მშენებლების დღის აღსანიშნავად, ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში შეიკრიბა, საქართველოს პრეზიდენტს და მის კურსს, ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის თემურ ჩარკვიანის სახელით, სრული თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა. თავის მხრივ, ამგვარი თანადგომით კმაყოფილი საქართველოს პრეზიდენტი მშენებლებს ახალი და ძლიერი საქართველოს აშენებას დაჰპირდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქალაქის მერის მერაბ ტყეშელაშვილის ბრძანებით, ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტები მერის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე არ შეუშვეს. თათბირი დახურული არ ყოფილა და მას სხვა ჟურნალისტები ესწრებოდნენ. მერიაში ტელეკომპანიასთან დაპირისპირების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ტელეკომპანია "ქვემო ქართლი" მერიის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებს, მერიასთან არ თანამშრომლობს და მასთან ხელშეკრულების გაფორმებისაგან თავს იკავებს. "ქალაქის მერის პრეტენზიები სრულიად გაუგებარია, რადგან ჩვენი ტელევიზია კერძო სტრუქტურაა. რაც შეეხება სხდომაზე ჩვენი ჟურნალისტების არ დაშვებას, ვაცხადებთ, რომ ამ შემთხვევაში მერიამ უხეშად დაარღვია "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი", რომლის თანახმად საჯარო დაწესებულებებში კოლეგიალური სხდომები საჯაროა და მასზე დასწრება არათუ ჟურნალისტს, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია," - აცხადებს ტელეკომპანია "ქვემო ქართლის" დირექტორი მარიკა ლიპარტელიანი. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსთავი.** საუბნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების გადამოწმება ოთხი დღეა, მიმდინარეობს. როგორც უბნებზე აცხადებენ, სიების დაზუსტების პირველი ეტაპი სამ დღეში დასრულდება. თავად ამომრჩევლები კი საკმაოდ პასიურობენ, საარჩევნო უბანზე მისვლას და საკუთარი გვარის გადამოწმებას არ ჩქარობენ. ამ ხნის განმავლობაში თითოეულ უბანზე ორიათასკაციანი სიის გადასამოწმებლად მისულ მოქალაქეთა რაოდენობა ათიდან ოცამდე მერყეობს. **24 საათი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მატყუარა ხელისუფლება უნდა შეიცვალოს

პირველი გვერდიდან

ეს არის ნაწილი იმ ათი პუნქტიდან, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს და რომელზეც ხელმოწერა ხვალ კინოს სახლში მოწყობილ პრეზენტაციაზე უნდა შედგეს. არასამთავრობოების განცხადებით, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამ პრინციპებს ხელს მოაწერენ, ვალდებულებას იღებენ თითოეული ამ პუნქტის განხორციელებაზე.

**გთავაზობთ ინტერვიუს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის წევრთან თინა ხიდაშელთან.**

- ამ ღონისძიების ორგანიზატორები არასამთავრობო ორგანიზაციები, ინდივიდუალური ადამიანები არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და რომ მომავალმა პარლამენტმა რაღაც რადიკალურად განსხვავებული უნდა შესთავაზოს მოსახლეობას.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ის ათი ძირითადი პრინციპი, რომლის ერთგულება პოლიტიკური პარტიების მხრიდან აუცილებელია იმისათვის, რომ დაიწყოს რეფორმები და ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად ეფექტური ნაბიჯები გადაიდგას, ადამიანებმა იგრძნონ, რომ ეს ქვეყანა იმართება კანონებით და არა ცალკეული პოლიტიკოსების თუ ჩინოვნიკების ნება-სურვილით.

ჩვენ გვინდა, რომ ეს იყოს საზოგადოების დაკვეთა, რომელსაც ის პოლიტიკურ პარტიებს მისცემს და მუდმივად გააკონტროლებს, რამდენად ასრულებენ ისინი ამ დაკვეთას. ჩვენ ერთგულებას ვუცხადებთ ამ პრინციპებს და, შესაბამისად, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც მათი შესრულების ვალდებულებას აიღებს, გვერდით დავუდგებით.

იმ შემთხვევაში, თუ პარტიები იქნებიან არათანამიმდევრულები, ანუ თუ ისინი ხელს მოაწერენ ამ დეკლარაციას და ხვალ არაფერს გააკეთებენ მის შესასრულებლად, მაშინ ჩვენ აუცილებლად ჩავუდგებით მათ ოპოზიციაში.

მიგვაჩნია, რომ ეს არ უნდა დარჩეს ქაღალდზე დაწერილ კეთილ სურვილებად, რომელსაც პარტიები წინასაარჩევნოდ აიტაცებენ და მალევე დაივიწყებენ.

**- არის თუ არა ეს პრინციპები, რომელზედაც არასამთავრობოები შეთანხმდით, ჩადებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში?**

- არ არსებობს არც ერთი პარტიის პროგრამა, რომელიც ათივე პუნქტს შეიცავდეს. სხვადასხვა პარტიის პროგრამებში ეს პრინციპები სხვადასხვა ოდენობით არის მოცემული, მაგრამ სრული სახით არსად არ არის წარმოდგენილი. მთავარი პრობლემა კი მაინც ის არის, რომ ყველა პროგრამა, ძირითადად, უფრო ლოზუნგური ხასიათისაა და არსად არ არის კონკრეტული საუბარი იმაზე, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ესა თუ ის კონკრეტული პრინციპი შესრულდეს.

**- არის თუ არა იმის შანსი, რომ რამდენიმე პარტია მაინც დათანხმდეს ამ პუნქტებით თავიანთი პროგრამის შევსებას?**

- ეს იქნებოდა ყველაზე სასურველი შედეგი, მაგრამ დღეს უკვე ძალიან გვიან არის იმისათვის, რომ მათ პროგრამების გადასინჯვა მოვთხოვოთ. უმრავლესობას უკვე გამოქვეყნებული აქვს თავისი პროგრამები. არიან პარტიები, რომელთაც ეს პრინციპები სხვადასხვა ფორმით აქვთ წარმოდგენილი. თუმცა, ბუნებრივია, მთავარი ის არის, რომ ამ პრინციპების ერთგულება პარტიებმა პარლამენტში ყოფნის დროს უნდა დაამტკიცონ. სხვათა შორის, იმის გასაკონტროლებლად, თუ ვინ რას აკეთებს აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ძალიან კარგი მექანიზმია პარლამენტში ხმის მიცემის სიების საჯაროობა, სადაც კარგად ჩანს თითოეული დეპუტატი და პარტია რამდენად თანამიმდევრული და ერთგულია იმ პრინციპებისა, რომელზეც საჯაროდ საუბრობს.

**- იქნებოდა თუ არა უფრო მომგებიანი, რომ ეს პრინციპები ადრე შეგეთავაზებინათ პარტიებისთვის, როცა მათი პროგრამები ჯერ კიდევ დაწერილი არ იყო. და კიდევ რას სთავაზობთ თქვენ ახალს ამ პარტიებს, რომლებიც თეორიული განცხადებების დონეზე ყველა ამ პრინციპს იზიარებენ?**

- აქ ორი გზა იყო: ერთი - აგვისტოში ან ივლისში დაგვეწყო ეს პროცესი და დაგვენახა, რამდენად აიტაცებდნენ ეს პარტიები ჩვენს მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებს, და მეორე - დაველოდებოდით პარტიების პროგრამებს და თუ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაგვიჩნდებოდა, ამ შემთხვევაში შეგვეთავაზებინა მათთვის ეს პრინციპები.

გადავწყვიტეთ, რომ მეორე გზა უფრო სწორი იყო, რადგან პარტიებმა თავიანთი განაცხადი თვითონ უნდა გააკეთონ.

მათ პროგრამებში გარკვეულად ასახულია ის პრინციპები, რომელიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ძალიან ბევრი რამ ამ პროგრამებში ბუნდოვანი იყო და სიცხადე აკლდა. მაგალითად, ყველა პარტია ცალსახად აცხადებს იმას, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვაა. მაგრამ არსად არ არის მითითებული, რა მიმართულებები უნდა იყოს ამისათვის არჩეული.

ჩვენ ნათლად ჩამოვაყალიბეთ, რას ნიშნავს და რა უნდა გაკეთდეს, რომ ადამიანის უფლებები რეალურად იყოს დაცული და ახლა ველოდებით დასტურს პარტიებისაგან, გულისხმობენ თუ არა ისინი იგივეს, როცა ამ უფლებების დაცვაზე საუბრობენ.

კიდევ ერთი მაგალითი. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ პრინციპებს შორის საუბარია კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაზეც. ძალიან ბევრი პოლიტიკური ძალა აცხადებს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივა უკანონო ქონების ჩამორთმევის შესახებ, პირდაპირ ხელყოფს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას. ჩვენ ასე ცალსახად არ ვუდგებით ამ საკითხს. თუმცა იმისათვის, რომ ჩვენც დავრწმუნდეთ და საზოგადოებამაც უკეთესად გაიგოს, რა მიზნები აქვს "ნაციონალურ მოძრაობას", მესამე პუნქტში ვსაუბრობთ, რომ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიების გაძლიერება უნდა მოხდეს. ანუ, თუ "ნაციონალური მოძრაობა" ამ პრინციპებს ხელს აწერს, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ საუბარია არ არის იმაზე, რომ თუ ისინი, დავუშვათ, უმრავლესობით მოვლენ პარლამენტში, ამ ქვეყანაში საკუთრების ყველა უფლებას გადასინჯავენ. თუმცა, თუკი სასამართლოს წესით დადასტურდება, რომ ვიღაცას ქონება უკანონოდ აქვს მითვისებული, მაშინ მის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების გამოყენების აუცილებლობა დადგება.

ანუ მიზეზი ამ პრინციპების ჩამოყალიბებისა იყო ის, რომ ნათელი შეგვეტანა იმაში, რაზეც ყველა პარტია ცალ-ცალკე საუბრობს.

**- ვის ელოდებით ამ პრეზენტაციაზე, რომელი პარტიები გამოთქვამენ სურვილს, რომ დეკლარაციას ხელი მოაწერონ?**

- ველოდებით ყველას. ეს არის ღია პროცესი, ვისაც აქვს სურვილი, შეუძლია შემოუერთდეს ამ პრინციპებს. თუმცა, რა თქმა უნდა, დეკლარაციაზე ხელის მოწერა მთავარი არ არის. მთავარი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ამ პრინციპების ერთგულებაა. ეს იქნება, რეალურად, ლაკმუსის ქაღალდი ამ პოლიტიკური პარტიებისთვის.

**- პოლიტიკური პარტიების მხრიდან სხვადასხვა შინაარსის დეკლარაციებზე ხელის მოწერა ამ ბოლო დროს ძალიან ხშირი მოვლენა გახდა. მაგრამ, რეალურად ცვლის თუ არა ეს რამეს. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს არჩევნების წინ ეთიკის გარკვეული ნორმებისა და თამაშის წესების დაცვას. იცავენ კი ისინი დღეს ამ წესებს?**

- რა თქმა უნდა, დღეს ამ ქვეყანაში არანაირი თამაშის წესების დაცვაზე არ არის ლაპარაკი. ჭირს კიდევაც, სერიოზული კომენტარები გაუკეთო ყველა იმ აბსურდულ მოქმედებებს, რომელიც თითქმის ყოველ დღე ხდება. მაგალითად ბოლო ეგრეთწოდებული სკანდალიც გამოდგება, როდესაც ვიღაც x მოქალაქე, არ აქვს მნიშვნელობა, ვისი წარმომადგენელია ის, აცხადებს, რომ ქვეყანაში მეორე პირი არის რუსეთის სპეცსამსახურის აგენტი, ამის შესახებ ატყობინებს უშიშროების სამსახურს და ითხოვს მისგან რეაგირებას. ამის შემდეგ ქვეყნის უშიშროების მდივანი და უშიშროების მინისტრი აცხადებენ, რომ მათ მსგავსი ინფორმაცია არ აქვთ, თუმცა აუცილებლად გამოიძიებენ ამ ფაქტს.

ამ ყველაფერს ორი ტიპის რეაქცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ან უშიშროების სამსახურებს მაშინვე უნდა ეთქვათ, რომ მსგავსი ინფორმაცია არ აქვთ და ეს ყველაფერი აბსურდულია. რადგან, უბრალოდ, სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის საკითხია, რომ თუკი ასეთი ინფორმაცია ბუნებაში არსებობს, ეს ქვეყნის უშიშროების სამსახურებს უნდა გააჩნდეთ და თუ არ გააჩნიათ, მაშინ უნდა თქვან, რომ ეს არის ტყუილი და ცილისწამება.

ან მეორე - აღიარონ, რომ რაღაც გამორჩათ და ამ ფაქტის გამოძიება უნდა დაიწყოს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უშიშროების ასეთი მინისტრი და უშიშროების მდივანი თანამდებობიდან უნდა გადადგნენ, რადგან უბრალოდ სამარცხვინოა, რომ ასეთი ლაფსუსი გაგეპაროს. ქვეყნის მეორე პირი, რომელიც ორ წელზე მეტია, პარლამენტის თავმჯდომარეა, უცხო ქვეყნის აგენტი გყავდეს და ამას ვიღაც x მოქალაქისგან ორი წლის შემდეგ იგებდე?

მე იმედი მაქვს, ხელისუფლებას ამ მომენტში მაინც ეყოფა ვაჟკაცობა, აღიაროს, რომ ეს ტყუილი და ცილისწამებაა. ამისათვის ირინა სარიშვილი მაინც არ დაისჯება, რადგან ის დეპუტატობის კანდიდატია და, სავარაუდოდ, დეპუტატის მანდატი მომავალი ოთხი წლის განმავლობაშიც დაიცავს. ამიტომ, უშიშროების სამინისტროს ხელები გახსნილი აქვს და მან უნდა თქვას ის, რაც უნდა ითქვას.

**- ამ ზაფხულის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ორჯერ იმყოფებოდით ამერიკასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და ამ სახელმწიფოებს თხოვდით, რომ არჩევნების წინ საქართველოში მაღალი რანგის დელეგაციები გამოეგზავნათ. ასეთი დელეგაციები მართლაც ჩამოვიდნენ. რა შეიცვალა ამით?**

- ამ ქვეყანაში გადაწყვეტილებას ამ ქვეყნის მოსახლეობა იღებს. დელეგაციებს, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოდიან, რადიკალურად არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. მიზეზი, რის გამოც ჩვენ ამერიკაში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მაღალი რანგის დელეგაციებს ჩამოსვლას ვთხოვდით, იყო ერთადერთი, რომ თუკი ამ ქვეყანაში რამეს საერთოდ ანგარიშს უწევენ, ეს საერთაშორისო ვალდებულებებია. ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ არის კიდევ რაღაც, რაც პრეზიდენტს ზღვარგადასული გაყალბებებისაგან შეაჩერებს, ვინაიდან თუ ის არ ზრუნავს ამ ქვეყნის მოსახლეობის ბედზე (და ეს არაერთხელ დაამტკიცა) - იმაზე, რას ფიქრობს ამ ქვეყნის ამომრჩეველი მასზე, ის ზრუნავს თავის საერთაშორისო ავტორიტეტზე მაინც. ამიტომ ჩვენ გვინდოდა, მეგობარ სახელმწიფოებს კიდევ ერთხელ შეეხსენებინათ შევარდნაძისთვის, რომ მისი საერთაშორისო ავტორიტეტი ამ არჩევნებზე დიდწილად არის დამოკიდებული.

**- ამ ეტაპზე როგორ შეიძლება შეფასდეს წინასაარჩევნო სიტუაცია?**

- დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს, ყველაზე უფრო ცუდი ვარიანტი მივიღეთ იმ შესაძლებლობებიდან, რაც აქამდე არსებობდა.

პირველი, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტიებს იძლევა, ეს ძალადობისგან თავისუფალი გარემოა. დღეს კი ქვეყანაში ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ იგი არ დაუშვებს ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიებს სხვადასხვა რეგიონებში. გვყავს ხელისუფლება, რომელმაც "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოაქვეყნა შეკრებების და მანიფესტაციების კანონის ტყუილი ვერსია, გამოაქვეყნა კანონი მუხლებით, რომელიც დღეს ძალაში არ არის. იქ წერია, რომ მანიფესტაციების მოსაწყობად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანხმობაა საჭირო, რაც აბსოლუტური ტყუილია.

ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა რესურსს იყენებს, რომ მისმა პოლიტიკურმა ბლოკმა გამარჯვება მოიპოვოს. ქვეყანაში გუბერნატორები და გამგებლები არიან საარჩევნო კამპანიების ხელმძღვანელები და საარჩევნო შტაბების მეთაურები, ეს კი სრულიად დაუშვებელია.

ხელისუფლებამ არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ ყველა ფინანსური რესურსის გამოყენებაც დაიწყო თავისი საარჩევნო კამპანიისთვის. პირდაპირ საბიუჯეტო თანხებს იყენებს იმისათვის, რომ აბსოლუტურად დისკრედიტირებული პროგრამების რეკლამირება მოახდინოს, მაგალითად, განათლების თუ ჯანდაცვის სამინისტროების საქმიანობის რეკლამა. სასაცილოა, რომ ქვეყანაში ვერავინ ვერ გრძნობს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების სიკეთეს და შედეგს და ხელისუფლებას ამის რეკლამირება დასჭირდა. პირდაპირი და არაპირდაპირი რეკლამა - ორივე წინასაარჩევნო რეკლამაა და ეს არის კლასიკური კანონდარღვევა, რისთვისაც ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში დაისჯებოდნენ.

რაც შეეხება სიებს, შარშან ოქტომბერში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ სახელმწიფო მინისტრს წარვუდგინეთ მთელი სქემა, დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იყო, რა უნდა გაკეთებულიყო თვეების მიხედვით იმისათვის, რომ არჩევნებს მომზადებული შევხვედროდით. ამ დოკუმენტში ყველაფერზე იყო საუბარი, დაწყებული მოსახლეობის აღწერიდან, კომპიუტერში მონაცემების შეტანით დამთავრებული. იმაზეც, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ სიების გადამოწმება. სახელმწიფო მინისტრმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს პროცესი თებერვლამდე გაჭიანურებულიყო. თებერვალში პრეზიდენტმა დაამტკიცა ეს პროცედურა და მისი განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა.

ძალიან კარგად მახსოვს მარტის ბოლოს თბილისის პრემიერის ოთახში მოწყობილი შეხვედრა, რომელსაც პოლიციის ყველა სამმართველოს უფროსი ესწრებოდა. ყველა მათგანი ერთხმად აცხადებდა, რომ ისინი აღწერას ვერ ჩაატარებდნენ, რადგან ადამიანური რესურსი არ ეყოფოდათ და გარდა ამისა, გასაგები მიზეზის გამო, მოსახლეობის 60 პროცენტი კარსაც კი არ გაუღებდა.

მაშინ ბატონმა ბოჭორიძემ პოლიციის უფროსებს განუცხადა, რომ ისინი კითხვების დასასმელად არავის მოუყვანია და ის უნდა გააკეთონ, რასაც დაავალებენ. ამის შედეგად მივიღეთ ის, რაც გვაქვს. დღეს თავხედურად გვეუბნებიან, რომ ეს არ არის ის სიები, რომელიც სამინისტრომ გადასცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. რომ პრობლემა ყოფილა "თავისუფალი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოება", რომელსაც ბეჭდვაში, თურმე, შეცდომები გაეპარა, და "რუსთავი 2", რომლის მომზადებულმა კომპიუტერულმა სისტემამ ასეთი ხარვეზები დაუშვა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სიების შემოწმებითა ვარ დაკავებული. ჩემი ქუჩა საერთოდ არ არის სიაში. და ასეთი უამრავი შემთხვევაა, როცა სიებიდან მთლიანად ქუჩები და კორპუსები არის ამოღებული. ან შეცვლილია საარჩევნო უბნები, რამაც გამოიწვია ის, რომ ადამიანები არიან სიაში, მაგრამ არ აქვთ საარჩევნო უბანი, სადაც ხმის მიცემა შეუძლიათ.

ამიტომ, ყველა ჩვენგანისათვის აბსოლუტურად სავალდებულოა, 19 ოქტომბრამდე მივიდეთ საარჩევნო უბნებში და დავწეროთ განცხადება, სადაც მოვითხოვთ სიაში შეყვანას. პირადად მე ეს უკვე გავაკეთე. 19 ოქტომბრის შემდეგ ამ განცხადებების ავტორები მოხვდებიან თუ არა საარჩევნო სიებში, ეს უკვე პოლიტიკურმა პარტიებმა და იმ ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომელთა ფუნქციაა, რომ ამ პროცესს თვალყური ადევნონ.


## გამოიცა ნაშრომი "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში"

საერთაშორისო IDEA-ს პროგრამა სამხრეთ კავკასიაში
საქართველოში დემოკრატიის ფართომასშტაბიანი შეფასების პირველი მცდელობა

"არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტის" (საერთაშორისო IDEA-ს) სამხრეთ კავკასიის პროგრამამ ქართველ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან ერთად გამოაქვეყნა 12 სადისკუსიო მასალა და დებატების დღის წესრიგი თემაზე "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში". ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე დიალოგის, საკონსულტაციო და ანალიტიკური პროცესის შედეგს, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი მოქმედი პირების [illegible] ფიქრის, მსჯელობის, ანალიზისა და დებატების შესაძლებლობით, რათა [illegible] მათ შეფასებით დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.

ამ ნაშრომის ასლი შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ საერთაშორისო IDEA-ს თბილისის წარმომადგენლობაში: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი, 380093, საქართველო, ტელ: 334081, ფაქსი: 334163, ელ-ფოსტა idea@cipdd.org, მობილური: 899 230145, დოკუმენტი ასევე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგ ვებ მისამართიდან: http://www.idea.int/southcaucasus/papers.htm

პუბლიკაციის ოფიციალური პრეზენტაცია შედგება 2003 წლის 22 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ქ. თბილისში, სასტუმრო მარიოტის საკონფერენციო დარბაზში

### ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. დემოკრატიის დამკვიდრების მიდგომა საქართველოში, გია ნოდია, გიგი თევზაძე
2. კონსტიტუციური სისტემა საქართველოში, [illegible], გია ნოდია
3. რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, დავით ლოსაბერიძე
4. საარჩევნო პროცესები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გია ნოდია
5. ძალოვანი სტრუქტურები, [illegible] და კორუფცია საქართველოში, დავით დარჩიაშვილი და [illegible]
6. ადამიანის უფლებები საქართველოში, თინა ხიდაშელი, [illegible], დავით ზურაბიშვილი, ლელა ხომერიკი
7. დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში, გია ნოდია, გიგი თევზაძე, მარინა მუსხელიშვილი, ნანა სუმბაძე
8. დემოკრატიზაცია საქართველოში: ეკონომიკური გარდაქმნები და სოციალური დაცვა, მარინა მუსხელიშვილი, ანა ახვლედიანი
9. ეთნიკური კონფლიქტები და [illegible] რეგიონები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გიგი თევზაძე
10. საქართველოს დედაქალაქი და რეგიონები, [illegible], დავით ლოსაბერიძე, დავით მელუა, გია ნოდია
11. საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე, ჯაბა დევდარიანი
12. საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში, დავით დარჩიაშვილი

საერთაშორისო IDEA-ს სათაო ოფისი:
სტოკჰოლმი, 10334, სტოკჰოლმი, შვედეთი, ტელ: 46 8 698 3700, www.idea.int
სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა: ტერიანის ქუჩა 83, 375009, ერევანი, სომხეთი, ტელ/ფაქსი: 374 1 56 54 84, ელ-ფოსტა: idea@arminco.com




# სადამ ჰუსეინის მილიონები სირიის ბანკებში ინახება

ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის კუთვნილი 3 მილიარდი დოლარი სირიის ბანკებში ინახება. ამის შესახებ ჟურნალი "თაიმსი" ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით იუწყება.

გამოცემის მონაცემებით, ამერიკელები "სირიულ კვალზე" ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავიდნენ. მაისში, სირიაში ვიზიტის დროს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს ამ საკითხის გამოძიება მოსთხოვა. დამასკო საკუთარ ბანკებში სადამ ჰუსეინის ფულის არსებობის ფაქტს საჯაროდ უარყოფს. აშშ-დან სირიაში აუდიტორები ჩავიდნენ, რომლებიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში სირიის ცენტრალური ბანკის ფინანსურ აქტივებს ამოწმებდნენ. ფაქტობრივად, მათი ანგარიშის შედეგები ადასტურებს, რომ სირია ერაყის ექსდიქტატორის ფულს მალავს. თუმცა აშშ-სა და სირიას შორის ამ საკითხზე მოლაპარაკება უაღრესად რთულად მიმდინარეობს.

ომის დაწყების წინ სირია ერაყის იმ ძირითად სავაჭრო პარტნიორთა შორის იყო, რომელიც გაერო-ს სანქციების გვერდის ავლით 1 მილიარდი დოლარის ოდენობის იაფ ნავთობს ყიდულობდა ერაყში. ოპერაციის დაწყების შემდეგ სირიას და აშშ-ის შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუარესდა. კონგრესის ერთ-ერთი კანონპროექტი, რომელზეც პრეზიდენტი ბუში ვეტოს დადებას არ აპირებს, სირიას ადანაშაულებს ტერორიზმის დაფინანსებასა და მასობრივი განადგურების იარაღის შეძენის მცდელობაში.

ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა "თაიმსს" განუცხადა, რომ თუ სადამ ჰუსეინის საბანკო ანგარიშების საკითხზე სირია აშშ-სთან კვლავ "შეზღუდულად" ითანამშრომლებს, ვაშინგტონმა შესაძლოა, დამასკოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები მიიღოს.

# დასავლეთი რუსეთს „ავანსად" ფინანსური სტაბილურობის რეიტინგს უზრდის

*საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ "Moody's Investors Service"- მა რუსეთის შემნახველ ბანკს მიანიჭა ფინანსური სტაბილურობის "D" (რომელიც ბანკის პრივილეგირებულ პოზიციებს - ფილიალების ფართო ქსელი, კერძო შენატანების ჭარბი რაოდენობა, მომგებიანი ფინანსური მიმართულება და სხვა - ასახავს) და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების "Ba1/NP" რეიტინგი (რაც საბანკო სისტემაში მის პრივილეგირებულ პოზიციაზე მეტყველებს და აფიქსირებს, რომ ბანკი, როგორც ძირითადი აქციონერი, სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობს).*

გუშინ "ნეზავისიმაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ინტერვიუ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "Standart&Poor's"-ის ანალიტიკოსთან - კონრად რიუსასთან, რომლის აზრითაც, რუსეთის რეიტინგის აწევა საინვესტიციო დონემდე ნაჩქარევია, მით უმეტეს - ქვეყანაში მოახლოებული არჩევნების წინ. აღნიშნული გადაწყვეტილება რუსი პოლიტიკოსებისა და დასავლეთელ ბიზნესმენთა სასარგებლოდ განხორციელებულ სერიოზულ ავანსს ჰგავს. ბრიტანულ გაზეთ "ფაინენშალ თაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჰოლანდიის საინვესტიციო ბანკის ანალიტიკოსი ფილიპ პული აღნიშნავს – **"ჩვენ აქტიურად ვცდილობდით, რომ რუსეთს ასეთი რეიტინგი მინიჭებოდა, მაგრამ გვეგონა, რომ სარეიტინგო კომპანია ამას მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განახორციელებდა".** გაზეთი აღნიშნავს, რომ სააგენტო "Moody's" გადაწყვეტილებაზე პუტინი-ბუშის სამიტის წარმატებულმა ფინალმაც იმოქმედა. გაზეთი აღნიშნავს, რომ იმავე სარეიტინგო სააგენტომ ჯერ კიდევ 2003 წელს რუსეთს საბანკო საქმიანობის რამდენიმე სფეროში ერთდროულად აუწია რეიტინგი და მათი სტაბილურობა დააფიქსირა; ასე რომ, საქმეში "დიდი პოლიტიკა" ჩაერთო.

დაბოლოს, რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ქვეყანას (ამ შემთხვევაში რუსეთს) რეიტინგის გაზრდამ? იგი მთავრობისა თუ სხვადასხვა კომპანიებისათვის უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზრებზე რესურსების შეღავათიან ფასებში მოპოვებას.

**24 საათი**

# საქართველო ისევ ჯართად იყიდება

პირველი გვერდიდან

2003 წლის მხოლოდ რვა თვის მონაცემებით კი, საქართველოდან გასაყიდად გატანილი შავი ლითონების ჯართის ღირებულება 34 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე 3 პროცენტით მეტია. თუ იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის, შაქრისა და მინერალური წყლების ერთად აღებული საერთო მაჩვენებელი ნაკლებია, ვიდრე გატანილი ჯართის რაოდენობა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სასაქონლო ჯგუფებიდან ექსპორტში ჯართის წილი 20 პროცენტს უახლოვდება. ეს მაშინ, როცა ქვეყანაში იმპორტირებული მილების და მილაკების ოდენობა 10 პროცენტს აღემატება.

თავისთავად, საქართველოდან ექსპორტის ზრდა, თუნდაც ეს ჯართი იყოს, პოზიტიური მოვლენაა. რადგან ქვეყანაში იმპორტის დაფინანსება, ძირითადად, საექსპორტო შემოსავლით ხდება. თუმცა, ჯართის ექსპორტის ხარჯზე სავაჭრო ბალანსის (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის) უარყოფითი სალდოს შემცირება მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რადგან ჯართის მარაგი ქვეყანაში მაინც ამოწურვადია.

თუმცა ჯართიც არის და ჯართიც. ექსპერტების რწმუნებით, ჯართის სახით გატანილი პროდუქციის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი არის გამოუსადეგარი.



*ასე გამოიყურება საწარმოები მათი ჯართად გაყიდვის შემდეგ.*

ცხრა წლის წინათ ქვეყანაში დაწყებულ საწარმოთა პრივატიზების საკითხს უშუალოდ დაუკავშირდა საქართველოდან უცხოეთში ჯართის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. თურქეთის, რუსეთისა ან სხვა მეზობელი ქვეყნების ბაზრობებზე შეიძლება რომელიმე ქართულ საწარმოსაც წააწყდეთ - ნაწილებად დაშლილს. **"პრივატიზაციის შემდეგ საწარმოთა ხელმძღვანელმა პირებმა ამ საწარმოში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის დემონტაჟი და მათი ჯართის სახით საზღვარგარეთ გატანა დაიწყეს",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მთავარმა სპეციალისტმა ანზორ სომხიშვილმა.

ჯართის ბიზნესი, რასაც ქვეყანაში ლითონის ნაკეთობების მასობრივი ქურდობა-დატაცება მოჰყვა, მეტად მომგებიანი აღმოჩნდა ექსპორტიორებისთვის. დღემდე გრძელდება ელექტროსადენების, უმოქმედო გაზსადენებისა და სარწყავი სისტემის მილების ძარცვა.

ნიმუშად რამდენიმე დღის წინათ ჯვრის უღელტეხილთან მომხდარი ამბავის გახსენებაც კმარა. დაახლოებით ორი კვირის წინათ, აქ, ამ ადგილას მაღალი ძაბვის ანძებზე მასიური თავდასხმები განხორციელდა. ვისაც ხელი სადამდე და რაზედაც მიუწვდებოდა, ხსნიდა და, ჯართის სახით, მიმღებ პუნქტებში აბარებდა. პირველი, ვინც ამ ფაქტს ოპერატიულად გამოეხმაურა, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, "თბილწყალკანალი" იყო, რომელმაც მომხდარის შესახებ უშიშროების სამინისტროს ოპერატიულად აცნობა. თუმცა ეს ცნობა, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, სამინისტროს დიდ კედლებში დაიკარგა. ჯვრის უღელტეხილთან მდებარე მაღალი ძაბვის ანძა, "თბილწყალკანალის" ერთ-ერთ სათავო ნაგებობას ელექტროენერგიით კვებავდა, რითაც თბილისსა და მისი შემოგარენის სასმელი წყლით უზრუნველყოფა დაუყოვნებლივ ხდებოდა. შესაბამისად, ანძის გაძარცვამ დედაქალაქის წყლით მომარაგების საკითხს სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

**"არ შეიძლებოდა, რომ ეს უბრალო ადამიანების მიერ ყოფილიყო გაკეთებული. ჩვეულებრივი მოქალაქე ლითონით დატვირთული მანქანით რამდენიმე ასეულ კილომეტრს ასე უპრობლემოდ ვერ გაივლიდა",** - გვითხრა "თბილწყალკანალის" წარმომადგენელმა გოჩა ჯელიამ.

ვერც ერთმა შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურამ დამნაშავეთა არათუ დასჯა, დღემდე მოძებნაც ვერ მოახერხა. ამიტომაც, მსგავსი შემთხვევის განმეორების შანსები კიდევ უფრო იზრდება.

# წელს საქართველოს ენერგოსისტემა მთლიანად რუსულ ელექტროენერგიაზე იქნება დამოკიდებული

საქართველოში თითქმის უპრეცედენტო სიტუაციაა შექმნილი – საქართველოს ენერგობაზარზე მოთამაშე ორი მთავარი სუბიექტი: "თელასი"-ს ახალი მფლობელი და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებას ერთმანეთს "ასწრებენ".

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ამ საკითხზე გამართული საგანგებო თათბირის მონაწილეებმა აღნიშნული პოზიცია საკმაოდ აშკარად დააფიქსირეს: "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა განაცხადა, რომ "თელასი" მზად არის 100-150 მეგავატის ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელოს, თუმცა მისი თქმით, ეს დენი მხოლოდ და მხოლოდ თბილისს მოხმარდება.

ენერგეტიკის მინისტრის მამუკა ნიკოლაიშვილის განცხადებით კი, ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების სურვილი "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" გამოთქვა, რომელიც რეგიონების ელექტრომომარაგებაზე აგებს პასუხს. თუმცა, შეძლებს თუ არა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" იმპორტისთვის საჭირო თანხების მოძიებას, ჯერ კიდევ უცნობია.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ელექტროენერგიის იმპორტი, ძირითადად, რუსეთიდან იგეგმება. ამ მიზნით კი "კავკასიონის" იმ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გამოყენებაა განზრახული, რომლის "გაწყვეტა-არგაწყვეტა" ერთი სვანური ოჯახის გუნება-განწყობაზე "ჰკიდია". გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში დაგვამშვიდეს, რომ სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის უშუალო მითითებით, მოსალოდნელი დივერსიების თავიდან აცილების მიზნით, "კავკასიონის" გაკონტროლება უშიშროების სამინისტროს დაევალა. და ვინაიდან, რასაც საქართველოს უშიშროება ჰკიდებს ხელს, ყველაფრის "უშიშროება" გარანტირებულია, საქართველოს მოსახლეობას მშვიდი ძილი და ნათელი ზამთარი, ჩანს, გარანტირებული აქვს.

თუმცა, პრობლემაა იმპორტირებული ელექტროენერგიის თბილისამდე მიტანა, რადგან "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ამის გარანტიას ვერ იძლევა. "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, რომ ვიდრე ელექტროენერგია თბილისამდე მოვა, ქვესადგურების თვითნებურად ჩართვით მას დასავლეთ საქართველოში არგადამხდელი მომხმარებლები მოიხმარენ.

რაც შეეხება სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი ენერგობლოკების ჩართვას - მათ ჩართვას სამინისტრო არ აპირებს. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა განაცხადა.

**"სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი ბლოკის ჩართვის რესურსი ქვეყანას ამჯერად არ გააჩნია, რადგან ბლოკებმა რომ იმუშაოს, ამისთვის ბუნებრივი აირის შეძენაა საჭირო,"** - აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

თუმცა, მისი თქმით, "თბილსრესის" მესამე, მეოთხე და მერვე ენერგობლოკები მუშაობისთვის მზად იქნებიან და სისტემას თუ დასჭირდა, მაშინ ბლოკები ჩაირთვება.

*24 საათი*

## მოკლედ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ჩამოსვლამდე 9 დღით ადრე საქართველოს მთავრობას ფონდის მიერ დატოვებული რეკომენდაციები ისევ შეუსრულებელი აქვს.

ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ გაუფორმებია ხელშეკრულებები იმ საერთაშორისო აუდიტორ კომპანიებთან, რომლებმაც ტენდერში გაიმარჯვეს და "სარქართველოს რკინიგზის", "მადნეულისა" და "ფოთის პორტის" შემოწმება უნდა ჩაატარონ.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის აზრით, ამჯერად მთავრობა თავს ზედმეტად არ შეიწუხებს, რადგან იცის, რომ წელს ფონდისგან ველარ მიიღებს 30 მლნ. დოლარის ოდენობის ტრანშს.

**"პროგრამა უკვე შეჩერებულია. ახალი პროგრამისთვის კი ახალი რეკომენდაციებია საჭირო. ფულის გარეშე მთავრობა არაფერს აკეთებს. იცის, რომ ტრანშს ვერ მიიღებს, ამიტომ ზედმეტად არ ნერვიულობს,"** - განაცხადა გოცირიძემ.

მისი აზრით, ფონდის პოზიცია ("პარიზის კლუბში" საგარეო ვალების გადავადების საკითხთან დაკავშირებით) რეკომენდაციების შესრულებაზე არ იქნება დამოკიდებული. **"ეს უფრო პოლიტიკური საკითხია, ამიტომ არ მგონია, "პარიზის კლუბში" გაყოლაზე ფონდმა საქართველოს უარი უთხრას. თუ ეს მოხდა, მომავალი წლის ბიუჯეტის მეოთხედი საგარეო ვალის გასასტუმრებლად დაგვჭირდება,"** - აღნიშნა გოცირიძემ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი მისია საქართველოში 22 ოქტომბერს ჩამოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლის რაიონმა წლიური საბიუჯეტო გეგმა უკვე შეასრულა. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული წლიური თანხა - 1 მლნ 246 ათასი ლარი - ცენტრალურ ბიუჯეტში სექტემბრის ბოლოს მთლიანად ჩაირიცხა. თერჯოლა ერთადერთი რაიონია საქართველოში, რომელიც ვადაზე ადრე ასრულებს ბიუჯეტს. შარშან რაიონმა წლის მაჩვენებლის შესრულება ათ თვეში შეძლო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გემმა „ალასკა რეინბოუმ" ფოთის საზღვაო ნავსადგურში აშშ-დან შემოიტანა 19 ათას ტონა სასურსათო ხორბალი. ეს ამერიკული მთავრობის წლევანდელი პროგრამით გათვალისწინებული დახმარების პირველი ეტაპია. საერთო ჯამში, საქართველო პროგრამის ფარგლებში 50 ათას ტონა ხორბალს მიიღებს. მეორე ამერიკული გემი კი ფოთში 23 ოქტომბერს ჩამოვა. ხორბალი თბილისის ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის საერთაშორისო ბირჟაზე გაიყიდება და ამონაგები თანხა აგრარული სექტორის განვითარებისათვის ჩაირიცხება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს. "თბილავიამშენის" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ბერიძემ უარყო გასულ კვირას მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ახლო მომავალში, საქართველოში, სააქციო საზოგადოებისა და კომპანია "ბოინგის" ერთობლივი პროექტით შეიქმნება "ბოინგის" ტიპის თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურების ცენტრი. **პრაიმ-ნიუსი**


## დოკუმენტების კონტროლის კლერკი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს დოკუმენტების კონტროლის კლერკის თანამდებობის დასაკავებლად.

### მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

დოკუმენტების კონტროლის კლერკის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- პროექტის მენეჯმენტის საქართველოს ჯგუფის დოკუმენტების კონტროლთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის წარმართვა და ადმინისტრირება;
- ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემების (EDMS) ადმინისტრირება;
- პროექტის მონაწილეებისათვის მიმდინარე ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება, არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის სრულად და ეფექტურად დამუშავება და გავრცელება;
- InfoWorks-ის მაღალკვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომლის მეშვეობით, დოკუმენტების კონტროლიორი უშუალოდ აგებს პასუხს საქართველოში მყოფ მომხმარებელთა შეუფერხებელ მომსახურებაზე;
- ITS ჯგუფის დახმარება InfoWorks-ზე შიდა მოთხოვნილების განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც გამოიხატება სამუშაო ნაკადების და ცვლილებების დამახასიათებელი საკმარისი დოკუმენტაციის მიწოდებით, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ მომსახურებას ITS-ის მხრიდან;
- პერიოდული შეხვედრების გამართვა და ტრენინგების ჩატარება სისტემის მომხმარებლებისათვის, მათი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით;
- თანამშრომლობა დოკუმენტების კონტროლის ლონდონის ჯგუფთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დოკუმენტების და მონაცემების სრულყოფილი გადაცემა ექსპლოატაციის ჯგუფისათვის, როგორც ეს "მოთხოვნათა განაცხადში" (SOR) არის ჩამოყალიბებული;
- სამოქმედო გეგმების შემუშავება პრობლემური სფეროების დარეგულირების მიზნით;
- საინჟინრო-ტექნიკური სტანდარტების, სპეციფიკაციების და მონაცემების ბიბლიოთეკის შექმნა და წარმოება პროექტის საქართველოში მომუშავე ჯგუფის დახმარების მიზნით;
- ინფორმაციის ოპერატიული დანომვრა, შენახვა და სისტემისთვის მიწოდება ან სისტემიდან გამოძახება;
- საჭიროების შემთხვევაში, სისტემის მოძველებული ინფორმაციისაგან გათავისუფლება;
- სხვა მოვალეობების შესრულება საჭიროებისამებრ.

ზოგადად დოკუმენტების კონტროლის ყოველდღიური მოვალეობები როგორც შიდა, ისე საგარეო მომხმარებლების წინაშე ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებისაგან გამომდინარეობს.

### სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- მინიმუმ 1 წლის გამოცდილება დოკუმენტების კონტროლის სფეროში;
- დოკუმენტების მენეჯმენტის კურსი ან გამოცდილება ანალოგიურ სფეროში;
- აუცილებელია Microsoft Products-თან მუშაობის გამოცდილება;
- უპირატესობად ჩაითვლება ინფორმაციის მართვის ელექტრონულ სისტემასთან მუშაობის ცოდნა და კვალიფიკაცია ნავთობქიმიის დარგში;
- წერითი და სამეტყველო ინგლისური (ქართული), რუსული ენების კარგად ფლობა;
- ინგლისურ ენაზე კითხვის, ინფორმაციის გაგების და მეტყველების უნარი ყველა რანგის პერსონალის წევრებთან, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით;
- პროგრამების - InfoWorks და Documentum Products - ცოდნა;
- დოკუმენტების კონტროლის პროცედურების ღრმა ცოდნა და თანამშრომლებზე სამუშაო მითითებების გაცემის უნარი, პროცედურების შემდგომი გაკონტროლების უზრუნველყოფის მიზნით;
- დანომვრის, შენახვისა და დაარქივების პროცედურებში გათვითცნობიერების მაღალი დონე.

### განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

## ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

### სამუშაოს აღწერა:

ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

### მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;
- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, დანერგვა და მართვა;
- შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეულიოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;
- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;
- მიღებული მომსახურების ანგარიშფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;
- წერილობითი დოკუმენტაციის მომზადებისა და დაარქივების პასუხისმგებლობა;
- საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;
- მგზავრობისა და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;
- ხელმძღვანელის / დეპარტამენტის შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;
- სხვა მოვალეობების შესრულება საჭიროებისამებრ.

### სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
- ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange - სრულყოფილი ფლობა.

### განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია"

BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა №38

## ორი სიტყვით

**აშშ.** ტეხასის შტატში დალასის სამედიცინო ცენტრის ექიმებმა ორი წლის სიამის ტყუპების განცალკევების ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს. სიამის ტყუპები ეგვიპტელები არიან და ერთმანეთთან თავის ქალებით იყვნენ შეერთებულები. ურთულესი ოპერაცია, დაახლოებით, 34 საათს გრძელდებოდა.

ოპერაციის დასრულების შემდეგ ქირურგებმა პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა. თუმცა, ძმების მოჰამედ და აჰმედ იბრაჰიმების სიცოცხლე, ჯერჯერობით, კვლავაც საფრთხის ქვეშაა. ისინი ნარკოზის ქვეშ რამდენიმე დღე დარჩებიან. გარდა ამისა, გადარჩენის შემთხვევაში, ტყუპებს თავის ქალების აღდგენისათვის კიდევ რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდებათ.

ოპერაცია სიამის ტყუპების მშობლების თანხმობით ჩატარდა და ისინი შედეგებით კმაყოფილები არიან.

რამდენიმე თვის წინ, ირანელი სიამის ტყუპების განცალკევების ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა.

**ავსტრია.** ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სერბიის, ჩერნოგორიის და კოსოვოს ავტონომიური მხარის ოფიციალური წარმომადგენლების პირველი შეხვედრა დაიწყო, თუმცა, მასში მონაწილეობას არ ღებულობს კოსოვოს ალბანელი პრემიერ-მინისტრი ბაირამ რეჯეპი. მან სერბეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უარი ღიად განაცხადა. სამაგიეროდ, მის მაგივრად შეხვედრაში მონაწილეობს კოსოვოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ აღიარებული იბრაჰიმ რუგოვა.

შეხვედრა, ფორმალურად, ტრანსპორტის და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობას შეეხება. თუმცა, მას უფრო ღრმა შინაარსი აქვს და დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგის განახლებას ისახავს მიზნად.

კოსოვო ოფიციალურად კვლავ სერბეთის შემადგენლობაში რჩება, თუმცა გაერო-ს სამშვიდობო კომისიის კონტროლის ქვეშ ცხოვრობს. ეთნიკური ალბანელები, რომლებიც კოსოვოს მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, სერბეთისგან გამოყოფის და სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას კვლავაც აქტიურად აყენებენ.

**სამხრეთ კორეა.** სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო მუ ჰენმა განაცხადა, რომ მას დეკემბრის თვეში საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება აქვს დაგეგმილი, რათა გაარკვიოს, თუ რამდენად უჭერს ხალხი მხარს მის პრეზიდენტობას. მან აღნიშნა, რომ მზად არის დატოვოს თანამდებობა, თუკი რეფერენდუმის შედეგები მისთვის არასასურველი აღმოჩნდება.

რო მუ ჰენმა პრეზიდენტის პოსტი რვა თვის წინ დაიკავა. მისი განცხადება განპირობებულია იმ სკანდალით, რომელიც კორუფციის თემაზე ბოლო დღეებში მთავრობის წინააღმდეგ აგორდა. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა თავისი მთავრობის კოლექტიური დათხოვნაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი რეფერენდუმზე გადაწყდება.

# ჰომოსექსუალისტმა ეპისკოპოსმა ანგლიკანურ ერთობას საფრთხე შეუქმნა



ჰომოსექსუალისტი ეპისკოპოსი ჯინ რობინსონი

REUTERS

ანგლიკანური ეკლესიის ხელმძღვანელობამ ლონდონში საგანგებო შეხვედრა მოიწვია, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოთა ანგლიკანური ეკლესიის მეთაურებმა უნდა გადაწყვიტონ ერთი საკითხი: შესაძლებელია თუ არა ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსი იყოს ჰომოსექსუალისტი. ეს თემა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც აშშ-ში ნიუ-ჰემპშირის შტატის ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსად ჯინ რობინსონი დანიშნეს, რომელიც თავის ჰომოსექსუალისტობას არ მალავს.

ამ ფაქტმა ანგლიკანურ ეკლესიაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა, რაც შესაძლოა ამ მიმდინარეობის დაშლის საფუძვლადაც იქცეს. "ბიბისის" ტელეგადაცემაში, კვირას, ერთმანეთს ამ ეკლესიის ორი წარმომადგენელი დაუპირისპირდა, რომლებმაც ჰომოსექსუალიზმის და ეკლესიის ურთიერთობის საკითხზე დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები დააფიქსირეს.

არგენტინის ანგლიკანური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა გრეგ ვენეიბლსმა ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ **"მათი ეკლესია დაემსგავსა ორ გემს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიცურავენ."** მან აღშფოთება გამოთქვა ნიუ-ჰემპშირში ეპისკოპოსად ჰომოსექსუალისტის დანიშვნის გამო და განაცხადა, რომ ამით ნიუ-ჰემპშირის ეპარქია ანგლიკანური ეკლესიის შემადგენლობიდან, ფაქტობრივად, გამოვიდა. მისი თქმით, იმისათვის, რომ ეს ეპარქია კვლავ ანგლიკანურ ერთობაში დაბრუნდეს, მათ ჩადენილი ცოდვა უნდა მოინანიონ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ანგლიკანური თემის ეპისკოპოსმა ჯონგო ნდუნგანემ კი აღნიშნა, რომ ის თავის არგენტინელ კოლეგას არ ეთანხმება. მისი თქმით, ეკლესიას შეუძლია გაუმკლავდეს "შემოქმედებით განსხვავებულობას," ხოლო განხეთქილება ეკლესიას წინ ვერ წაიყვანს.

არგენტინელმა ეპისკოპოსმა კი მკაფიოდ განაცხადა, რომ ანგლიკანური ეკლესიის პოზიცია, უკვე კარგა ხანია, დაფიქსირებულია, როგორც კონსერვატიული, ხოლო ოცდამეერთე საუკუნის პოსტ-მოდერნისტული ქრისტიანობა კი ამ პრინციპებს არ შეესაბამება.

სწორედ ამ საკითხის გასარკვევად მომავალ კვირას ლონდონში სხვა ანგლიკანური თემების მეთაურები ჩავლენ.

ნიუ-ჰემპშირის ეპარქიაში ჰომოსექსუალისტის გაეპისკოპოსებამ არა მარტო ანგლიკანურ ეკლესიაში, არამედ მთელ მსოფლიოში დაბნეულობა გამოიწვია. აზიის და აფრიკის ანგლიკანებმა უკვე გამოხატეს თავიანთი აღშფოთება და ნიუ-ჰემპშირის ეპარქიასთან ურთიერთობის გაწყვეტით იმუქრებიან.

თუმცა, ანგლიკანთა უმრავლესობას იმედი აქვს, რომ ეკლესიის მეთაური კენტერბერიელი არქიეპისკოპოსი მომავალ კვირაში დაგეგმილ შეხვედრაზე განხეთქილების ჩახშობას შეძლებს.

# ერაყელებს თურქების შემოშვება არ სურთ

პირველი გვერდიდან

მმართველი საბჭოს მტკიცე პოზიციამ მუსულმანური ქვეყნების სიმპათია დაიმსახურა. ამ დღეებში მათი ლიდერები მალაიზიის ახალ დედაქალაქში, პუტრაჯაიაში, ისლამური ქვეყნების კონფერენციაზე შეიკრიბნენ.

"არც ერთი მეზობელი ქვეყანა არ უნდა ჩაერიოს ერაყში მიმდინარე მოვლენებში, რადგან ყველა მათგანს იქ თავისი ინტერესები აქვს," – განაცხადა იორდანიის მეფე აბდულამ.

ვაშინგტონს იმედი ჰქონდა, რომ თუ ამერიკულ ჯარებს ერაყში მუსულმანური ქვეყნების ჯარისკაცებით შეცვლიდა, ერაყში ოკუპაციისადმი წინააღმდეგობა შესუსტდებოდა.

მაგრამ, ისლამური ქვეყნები აცხადებენ, რომ ერაყში არათუ თავად არ აპირებენ სამხედროების გაგზავნას, არამედ ამერიკასაც მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ გაიყვანოს იქიდან ჯარები.

თავად თურქეთიც დიდხანს ყოყმანობდა იმაზე, გაეგზავნა თუ არა ერაყში შეიარაღებული ძალები. ერაყში საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნითა და ამერიკელების ზეწოლის შედეგად, ანკარამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, მეზობელ ქვეყანაში ჯარები შეეყვანა. მათი რაოდენობა და განთავსების სავარაუდო ადგილები, ჯერჯერობით, უცნობია.

ამ გადაწყვეტილებისათვის თურქეთმა სხვა ისლამური ქვეყნების კრიტიკა დაიმსახურა, მაგრამ, სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამერიკასთან დაძაბული ურთიერთობები.

ერთადერთი ისლამური ქვეყანა, თურქეთის გარდა, რომელმაც შესაძლოა, ერაყში ჯარები გააგზავნოს, პაკისტანია. მაგრამ ამისათვის მუშარაფი უშიშროების საბჭოს თანხმობას ითხოვს. უშიშროების საბჭოს წევრები კი ამაზე ვერ თანხმდებიან.

ამასობაში, ერაყში ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმები თითქმის ყოველ დღე ხდება. გუშინდელი შეტაკების შემდეგ კიდევ ერთი, 95-ე ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

# ისრაელ-პალესტინის საიდუმლო ჯგუფის ახალი სამშვიდობო გეგმა

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიზნით შექმნილ გეგმას - "საგზაო რუკას," რომელსაც ამ ბოლო პერიოდში ჩაშლა ემუქრება, ალტერნატიული ვარიანტი გამოუჩნდა. კერძოდ, გუშინ ცნობილი გახდა ებრაულ-პალესტინური არაოფიციალური საიდუმლო ჯგუფის არსებობის შესახებ, რომლის წევრებიც მმართველ წრეებს არ წარმოადგენენ. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების ალტერნატიული გეგმა სწორედ ამ ჯგუფმა წარმოადგინა.

ცნობილი გახდა, რომ ამ ჯგუფის ებრაელი და პალესტინელი წევრები ერთმანეთს შორის საიდუმლო მოლაპარაკებებს ორი წლის მანძილზე აწარმოებდნენ. ზოგიერთი წყაროს ცნობით, საიდუმლო ჯგუფში წარმოდგენილ პალესტინელებს თავად იასირ არაფატის დიდი მხარდაჭერა აქვთ. რაც შეეხება ისრაელის მხარეს, პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა საიდუმლო ჯგუფში შესული ებრაელები და მათი საქმიანობა მკაცრად გააკრიტიკა.

არიელ შარონი თავიდანვე აცხადებდა, რომ პალესტინაში არ არსებობს ადამიანთა ჯგუფი და თუნდაც პიროვნება, რომელთანაც ოფიციალური თელ-ავივი მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდებოდა. ისრაელის ლიდერმა ეს პოზიცია ოდნავ შეარბილა, როდესაც პალესტინის პრემიერ-მინისტრად მაჰმუდ აბასი დაინიშნა. იმ პერიოდში არიელ შარონსა და მაჰმუდ აბასს შორის მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი გაიმართა და დადებითი შედეგებიც მოჰყვა. აბასის გადადგომის შემდეგ კი ისრაელმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ამის შემდეგ პალესტინაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელთანაც ებრაელები სამშვიდობო მოლაპარაკებებს გამართავენ.

საიდუმლო ჯგუფში შემავალი მემარცხენე ებრაელი პოლიტიკოსები კი ცდილობენ, თავიანთ პრემიერ-მინისტრს საპირისპირო დაუმტკიცონ.

გასულ შაბათ-კვირას იორდანიაში საიდუმლო მოლაპარაკებათა უკანასკნელი რაუნდი გაიმართა, რის შემდეგაც ჯგუფმა მიღწეული წარმატების შესახებ გააკეთა განცხადება. პალესტინელები და ებრაელები ერთხმად აცხადებენ, რომ კონფლიქტის დარეგულირების ალტერნატიული სამშვიდობო გეგმა მათ მიერ უკვე შემუშავებულია.

საიდუმლო ჯგუფის წევრებს და გეგმის ავტორებს იმედი აქვთ, რომ მათ წამოწყებას, პირველ რიგში, რიგითი პალესტინელები და ებრაელები დაუჭერენ მხარს, რადგანაც ხალხი სხვადასხვა პოლიტიკოსთა რადიკალური განცხადებებით და პოპულისტური შეძახილებით უკვე დაიღალა და მშვიდობა მოენატრა.

ჯერჯერობით, ახალი სამშვიდობო გეგმა არ გამოქვეყნებულა. წინასწარი ინფორმაციით, მისი ძირითადი არსი ორმხრივ კომპრომისებზეა დაფუძნებული. კერძოდ, პალესტინელები უარს ამბობენ ისრაელის ტერიტორიაზე ლტოლვილების დაბრუნების მოთხოვნაზე, ხოლო ისრაელი იერუსალიმში ტაძრის მთაზე პალესტინელებს სრულ სუვერენიტეტს აძლევს. გეგმის პროექტზე ხელისმოწერა ორი კვირის შემდეგ შვეიცარიაშია დაგეგმილი და ის ისტორიაში, შესაბამისად, "ჟენევის შეთანხმების" სახელწოდებით შევა.

# კოსმოსური კლუბის ახალი წევრი

როდესაც საბჭოთა კავშირმა პირველი ადამიანი გაუშვა კოსმოსში, გაჩნდა ტერმინი "კოსმონავტი", ამერიკელებმა თავიანთ კოსმოსურ მოგზაურს "ასტრონავტი" დაარქვეს, სულ მალე კი, როგორც ჩანს, კიდევ ერთი ტერმინი "ტაიკონავტი" დამკვიდრდება.

40 წლის დაგვიანებით, საბჭოთა კავშირსა და ამერიკას უერთდება ჩინეთიც, რომელიც კოსმოსური მისიით, კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს "ზესახელმწიფოს" სტატუსისაკენ.

კოსმოსური ხომალდი "შენჯოუ V" 21 საათის განმავლობაში 14-ჯერ შემოუფრენს დედამიწას. მის ბორტზე ერთი ან ორი ტაიკონავტი იქნება.

პირველი ხელოვნური თანამგზავრი ჩინეთმა ჯერ კიდევ 1970 წელს გაუშვა კოსმოსში. სატელიტი ორბიტაზე 2070 წლამდე იქნება და თავის საქმეს გააგრძელებს: კოსმოსში გადასცემს დიდი ბელადის, მაოს სადიდებელ სიმღერებს.

დასავლელი ექსპერტების აზრით, ადამიანის კოსმოსში გაშვებაზე სერიოზულად მუშაობა ჩინეთმა 1992 წელს დაიწყო. ამ მიზნით, ქვეყანა ყოველწლიურად ორ მილიარდ დოლარს ხარჯავს.

ამბობენ, რომ ჩინეთს შორსმიმავალი გეგმები აქვს. რამდენიმე წელიწადში ადამიანის მთვარეზე გაგზავნაა დაგეგმილი, ხოლო 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადის გახსნისათვის – უკვე კოსმოსური სადგურის გაშვებაც.

მიმომხილველთა ნაწილის აზრით, ჩინეთის კოსმოსურ პროგრამას სამხედრო მიზნები აქვს. თანამგზავრული დაზვერვა ბოლო წლებში ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად იქცა.

მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ჯერჯერობით მაინც, კოსმოსური პროგრამა მხოლოდ ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას ემსახურება და იმის დადასტურებას, რომ ჩინეთის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა საბოლოოდ ბარდება წარსულს.

# რუსეთმა ირანში ატომური ელექტროსადგურის გაშვება გადადო

გუშინ მოსკოვმა განაცხადა, რომ ბუშერის ატომური ელექტროსადგურის გაშვება 2005 წლისათვის ვეღარ მოესწრება და იქვე დასძინა, რომ გადადება ტექნიკური პრობლემებითაა გამოწვეული და არა აშშ-ს მხრიდან ზეწოლით.

რუსეთის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, აშშ-ს პრეტენზიების მიუხედავად, რუსეთი აუცილებლად აპირებს დაასრულოს ბუშერის აეს-ის მშენებლობა.

"პირველი რეაქტორის გაშვება იმიტომ გადაიდო, რომ ტექნიკური აღჭურვილობის ჩამოტანა დაგვიანდა, – განაცხადა მან, – და ამას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან".

მოსკოვის მიერ გაკეთებული განცხადება სამი დღით უსწრებს წინ გაერო-ს ატომური სააგენტოს მეთაურის, მოჰამად ელ-ბარადეის ვიზიტს ირანში. ორ კვირაში კი ირანმა უნდა წარმოადგინოს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მისი ატომური პროგრამა საიდუმლო სამხედრო მიზნებს არ ისახავს.

მართალია, რუსეთი მშენებლობას არ აჩერებს, მაგრამ ამერიკელებმა იმას მაინც მიაღწიეს, რომ მოსკოვი დაჟინებით ითხოვს გამოყენებული ბირთვული საწვავის უკან დაბრუნებას, რაზეც თეირანი, ჯერჯერობით, არ თანხმდება. ატომური ბომბისათვის საჭირო პლუტონიუმი სწორედ ნახმარი საწვავისაგან მიიღება.

მოსკოვი აცხადებს: თუ გაერო დაამტკიცებს, რომ ირანი ბომბის შექმნას აპირებს, იგი თეირანთან თანამშრომლობას შეწყვეტს.

# საუდის არაბეთი პირველ არჩევნებს ატარებს

მსოფლიოს ყველაზე უფრო ავტორიტარული ქვეყნის მმართველმა, საუდის არაბეთის მეფე ფაჰდმა განაცხადა, რომ მუნიციპალური არჩევნების ჩატარებას აპირებს.

ეს პირველი შემთხვევაა ქვეყნის ისტორიაში, როდესაც პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩევნები ტარდება. აქამდე ყველა ოფიციალურ პირს მეფე ნიშნავდა (უფრო სწორად, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი კრონ-პრინცი აბდულა და ძალზე გავლენიანი და ამდენადვე კონსერვატიული სასულიერო წრეები). ქვეყანას სახელიც კი სამეფო დინასტიის მიხედვით ჰქვია, რომელსაც ეკუთვნის, პრაქტიკულად, ყველაფერი ქვეყანაში.

პირველი არჩევნებიდან პოლიტიკურ ლიბერალიზაციამდე ჯერ კიდევ შორია. მით უმეტეს, რომ ხალხი მუნიციპალური საბჭოს წევრების მხოლოდ ნახევარს აირჩევს, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ხალხს ნება ეძლევა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს, უკვე ბევრს ნიშნავს.

საუდის არაბეთზე ამერიკული ზეწოლა გაიზარდა მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ 11 სექტემბრის 19 გამტაცებლიდან, 15 საუდელი იყო. ამ ქვეყნიდან არის უსამა ბინ ლადენიც. რამდენიმე თვის წინ ალ-ქაიდამ მძლავრი ტერაქტი განახორციელა საუდის არაბეთის დედაქალაქ რიადშიც, რასაც 35 ადამიანი შეეწირა. ამის შემდეგ მეფე ფაჰდმა განაცხადა, რომ ქვეყნის მართვაში ხალხის მონაწილეობას დაუშვებდა და ქალებს ზოგიერთ სამსახურში მუშაობის უფლებას მისცემდა.


## აირჩიე და მოიგებ!



2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ „დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებითა და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.

**აირჩიე და მოიგებ!**

**ვიქტორინის პირველი ეტაპის შეკითხვები:**

1. როდემდე შეიძლება საარჩევნო სიებში აღმოჩენილი უზუსტობების საუბნო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრება?
   1. 18 ოქტომბრის ჩათვლით
   2. 22 ოქტომბრის ჩათვლით
   3. 30 ოქტომბრის ჩათვლით
   4. 2 ნოემბრის ჩათვლით

2. სად შეიძლება გადაამოწმოთ, ხართ თუ არა ამომრჩეველთა სიაში?
   1. ინტერნეტის საშუალებით
   2. ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიაში
   3. საუბნო საარჩევნო კომისიაში
   4. ყველა მათგანში

3. ვის შესახებ შეგიძლიათ მოითხოვოთ სიებში ცვლილებების შეტანა?
   1. მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ
   2. ნებისმიერი პირის შესახებ
   3. საკუთარი თავის და ოჯახის წევრების შესახებ
   4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. გასაჩივრებიდან რამდენი დღის ვადაში უნდა შევიდეს ცვლილება სიებში?
   1. 3 დღის ვადაში
   2. 5 დღის ვადაში
   3. 2 ნოემბრამდე
   4. 30 ოქტომბრის ჩათვლით

5. სად აძლევს ის ამომრჩეველი ხმას, რომელიც არჩევნების დღეს არ იქნება შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში?
   1. ვერსად
   2. ხდება ამომრჩევლის ადგილზე დარეგისტრირება
   3. საოლქო საარჩევნო კომისიაში
   4. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

6. რომელ უბანში აძლევენ დევნილები ხმას?
   1. დევნილებისათვის იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი
   2. საოლქო საარჩევნო კომისიაში
   3. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში
   4. იქ, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობენ











2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხები. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსციფრიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

ვიქტორინაში მონაწილეობა აბსოლუტურად უფასოა
1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი

**მაგალითი**

დასმული შეკითხვის ნომერი ⇨ 1 2 3 4 5 6

| 8 | 0 | 5 | 3 | 2 | - | - | - | - | - | - |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

⇧ სატელეფონო კომპანიის კოდი

⇧ თითოეულ შეკითხვაზე სავარაუდო პასუხის ნომერი

**აკრიფეთ 11-ციფრიანი სწორი ნომერი, აირჩიეთ და მოიგებთ!!!**

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა საღამოს „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლოტოტრონის საშუალებით. ლოტოტრონში მოთავსდება ყველა იმ ვიქტორინაში მონაწილის სატელეფონო ნომერი, რომლებმაც დარეკეს სწორ ვარიანტზე. ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. ტელევიზორი
2. მუსიკალური ცენტრი
3. სარეცხი მანქანა
4. მტვერსასრუტი
5. მობილური ტელეფონი
6. მიკროტალღური ღუმელი
7. პირის საპარსი აპარატი

ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩატარებულ პრიზებთან ერთად გათამაშდება სუპერ-პრიზი — ავტომობილი „რენო სიმბოლი".

ასე რომ, 41 ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი, საგანგებოდ მოგებული დარჩება. გახსოვდეთ, პრიზები გაიცემა მხოლოდ მათზე, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას — საარჩევნო ფურცლის წარმოდგენის პირობით.

კითხვები ვიქტორინისათვის მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი არჩევნები".

ვიქტორინის პირველი ეტაპის გათამაშება შედგება 19 ოქტომბერს „რუსთავი 2"-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 14 ოქტომბრიდან – 19 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და „მაგთის", „ჯეოსელისა" და „ლაი-ლაის" აბონენტებისაგან.

სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „თავისუფალი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).

[illegible]

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# ირინა მზეზე

ბევრს კი ლანძღავენ, მაგრამ ტელევიზორი მართლა კარგი რამეა. ძალიან მეხმარება უსტაბაშობაში. პარტიულ ყრილობებზე მე არ დავდივარ, პრესკონფერენციებსა და ბრიფინგებს მე არ ვესწრები. ტელევიზორი რომ არ იყოს, სად ან როგორ გავიცნობდი ამდენ ხალხს, სად ან როგორ გავიგებდი ამდენს? არა, რაც არ უნდა თქვან, ტელევიზორი მართლა ქვეყნიერების გაჭრილი ფანჯარაა. განსაკუთრებით კი ეს "რუსთავი 2".

[illegible]

# სეისმოლოგები საუკუნის წინანდელ პერიოდს უბრუნდებიან

თამარ დვალი

*თბილისის სეისმური დაცვის სამსახური შარშანდლამდე 60-იანი წლების აპარატურით მუშაობდა. 40 სტაციონალური სეისმური ცენტრიდან მხოლოდ სამი ფუნქციონირებდა და ისიც - ნაწილობრივ. 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ უყურადღებოდ დარჩენილი ქართველი სეისმოლოგები, როგორც იქნა, გაიხსენეს. პირველი, ვინც სეისმოლოგებს ფინანსურ დახმარებას დაჰპირდა, "ახალი მემარჯვენეები" იყვნენ. მათ მიწისძვრის მეორე დღესვე სეისმოლოგებს აპარატურის შესაძენად 35 ათასი ლარი გადაურიცხეს. გუშინ კი აპარატურის სანახავად გეოფიზიკის ინსტიტუტს ეწვივნენ.*

1899 წელს თბილისში პირველი სეისმოგრაფი დამონტაჟდა. 1903 წელს საქართველოში სამი სეისმური სადგური მუშაობდა. შემდგომში მათი რიცხვი 40-მდე გაიზარდა. 90-იან წლებში მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ ქართველი სეისმოლოგები კვლავ ძველ დროს დაუბრუნდნენ და სამი მოშლილი სეისმოგრაფის ამარა დარჩნენ. 2002 წლის 25 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სეისმური უსაფრთხოების სამსახური აბსოლუტურად უუნარო იყო.

"ახალი მემარჯვენეების" მიერ



"ახლები" გეოფიზიკოსებთან.

გადმორიცხული თანხით გეოფიზიკის ინსტიტუტმა სამი ინგლისური წარმოების თანამედროვე სეისმოგრაფი შეიძინა, რითაც შესაძლებელი გახდა სეისმურ პროცესებზე დაკვირვება, სეისმური საშიშროების შეფასება და რისკის დადგენა. მართალია, გეოფიზიკის ინსტიტუტი სახელმწიფო დაფინანსებაზეა, მაგრამ სახელმწიფოსაგან წლების განმავლობაში მათ არც ერთი კაპიკი არ მიუღიათ, გარდა 9 ათასი ლარისა, რომლიდანაც ოთხ მილიონი ისევ უკან წაიღეს.

სეისმური დაცვის სამსახურის უფროსის ზურაბ ჯავახიშვილის განცხადებით, ნორმალური მუშაობისთვის მათ, სულ ცოტა, 20 სადგური მაინც სჭირდებათ. დღეისათვის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ექვსი სადგური არსებობს, მათ შორის - ორი თბილისში, ახალქალაქში, ხელვაჩაურში, გარეჯში და კაზრეთში. თბილისში არსებული ერთადერთი ობსერვატორია, რომელიც ფუნიკულიორზე იყო, მთლიანად გაქურდულია.

**"ის თანხები, რომლითაც კერძო ორგანიზაციები გვეხმარებიან, ტექნიკური საშუალებების შესაძენად ძლივს გვყოფნის. რაც შეეხება ექსპედიციებს, უფინანსობის გამო, ფაქტობრივად, ვერ ვაწყობთ. საჭიროა ახალი კადრების მომზადება, რასაც, ასევე, თანხები სჭირდება. რამდენიმე რაიონში სეისმური სადგურის დადგმა აუცილებელია. ენგურჰესის რაიონში 20-მდე სადგური ფუნქციონირებდა და ახლა სამი დარჩა. არადა, ეს ადგილი ცხრაბალიანი ზონაა და ყველაზე საშიშ ზონად ითვლება, "** - გვითხრა სეისმური დაცვის სამსახურის უფროსმა ზურაბ ჯავახიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოში სეისმური კანონმდებლობა არ არსებობს და ეს პრობლემაც მოსაგვარებელია. მშენებლობის დროს შენობის მდგრადობა რვა ბალზე უნდა იყოს გათვლილი, რასაც არავინ აკონტროლებს.

"ახალმა მემარჯვენეებმა" თავიანთი თანხით შეძენილი აპარატურა მოინახულეს და განაცხადეს, რომ მათი პარტია მეცნიერების განვითარებაზეა ორიენტირებული და მხოლოდ ამ დახმარებით არ შემოიფარგლებიან. **"იმას, რაც ჩვენმა პარტიამ გააკეთა, წესით, სახელმწიფო უნდა აკეთებდეს. ასეთი ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსება კერძო სექტორით არ უნდა ხდებოდეს. მე აქ წლების განმავლობაში ვმუშაობდი და ვიცი, რომ მხოლოდ ჩანაწერი არაფერში გამოგადგება, თუ მიწისძვრის პარამეტრები არ განისაზღვრა. სამწუხაროდ, ისევ იმ მდგომარეობაში ვართ, როგორც 1903 წელს ვიყავით. მაგრამ, კერძო სექტორების დახმარებით, რაღაც უკვე გაკეთდა და მომავალშიც, იმედია, უფრო მეტს გავაკეთებთ, "** - განაცხადა რეზო შავიშვილმა.

ზღვარი

# დასაქმების ძველი და ახალი კონტურები

IREX

*სიღარიბის მაღალი დონის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოში სოციალური დაცვის, მათ შორის, დასაქმების არასწორი პოლიტიკაა. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით, ბოლო ორი წელია საინტერესო ძვრები შეინიშნება. დღევანდელ პუბლიკაციაში შევეცდებით, განვიხილოთ ის, რასაც სახელმწიფო მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით აკეთებდა და აკეთებს ახლა; რამდენად ქმედითია მისი პროგრამები; რამდენად რაციონალურად იხარჯება თანხა, რომელიც ამ საქმისთვის ოფიციალური გადასახადის სახით იკრიფება.*

მაკა ჯაიანი

დასაქმების სახელმწიფო უწყებების საქმიანობა ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს – 1991-2001 და 2001-2003 წლები. 1991-1997 წლებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დასაქმების სახელმწიფო ფონდი, რომლის ხელშიც იყრიდა თავს სახელმწიფოში დასაქმებისთვის გათვალისწინებული ყველა რესურსი. ამ თანხებით, ყოველგვარი პოლიტიკისა და სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრის გარეშე, ხდებოდა გარედან, სპონტანურად შემოსული, ხშირად დროებითი სამუშაო ადგილების შემქმნელი პროექტების დაფინანსება და, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ფონდი თავად აკონტროლებდა საკუთარ საქმიანობას – თვითონ ახდენდა იმ ღონისძიებების მონიტორინგს, რომელსაც აფინანსებდა.

ამდენი ფუნქციის ერთი იურიდიული პირის ხელში მოხვედრა ნებისმიერ ქვეყანაში შექმნიდა მეტად ნოყიერ ნიადაგს კორუფციისთვის. დანამდვილებით დღეს იმის თქმა შეიძლება, რომ, კონტროლის პალატის მონაცემებით - სახსრების 43,3, აუდიტის მონაცემებით კი 50,4 პროცენტს დასაქმების სახელმწიფო ფონდი საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საკითხებზე ხარჯავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ, დაახლოებით ნახევარი, იმ ხუთი-ოთხნახევარი მილიონიდან, რაც ხაზინაში დასაქმების ერთპროცენტიანი გადასახადის სახით იყრიდა თავს, ფონდის გაბერილი შტატების დაკმაყოფილებას, მივლინებებსა და ყოველთვის დროზე ადრე შემოხარჯულ საკანცელარიო ნივთებს ხმარდებოდა. დანარჩენი – ზემოთ ნახსენებ პროექტებსა და უმუშევართა შემწეობას.

ეს შემწეობა მეტად ხანმოკლე და მცირეა. პირველი ორი თვის განმავლობაში აღრიცხვაზე ასული უმუშევარი 16 ლარს იღებს, მეორე ორი თვის განმავლობაში – 14-ს, ბოლო ორი თვის განმავლობაში – 11-ს. ამის შემდეგ დახმარება წყდება. ის ვაკანსიები, რომელიც თავს შრომის ბირჟებზე იყრიდა და, მეტწილად, გამოუყენებელი რჩებოდა, ერთადერთი რამ იყო, რასაც სახელმწიფო ოფიციალურად არსებული უმუშევრებისთვის აკეთებდა. ამის გამო იყო, რომ ოფიციალურად, უმუშევართა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო დარეგისტრირებული – ადამიანებს დროის დაკარგვა წარმოუდგენლად მცირე ფულადი დახმარების მისაღებადაც კი არ უნდოდათ. ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, როცა სახელმწიფოში დასაქმების ახალი პროგრამა ამოქმედდა.

იქამდე, 2001 წლის 22 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება №63 – "დასაქმების სფეროში რეფორმების განხორციელების შესახებ", რასაც საქართველოს შრომის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მთელი რიგი საჭირო კანონებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება მოჰყვა. გაუქმდა დასაქმების ფონდი, შეიქმნა დასაქმების სახელმწიფო სამსახური, დასაქმების პროგრამების დაფინანსებამ კი მიზანმიმართული სახე შეიძინა. ამასთან, თანხები სახელმწიფო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისკენ მიიმართა - დასაქმების ღონისძიებების განხორციელება – დასაქმების სახელმწიფო სამსახურისკენ, პროგრამებისა – კერძო ორგანიზაციებისკენ.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ უმუშევართა დასაქმების პროგრამები გასცდა თბილისის ფარგლებს. შრომის ბაზრის კვლევისა და ქვეყანაში უმუშევრობის დონის განსაზღვრის შესაბამისად, გამოიყო პრიორიტეტული რეგიონები, სადაც დასაქმება პირველი რიგის ამოცანად იქნა მიჩნეული. ამ ასპექტების გათვალისწინებით, წარმართა უმუშევართა მომზადება-გადამზადების პროცესიც. უმუშევართათვის შემწეობებისა და სტიპენდიების დანიშვნის უფლება დასაქმების ადგილობრივ სამსახურებს მიეცა, მათი დაფინანსებისა – სახელმწიფო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, დარიგებისა – კომერციულ ბანკებს. ამით მინიმუმამდე შემცირდა კორუფციული ფაქტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი მიმართულებით მუშაობისას თანხების დაზოგვაც გახდა შესაძლებელი.

2002 წელს საქართველოში განხორციელდა "უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის" პირველი პროგრამა. მის ფარგლებში, მეტწილად რეგიონებში, დასაქმდა 272 უმუშევარი, მათ შორის: მრავალშვილიანი დედები, ინვალიდები და ხანგრძლივად უმუშევრები. "უმუშევართა დროებითი დასაქმების პროგრამის" ფარგლებში დროებით დასაქმდა 600-მდე უმუშევარი. გარდა ამისა, მოხდა 2001 წელს დასაქმების ფონდის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების რეალიზაცია, რის შედეგადაც დამატებით დასაქმდა 400-მდე უმუშევარი. ამგვარი შანსის გამოყენებისთვის უმუშევრებს რეგისტრირება ესაჭიროებოდათ. ამ მოთხოვნამ საგრძნობლად გაზარდა ქვეყანაში რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი, თუმცა სრულ სურათამდე შორია.

ამ პროგრამებს დასაქმების სახელმწიფო სამსახურები წელსაც ახორციელებენ. წინასწარი გათვლებით, დასაქმებული შარშანდელზე გაცილებით მეტი უნდა იყოს. ამოქმედდა ახალი - "სამუშაო ადგილების სუბსიდირების პროგრამაც", რომლის საშუალებით პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, მრავალშვილიანი ოჯახების წევრები და ხანგრძლივი ვადით უმუშევრები - სულ, სავარაუდოდ, 80 ადამიანი დასაქმდება. ყველა ეს პროგრამა თავისი მასშტაბებით მცირე და, ფაქტობრივად, საპილოტო პროექტის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა რეალურია, ქმედითი და მათი საშუალებით დასაქმებულთა რიცხვიც თვალსა და ხელს შუა იზრდება. ეს მშვენიერი მაგალითია იმის საჩვენებლად, რომ კარგი საქმეების გაკეთება მცირე თანხებითაც შეიძლება.

*პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.*


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
## სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 6-10 ოქტომბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 11 836.0 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 581.1 ათასი ლარი:**
■ **სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 579.9 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 1.2 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 10 975.0 ათასი ლარი;**
**შინაგან საქმეთა სამინისტროს აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება - 300.0 ათასი ლარი:**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (ლტოლვილთა სექტემბრის თვის შემწეობა) - 2 147.3 ათასი ლარი;**
**ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს - 6 976.0 ათასი ლარი:**
■ **სექტემბრის თვის სოციალური ტრანსფერი - 6 781.0 ათასი ლარი;**
■ **სპეციალური ტრანსფერი - 195.0 ათასი ლარი:**
*საგარეჯოს რაიონი - 30.0 ათასი ლარი;*
*ჩხოროწყუს რაიონი - 20.0 ათასი ლარი;*
*ხონის რაიონი - 30.0 ათასი ლარი;*
*ლანჩხუთის რაიონი - 30.0 ათასი ლარი;*
*ცაგერის რაიონი - 35.0 ათასი ლარი;*
*ზუგდიდის რაიონი - 50.0 ათასი ლარი;*
**ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 1 543.5 ათასი ლარი:**
**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 8.2 ათასი ლარი;**
■ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო (მივლინება) - 5.2 ათასი ლარი;
■ დ.ს.თ.-სა და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიურო (მივლინება) - 3.0 ათასი ლარი;
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 279.9 ათასი ლარი;**
**კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები - 12.9 ათასი ლარი;**
**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 230.0 ათასი ლარი;**
■ თავდაცვის სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური (ვიზიტის ხარჯები) - 100.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი (ავტობაზის ხარჯები) - 30.0 ათასი ლარი;
**სამივლინებო ხარჯები - 37.0 ათასი ლარი:**
■ კონტროლის პალატის - 35.0 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 2.0 ათასი ლარი;
**სულ ხარჯი: 11 836.0 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 581.1 ათასი ლარი:**
■ **სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 579.9 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 1.2 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 10 975.0 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 279.9 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 242.9 ათასი ლარი;**
■ **მივლინება - 37.0 ათასი ლარი;**

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1
ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge


## ორი სიტყვით

**თბილისი.** ვანო ზოდელავამ დედაქალაქის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის ახალი პრემიერის კანდიდატურა. არჩევნებში მონაწილეობის გამო გადამდგარი გია შერაძის ადგილს, სავარაუდოდ, დაიკავებს ამჟამად მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის წინ განახლდა მრავალშვილიანი დედების აქცია, რომლის მიზანია 200 ლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარებების მიღება.

მრავალშვილიანი დედები ერთჯერად დახმარებებს თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებითაც ითხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც „თელასის" ცენტრალურ სადისპეტჩეროში განაცხადეს, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" მიღებული 210 მეგავატი ელექტროენერგია დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებს და გარეუბნებს მორიგეობით მიეწოდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპირველსექტემბროდ გათვალისწინებულ ერთჯერად ოცდაათლარიან დახმარებებს თბილისის ბიუჯეტი, ჯერჯერობით, ვერ გასცემს. ერთჯერადი დახმარების თხოვნით მერიაში შევიდა სულ 1762 განცხადება (თანხა - 52.860 ლარი), აქედან დაუკმაყოფილებელი დარჩა 600 განცხადება, რამაც შეადგინა 31.716 ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუჩების გარეგამანათებლების მხოლოდ 25 პროცენტია მოქმედი, თუმცა მალე მათი ფუნქციონირება ბიუჯეტის სეკვესტრის, არასტაბილური ძაბვისა და დაბალი სიხშირის გამო სათუო ხდება.

როგორც შპს „თბილქალაქგანათების" ხელმძღვანელმა ლადო კვიჭიძემ განაცხადა, „ეი-ი-ეს თელასის" მიერ მიწოდებული ელექტროენერგია საკმარისი არ არის გარეგამანათებლებისთვის, რაც ხშირად დედაქალაქის ქუჩების ჩაბნელებას იწვევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს ტრადიციულ თათბირზე თბილისის მერის ვანო ზოდელავას მოთხოვნით უჩვენეს ფირი, სადაც თბილისის ნაგავსაყრელებია აღბეჭდილი. დაფიქსირებული იყო 30-მდე მისამართი (დიდი დიღომი, ლისის ტბის გზა, ნუცუბიძის მეხუთე მიკრორაიონი და სხვა) სადაც უკანონო ნაგავსაყრელია განთავსებული.

ქალაქის მერმა გამგებლებსა და თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერს გიორგი კარბელაშვილს მოსთხოვა, სასწრაფოდ დაასუფთაონ მითითებული ქუჩები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღეს საუფლო კვართის და ღვთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტის ხსენების დღეს აღნიშნავს.

მცხეთის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სინოდის წევრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვას შეასრულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან ერთი თვის განმავლობაში, "თბილწყალკანალმშენ"- ის სამუშაოების გამო, ფანასკერტელის ქუჩა ეტაპობრივად გადაიკეტება და ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** ჯგუფ "ქუჩის ბიჭების" და ბორჯომის ბავშვთა ფედერაციის თაოსნობით, 16 ოქტომბერს ბორჯომში, სასტუმრო "თბილისში" ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი გაიხსნება.

ზურა ხაჩიძის განცხადებით, ამგვარი ცენტრის შექმნის იდეა დიდი ხანია არსებობდა და იგი ბორჯომელი უდედმამო და მიუსაფარი ბავშვების მომავლისთვის კეთდება.

"სარეაბილიტაციო ცენტრში თავდაპირველად 12 ბავშვი იცხოვრებს, რომლებიც ყველაფრით უზრუნველყოფილნი იქნებიან. დაგეგმილი გვაქვს ბავშვთა რაოდენობის გაზრდაც" - განაცხადა ხაჩიძემ, რომელიც მშობლიურ ბორჯომში ცენტრის გახსნას მიუსაფარი ბავშვების კრიმინალისაგან დაცვის აუცილებლობით ხსნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობა წყლის სატუმბ ქვესადგურებში წნევის ვარდნის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. მწყობრიდან გამოდის 2500 კილოვატიანი ძრავები. არასტაბილურად მიეწოდება წყალი ლილოს დასახლებას, გლდანის მიკრორაიონებს. ამავე მიზეზით რამდენჯერმე არაგვის წყალსაცავიც გამოირთო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვანო ზოდელავა საყვედურს გამოთქვამს ცნობილი ბიზნესმენების და მეწარმეების მისამართით და აცხადებს, რომ არცერთ ბიზნესმენს აზრადაც არ მოსვლია, რომ "თბილისობის" აღსანიშნავად ადგილობრივ ბიუჯეტში ერთი ლარი მაინც გადაერიცხა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის ოთარ ჭიპაშვილის განცხადებით, მისი სამსახურის მიერ შეკვეთილ 22 ავტობუსს გაყიდვა აღარ ემუქრება. პავლოვის ქარხანაში დამზადებული სატრანსპორტო საშუალებები საქართველოში მომავალ კვირას ჩამოვა. ახალი ავტობუსების შესაძენად გათვალისწინებული 275 ათასი ლარის ნაწილი ქარხანას უკვე გადაერიცხა, დარჩენილი ნაწილი კი უახლოეს დღეებში დაიფარება. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "არსებული ოპერატიული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოსალოდნელია სარეჟიმო ვითარების დაძაბვა და არ არის გამორიცხული, ოქტომბრის მეორე ნახევარში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ," — აცხადებს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე. მისივე თქმით, საგანგებო რეჟიმზე გადასვლა არჩევნებს არ უკავშირდება.

კოპაძის თქმით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების მიზნით ჩატარდა ჩხრეკა გეგუთის საერთო რეჟიმის №8 დაწესებულებაში. შედეგად კოლონიის ერთ-ერთი უმოქმედო კორპუსის სარდაფიდან ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები, დაშლილი ხელყუმბარა და სხვადასხვა ვაზნები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო" 2 ნოემბერს - საპარლამენტო არჩევნების დღეს - სთხოვს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების გათავისუფლებას. აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელის კოკი იოთანაშვილის თქმით, ორგანიზაციამ უკვე მიმართა პრეზიდენტს ოფიციალური თხოვნით, არჩევნების დღეს კვლავ შედგეს შეწყალების აქტი და რამდენიმე არასრულწლოვანი პატიმარი ვადამდე ადრე გათავისუფლდეს.

ახალგაზრდული ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე სულ 20 არასრულწლოვანია გათავისუფლებული, რომელთაგან არც ერთს განმეორებით დანაშაული აღარ ჩაუდენია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისისა და გორის პოლიციის თანამშრომლებმა ხაშურში დააკავეს რუსთავის მეორე კოლონიიდან გაქცეული პატიმარი, 25 წლის ამირან გელაშვილი.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ამირან გელაშვილი 1998 წელს მკვლელობის, ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით გაასამართლეს და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რუსთავის მეორე კოლონიიდან გაქცეული 129 პატიმრიდან ამჟამად სულ 80 პატიმარია დაკავებული, რომელთაგან 9 ნებაყოფლობით ჩაბარდა სამართალდამცავებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კვლავ გაურკვეველი რჩება ასლან აბაშიძის პოლიტიკური ოპონენტის - ლევან ქიძინიძის "დემოკრატიული სიმართლის" პარტიის ერთ-ერთი აქტივისტის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათიდან გატაცებული როლანდ ჩანგელიას ბედი.

როგორც გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია აცხადებს, აფხაზი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საძიებო ღონისძიებები, ჯერჯერობით, შედეგს არ იძლევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა, ჩანგელია აფხაზეთის ტერიტორიაზე არ იმყოფება.

ქართველი სამართალდამცველების მონაცემებით კი, როლანდ ჩანგელია გალის რაიონში მოქმედი აფხაზური სადამსჯელო რაზმის ხელმძღვანელს ვალმერ ბუთბას ჰყავს ტყვეობაში და იგი ამჟამად გალში, ბუთბას შტაბში იმყოფება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თურქულ ტანკერ "ემმას" მფლობელების მიერ საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 250-ათასლარიანი ჯარიმის გადახდის შესახებ.

გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ ადმინისტრაციული წესით, მხარეთა დაუსწრებლად გამოიტანა, საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება.

იმ შემთხვევაში, თუ თურქული მხარე ჯარიმას არ გადაიხდის, გემი აუქციონზე გაიყიდება.

ტანკერი საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საზღვრისა და ნაოსნობის წესების დარღვევის გამო 17 აგვისტოს, ფოთთან დააკავეს.

კანონმდებლობის თანახმად, თურქებს 250 ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრათ, რაც ტანკერის კაპიტანმა ისმაილ დენიზმა ფოთის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ომბუდსმენის კახეთის რეგიონული ოფისის წარმომადგენლებისთვის სემინარი-შეხვედრა გაიმართა სახალხო დამცველის აპარატისა და ეუთო-ს ინიციატივით.

სემინარისთვის ომბუდსმენის აპარატში მომზადდა სპეციალური ბუკლეტები სახელწოდებით - „რეგიონული წარმომადგენლების კომპეტენცია", „დაკავებულის უფლებები", აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერაა დამტკიცებული.

დაგეგმილია შეხვედრები რაიონის პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის მიზნით. ომბუდსმენის რეგიონულ რწმუნებულებთან მსგავსი სემინარი-შეხვედრა შიდა ქართლში უკვე იყო. **მედია-ნიუს**

■ ■ ■

**თბილისი.** "გასულ კვირას რეგისტრირებულია ერთი მკვლელობის, ერთი მკვლელობის მცდელობის, ორი ჯანმრთელობის დაზიანების, შვიდი ძარცვის, სამი ხულიგნობის, ხუთი ქურდობისა და სხვა ფაქტები," –აცხადებენ შს თბილისის მთავარი სამმართველოში.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, გასულ კვირას ამხილეს სამი დანაშაულებრივი ჯგუფი შვიდი პირის შემადგენლობით, რომელთაც ოთხი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი.

პოლიციელებმა ნარკოტიკების მოხმარების 49 ფაქტი გამოავლინეს, საიდანაც ოთხზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა; ამოიღეს 0,615 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი". ამ პერიოდში დაკავებულია ცხრა ძებნილი, ამოღებულია ერთი პისტოლეტი, ერთი - გადაჭრილი თოფი, 116 ცალი - საბრძოლო ვაზნა და 75 გრ. - ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი". **მედია-ნიუსი**

# როგორც კომუნისტების დროს

სოფიკო ჩხაიძე

*სახელმწიფო და შინაგან საქმეთა მინისტრებს შორის ერთი წლის წინათ გახმაურებული დაპირისპირების კვალი წინასაარჩევნოდ უკვალოდ გაქრა.*
*"საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ჰყავს ღირსეული შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც თავის კოლექტივთან ერთად ყველაფერს გააკეთებს საქართველოში არჩევნების ნორმალურად, ძალადობის გარეშე ჩასატარებლად," - განაცხადა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ცხრა თვის შედეგების განხილვიდან გამოსულმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომელიც მსგავს ღონისძიებას, უშიშროების საბჭოს მდივანთან, გენერალურ პროკურორთან და საკუთარ მოადგილესთან ერთად, პირველად ესწრებოდა.*



*ავთანდილ ჯორბენაძეს მინისტრისა და პოლიციის სწამს.*

ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ღიად გამოცხადებულ კოლეგიის სხდომაზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ჟურნალისტების გასაგონად განკუთვნილი მოხსენებები და განცხადებები გაკეთდა. სხდომაზე, რომლის ძირითად მიზანს შინაგან საქმეთა ორგანოების ცხრა თვის მუშაობის შედეგების შეჯამება წარმოადგენდა, უმთავრეს სალაპარაკო თემად არჩევნები იქცა.

### რატომ სწამს ავთანდილ ჯორბენაძეს პოლიციის?

შინაგან საქმეთა ორგანოებისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ სახელისუფლებო ბლოკის ლიდერის მიერ გამოხატული ურყევი ნდობის მიზეზებზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. ფაქტი კი ერთია, წინასაარჩევნოდ და არჩევნების პერიოდში პოლიციის მუშაობის სტრატეგიის შესახებ თავად შინაგან საქმეთა მინისტრს საჯაროდ არაფერი განსაკუთრებული სიახლე არ გაუხმოვანებია. ის, რომ მთელი საქართველოს პოლიცია უკვე გადასულია მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, ხოლო არჩევნებამდე სამი დღით ადრე სადღეღამისო მუშაობას შეუდგება, ეს უკვე რამდენიმე თვის წინ მიღებული გადაწყვეტილებაა. გარდა ამისა, თითოეულ პოლიციელს, მინისტრის ბრძანებით, უკვე დაურიგდა სპეციალური სამახსოვრო ბარათი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი სამართალდამცველთა უფლება-მოვალეობები არჩევნების მიმდინარეობის პროცესში. საკუთარ უფლებებში ამგვარად გათვითცნობიერებულ პოლიციელთა დისლოკაციის ადგილები არჩევნების დღეს წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად საარჩევნო უბნებს მიუახლოვდება. თითქმის სულ ეს გახლავთ შინაგან საქმეთა ორგანოების საარჩევნო მზადების დეტალები, რომლებსაც სახელმწიფო მინისტრის განსაკუთრებული აღფრთოვანება, ალბათ, არც უნდა გამოეწვია. სამაგიეროდ, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერისთვის მრავალისმეტყველი უნდა ყოფილიყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გულახდილობა:

**"მე, როგორც ერთი ამომრჩეველი, ჩემს ხმას ხელისუფლებას ვაძლევ და ვეცდები, სხვებიც ჩემსკენ გადმოვიბირო... რა არის პოლიცია, თუ არა კანონიერი შეიარაღებული ფორმირება, რომელიც ვალდებულია, იცავდეს ხელისუფლებას და არსებულ წეს-წყობილებას,"** - რუბენ ასანიძის მიერ საბჭოეთის დროინდელი რედაქციით გამოცემული უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ამოღებული ეს ფრაზა მრავალისმეტყველად დასრულდა: **"ასე იყო კომუნისტების დროს, ასე იქნება ახლაც."**

გუშინდელ სხდომაზე კომუნისტების დროინდელი წარსული სხვას აღარავის გახსენებია, თუმცა კი, არც ისე შორეულ ისტორიულ ექსკურსებს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში მრავლად მოისმენდით. მაგალითად, თუ 1991-1994 წლების საქართველოში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას დღევანდელს შევადარებთ, სიტუაციის გაუმჯობესება აშკარად სახეზეა. იმ პერიოდში ხომ, გენერალური პროკურორის თქმით, წელიწადში 800-900 განზრახ მკვლელობა ხდებოდა, ახლა კი - სულ რაღაც 300-მდე. ერთია მხოლოდ, წინა ორ წელიწადთან შედარებით ყველა სახის, უფრო კი - მძიმე დანაშაულთა მატება შეიმჩნევა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის თქმით, წელს, განვლილ ცხრა თვეში 13 ათასზე მეტი დანაშაული, აქედან 3 800-ზე მეტი - მძიმე კატეგორიის, მოხდა. მაჩვენებელი, მართალია, დანაშაულებრივი სტატისტიკის მატებაზე მიუთითებს, მაგრამ სამართალდამცველები გულს იმით იმშვიდებენ, რომ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელმაც იმატა.

სხვათა შორის, გუშინდელ სხდომაზე 9 აპრილიც გაიხსენეს. **"ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ პოლიციამ ხალხის ნდობა დაიბრუნოს,"** - განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ და ხალხისა და პოლიციის ერთიანობის შესაძლებლობის დემონსტრირებისთვის ის თარიღი გაიხსენა, როდესაც სამართალდამცველები, ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ, ხალხის ინტერესებს იცავდნენ.

### კრიმინალების ღვაწლი პოლიტიკურ პროცესებში, პოლიციის დანაშაულებრივ სინდიკატში

საქართველოში არსებულ კრიმინოგენულ სიტუაციაზე საუბრისას, სამართალდამცველები ეგრეთ წოდებული "კანონიერი ქურდების" თემას ვერ გაექცნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის რუბენ ასანიძის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს განსაკუთრებული ზედამხედველობა აქვთ დაწესებული მათზე. თუმცა კი, მისივე განცხადებით, "კანონიერი ქურდების" დიდი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება.

**"ამ ცხრა თვეში 18 კანონიერი ქურდი დავაკავეთ, რვა - პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ კრიმინალურ ავტორიტეტთა უმეტესობა, მათი რიცხვი 200-ს სცილდება, საქართველოს გარეთ, დსთ-ს სივრცეში იმყოფება, მაგრამ აქაური პროცესების მართვას იქიდანაც კარგად ახერხებენ,"** - აცხადებს ასანიძე და იმასაც ამატებს, რომ კრიმინალურ სამყაროს წინასაარჩევნო პროცესშიც შეაქვს თავისი წვლილი: **"თავისნაირებს ეხმარებიან ხელისუფლებაში მოსვლაში."**

თავის მხრივ, ავთანდილ ჯორბენაძე ხელისუფლების წარმომადგენლების დანაშაულებრივ კავშირებზე საუბრობს. მისი თქმით, ქვეყნისთვის დამღუპველია, როცა ხელისუფლების, ბიზნესისა თუ სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები დანაშაულებრივ სინდიკატებში ერთიანდებიან.

**"მე აქ ზოგიერთს ღიმილს ვამჩნევ სახეზე, ზოგიერთს – ჩაფიქრებას,"** - მიმართა სახელმწიფო მინისტრმა პოლიციის ჩინოსნებით სავსე დარბაზს, სადაც უმეტესობას აშკარად ეძინა, და მკაცრი ტონით დაასრულა: **"იცოდეთ, ასე აღარ გაგრძელდება."**

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მკაცრ ტონს წინასაარჩევნო ჟღერადობის დაპირებებიც ახლდა, მაგალითად, სამართალდამცველ ორგანოებში კორუფციის აღმოფხვრა თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ-ფინანსური უზრუნველყოფის გზით.

და ბოლოს...

### რა კანონებით ხელმძღვანელობს პოლიცია?

ქართველ სამართალდამცველებს, კარგა ხანია, საკუთარი წარუმატებლობების საკანონმდებლო ხარვეზებით გამართლება დასჩემდათ. გუშინდელ სხდომაზე, შეიძლება ითქვას, ერთი მომხსენებელიც არ გამოსულა, კანონებში არსებულ ნაკლოვანებებზე რომ არ ესაუბრა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით თოდუა მოქალაქეთა რეგისტრაციის წესების გამო ჩიოდა, რამაც, მისი თქმით, ამომრჩეველთა სიების შედგენაში მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი. გენერალური პროკურორი სისხლის სამართლის კოდექსში ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ მუხლის არარსებობის გამო გამოთქვამდა გულისტკივილს, მავანს საპროცესო კოდექსის მოთხოვნების სირბილე აშფოთებდა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის თქმით კი, ზოგიერთებმა კანონმდებლობა საკუთარ თავზე მოირგეს და, შესაბამისად, კანონები კრიმინალთა უფლებებს უფრო იცავს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებისას. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, **"კანონი ერთია და უზენაესი. პოლიცია ვალდებულია, იგი დაიცვას,"** - ეს აქსიომა გუშინ თვით სახელმწიფო მინისტრმაც გაახმოვანა.

# აფეთქება შროშის ქუჩაზე

გუშინ, გამთენიისას, შროშის ქუჩაზე, ცნობილი პროდიუსერის ნატო დუმბაძის კუთვნილი ავტომანქანა აფეთქდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ საცხოვრებელი კორპუსების ფანჯრის მინები თითქმის მთლიანად ჩაიმსხვრა.

გუშინ, თითქმის მთელი დღის განმავლობაში, შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ უშიშროების ექსპერტიზის სამსახური, მოკვლევის ჯგუფი და გამომძიებლები. ისინი არკვევდნენ, თუ რა ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო გამოყენებული, ნატო დუმბაძის ავტომანქანასაც მთელი დღის განმავლობაში უტარდებოდა ექსპერტიზა.

აფეთქების სავარაუდო ვერსიას ვერც სამართალდამცველები და ვერც თავად დაზარალებული გუშინ ვერ ასახელებდნენ.

"მე და ჩემი ოჯახის წევრებს მტრები არ გვყავს; არა მგონია, ჩემი მანქანის აფეთქებას გამაფრთხილებელი ხასიათი ჰქონდეს. აფეთქებამდე ჩემთან მუქარით არავის დაურეკავს," - ასეთი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს დაზარალებულმა პროდიუსერმა.

მიუხედავად იმისა, რომ მომხდარი აფეთქების შესახებ გამოკვეთილი ვერსია არც სამართალდამცველებს და არც დაზარალებულს გააჩნდათ, გუშინვე სისხლის სამართლის საქმე სხვისი ქონების განზრახ დაზიანების მუხლით აღიძრა.

.გავრცელებული არაოფიციალური ვერსიით, მომხდარი, შესაძლოა, კრიმინალურ გარჩევებს უკავშირდებოდეს. პროდიუსერ ნატო დუმბაძის მეუღლე ალიკა ქარსივაძე ე.წ. "კანონიერი ქურდია".

# თბილისში მორიგი მკვლელობა მოხდა

თამარ კაციტაძე

თბილისში დღისით-მზისით მომხდარი მკვლელობები უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა. უნიღბო თავდამსხმელები ხალხის თვალწინ კლავენ მსხვერპლს და სამართალდამცველები დანაშაულის გახსნას მაინც ვერ ახერხებენ. რა სახელი დაერქმევა მომავალში დედაქალაქში მომხდარ ღია მკვლელობებს, ძნელი სათქმელია. დღეს ფაქტია, რომ თბილისში მომხდარ გაუხსნელ მკვლელობათა რიცხვს კიდევ ერთი განზრახ მკვლელობა მიემატა.

ორი დღის წინ, დილის თერთმეტ საათზე, ყაზბეგის გამზირზე, სახლში მიმავალ გია ქიმერიძეს სადარბაზოში შესვლისას ერთი პიროვნება მიუახლოვდა. უცნობმა, სავარაუდოდ, მაკაროვის სისტემის იარაღიდან ქიმერიძეს რამდენჯერმე ესროლა. ქიმერიძე ხელში, ფეხში, ბარძაყში და მუცლის არეში დაიჭრა. მას სულ ექვსი ჭრილობა აქვს მიყენებული. დაჭრილი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე საათში, საღამოს რვა საათზე, გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. გვამზე დანიშნულია სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. რაიონის პროკურორის თამაზ გეთიას თქმით, მკვლელობასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია, მაგრამ საბოლოოდ რომელი მათგანი მიიჩნევა მკვლელობის რეალურ მიზეზად, წინასწარ ძნელი სათქმელია. ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება, ძირითადად, ორი მიმართულებით მუშაობს. ერთ-ერთი ვერსია ქიმერიძის კერძო ბიზნესს უკავშირდება. სავარაუდოდ, იგი კვების პროდუქტების ბიზნესით იყო დაკავებული. მეორე გზა კი მისი პირადი ცხოვრებისკენ მიდის.

სამართალდამცველებს ამ ეტაპზე ეჭვმიტანილიც კი არ ჰყავთ. ისინი იმედოვნებენ, რომ ქიმერიძის მკვლელობის საქმის გამოძიება ადგილიდან მას შემდეგ დაიძვრება, როცა მისი ოჯახის წევრები დაიკითხებიან.

გია ქიმერიძე, რომელიც ხუთი შვილი მამა იყო, პრეზიდენტის ძმის შვილის, ცეზარ შევარდნაძის ყოფილი სიძეა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ მან მეორედ იქორწინა.

# ბოლნისის ინციდენტში მხოლოდ „ნაციონალებს„ ადანაშაულებენ

26 სექტემბერს, ბოლნისში, ნაციონალური მოძრაობის ლიდერის ჩასვლით გამოწვეულ არეულობას მთელი საქართველო ადევნებდა თვალს. დაპირისპირების პროვოცირება იქით იყოს და, ყველამ ნახა, რომ ბოლნისში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის ატეხილი ცემა-ტყეპა ცალმხრივი არ ყოფილა – აშკარად ერთმანეთს ურტყამდნენ, მაგრამ ამ ინციდენტის გამოძიებისას სამართალდამცველები მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს აკავებენ - რუსთაველი 19 წლის დავით აფციაური უკვე მეორე დაკავებულია. იგი, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობის რუსთავის ოფისის აქტივისტია და გუშინწინ დააკავეს.

როგორც ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე ბუკიამ "მედია-ნიუსს" განუცხადა, მასობრივ არეულობაში მონაწილეობის მუხლით აღძრული საქმის გამოძიებისას 120 პირი დაიკითხა. დავით აფციაურიც იმ დღეს გადაღებული ვიდეოკადრების საფუძველზე დააკავეს. ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში დავით აფციაურისა და ბოლნისის გამგებლის ზურაბ ჯაფარიძის დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც გამგებელმა მასში ერთ-ერთი ის პიროვნება ამოიცნო, რომელიც არეულობის დროს მას ურტყამდა. თავად დავით აფციაური კი ამ ბრალდებას უარყოფს. სამართალდამცავთა მტკიცებით, **„ჟღალთმიანმა აფციაურმა ბოლნისის ინციდენტის შემდეგ თმა გადაიპარსა."** პოლიციის ვარაუდით, აფციაურმა გარეგნობა იმიტომ შეიცვალა, რომ რუსთავიდან გაქცევას გეგმავდა. დავით აფციაური "ნაციონალური მოძრაობის" რუსთავის ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტივისტია. რუსთაველი "ნაციონალები" ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში აფციაურზე ზემოქმედების ფაქტებზე საუბრობენ და ჩივილს აპირებენ.

პოლიციამ თავად აფციაური ჯაფარიძესთან დაპირისპირების შემდეგ გაათავისუფლა.

# რუს ჟურნალისტებს ქართველი კოლეგების მსგავსი პრობლემა შეექმნათ

რუს ჟურნალისტებს არჩევნების წინ იგივე საკანონმდებლო პრობლემები შეექმნათ, რომლებიც ქართველმა კოლეგებმა ამ ცოტა ხნის წინათ მოაგვარეს. საუბარია საარჩევნო კანონმდებლობაზე, რომელიც, ზოგიერთ რუსი ჟურნალისტის აზრით, არღვევს მოქალაქეთა უფლებას - თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

როგორც გახსოვთ, მსგავსი პრეტენზია ქართულ მედიასაც გაუჩნდა და პრობლემა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით მოაგვარეს. სამართლის საძიებლად იმავე გზას მიმართეს რუსმა ჟურნალისტებმაც.

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ დაიწყო რადიოსადგურ "ეხო მოსკვის", ყოველკვირეული გაზეთის - "როდნაია გაზეტას" და რეგიონული გაზეთის - "სვეტლოგორიეს" წარმომადგენლების მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა. სასამართლოს მოუწევს "რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საარჩევნო და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებების ძირითადი გარანტიების შესახებ" ფედერალური კანონის რიგი მუხლების კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვა.

მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ ამ კანონის მოთხოვნები არღვევს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-3, 29-ე და 32-ე მუხლებს, ანუ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებას, თავისუფლად მიიღონ, გადასცენ და გაავრცელონ ინფორმაცია და მნიშვნელოვნად ზღუდავს აზრის გამოთქმის თავისუფლებას.

კანონის სადავო ნორმები, ჟურნალისტების აზრით, მიუღებლად აფართოებს წინასაარჩევნო აგიტაციის გაგებას და ზღუდავს იმ პირთა წრეს, რომელსაც უფლება აქვს, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აზრი გამოთქვას საინფორმაციო საშუალებებში. მათივე აზრით, კანონის მიხედვით არ არის დაზუსტებული, რა სახის ინფორმაცია შეიძლება ჩაითვალოს წინასაარჩევნო აგიტაციად; რაც საშუალებას იძლევა, აგიტაციად მონათლოს ნებისმიერი აზრი, მსჯელობა, შეფასება ან დეპუტატობის კანდიდატის სახელთან დაკავშირებული ცნობა.

მოსარჩელეთა თქმით, საინფორმაციო საშუალებებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნება. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ კანდიდატები, რომლებსაც უფლება აქვთ, წინასაარჩევნო კამპანია აწარმოონ მხოლოდ შესაბამისი საარჩევნო ფონდების სახსრებით და საარჩევნო კომისიები, რომლებსაც თავიანთი მასალების გამოქვეყნების უფლება აქვთ.

ამგვარად, სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ კანონის სადავო მუხლები ხელისუფლების არჩევისას ამომრჩეველს ართმევს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას და ინფორმაციის მიღების უფლებას, რაც ასე მნიშვნელოვანია სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

მოსარჩელეები ასევე მიიჩნევენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვა და ამ პრივილეგიის მინიჭება მხოლოდ საარჩევნო კამპანიის შედეგებით უშუალოდ დაინტერესებული ადამიანებისთვის, კონსტიტუციის კიდევ ერთი - მე-19 მუხლის დარღვევაა, რომელშიც მოქალაქეთა თანაბარუფლებიანობაზეა საუბარი. **24 საათი**

# რუსული ალმასების გამო გავლენიანი ბიზნესმენი დააპატიმრეს

ისრაელის ალმასის ბირჟის ხელმძღვანელის მოადგილე აბრაამ ტრაუბი რუსეთიდან დაუმუშავებელი ალმასების კონტრაბანდისთვის დააპატიმრეს. რუსი სამართალდამცველების თხოვნით, ტრაუბი ინტერპოლის თანამშრომლებმა უნგრეთში დააკავეს.

ინფორმაციას მისი დაპატიმრების შესახებ ადასტურებს ალმასის ბირჟის პრეზიდენტი შმუელ შნიტცერიც, რომელიც აცხადებს: "ბირჟის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია ტრაუბის უდანაშაულობაში და ელის შემდგომ ინფორმაციას. მისმა ოჯახმა კი ადვოკატი დაიქირავა, რომელიც ყველაფერს გაარკვევს და მოაგვარებს".

ტრაუბი ისრაელში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ალმასებით მოვაჭრეა, თუმცა, იქაური ტრადიციის საპირისპიროდ, ვაჭართა დინასტიის გამგრძელებელი არ გახლავთ. მისი კომპანიის - Avraham Traub Diamonds-ის წლიური ბრუნვა 20 მილიონ დოლარს შეადგენს.

როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, ტრაუბის გარემოცვა და მისი საქმიანი პარტნიორები დაპატიმრების შესახებ ცნობამ ძალიან შეაშფოთა - რუსი ჩინოვნიკები აღარ აპირებენ, იგნორირება გაუკეთონ იმ კანონებს, რომელთა შესრულებაც აქამდე აუცილებლად არ მიაჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან დაუმუშავებელი ალმასების გატანა კარგა ხანია, აკრძალულია. ამ პრივილეგიით მხოლოდ ორი რუსული კომპანია სარგებლობდა; თუმცა, ისრაელელი ბიზნესმენების განცხადებით, მათ ამ საკითხთან მიმართებაში პრობლემები აქამდე არასოდეს შექმნიათ.

2002 წლის შემოდგომაზე ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსული ალმასის ექსპორტის ლიბერალიზაციის თაობაზე, თუმცა კანონი მხოლოდ რუსი იუველირების უფლებებს აფართოებს.

საინფორმაციო წყაროების ცნობით, რუსულ ალმასებთან დაკავშირებული უკანასკნელი მხვილი აფიორა 180 მილიონი დოლარი "ღირდა". ვინმე კოზლიონოკმა და მისმა სამმა თანამზრახველმა სწორედ ამ თანხის ღირებულების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ალმასები და ძვირფასეულობა მიითვისეს. სხვათა შორის, კოზლიონოკმა 2002 წელს ამოწურა სასჯელის ვადა და ციხიდან გამოვიდა.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# ვის ავირჩევ?!







### ირინე ნიკოლაიშვილი

ვის მივცემ ხმას ოთხი წლის შემდეგ?!

მას, ვინც პოლიციას მოუვლის, კანონს დაუმორჩილებს.

პოლიცია თითქმის ყველაფერთან არის დაკავშირებული: დამნაშავეებთან გარიგებაში, უკანონო დაკავებასთან და ქრთამით გათავისუფლებასთან.

თუ თქვენ, პოლიცია, თვითონ არ დაიცავთ კანონს და სხვის უფლებებს, მაშინ რა თქმა უნდა, უამრავი ქურდი იქნება. თუმცა, იქნებ თქვენ გაწყობთ, რაც უფრო მეტია ქურდი, მით უფრო მეტია ქრთამი და მათგან შემოსავალი.

ამიტომაც, არაფერს არ აკეთებთ.

არავინ იცის, კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდება ეს ყველაფერი. მარტო ფულზე ნუ იფიქრებთ, ჰქენით სიკეთე - კანონი დაიცავით.

### ანა აბესაძე

მიდიხარ სამარშრუტო ტაქსით და გზაში ჟგუფ-ჯგუფად გხვდება მსუქანი „მათხოვრების" გუნდი. გააჩერებენ ერთ მანქანას და მძღოლს ორლარიანი მზად აქვს. ართმევენ ფულს, ურცხვად იდებენ ჯიბეში. შემდეგ კი თავისუფალი ხარ! ამ შემთხვევის უამრავი მაგალითი არსებობს, ყველამ შესანიშნავად იცის და ყველა ხედავს . ქუჩაში მდგარი პოლიციის გუნდი არც ერთ მანქანას არ ტოვებს. ჰა, ერთი, ორი სამი მანქანა გამოტოვეს. მერე მიდიიი, ისევ!

მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის კარგად ნაცნობი და თვალსაჩინოა ეს პრობლემა,

-სამარშრუტოთი ხომ უამრავი ადამიანი მგზავრობს, არავინ ცდილობს ამის მოგვარებას. ზოგი შეიძლება ფიქრობს, რომ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც არსებობს, მაგრამ ესეც ხომ საშინელებაა- ასე ფიქრი.

ეს პოლიცია იცავს კანონს?! ხალხის შრომით ისინი ივსებენ ჯიბეებს და ჩვენს აზრს ყურადღებას არ აქცევენ. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ეს პრობლემა მოგვარდება.

**მანამ თუ არა, მაშინ მაინც, როცა ჩემი თაობა გააკეთებს არჩევანს.**

### ქეთი ჯოხაძე

ხშირად, უსუფთაობა ხალხის აზროვნებასთან არის დაკავშირებული.

ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი რუსთაველზე მოვსეირნობდით. გზის პირას იდგა ქალი და სიგარეტს ყიდდა. უცებ, გახსნა სიგარეტის ბლოკი და რაც ზედმეტი მოეჩვენა, პირდაპირ მანქანების სავალ გზაზე გადაყარა. მე და ჩემი მეგობარი მივედით მასთან და შენიშვნა მივეცით. ხოლო მან გაბრაზებულმა გვიპასუხა:

- თქვენ ნუ ნერვიულობთ ამას მოგვიან.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ იმ ქალისგან ორი ნაბიჯის მოშორებიტ სანაგვე ყუთი იდგა.

აქვს მნიშვნელობა ვის მივცემთ ხმას? - ვიდრე საზოგადოება წესიერად არ იაზროვნებს სწორი არჩევანის გაკეთებასაც ვერ მოახერხებს.

### გიორგი თათარაშვილი

დღეს, მე რომ მქონდეს არჩევანის მიცემის უფლება, ვფიქრობ, რომ არავის მივცემდი ხმას, მაგრამ, მაშინ, ალბათ, ჩემს ხმას სხვა გამოიყენებს და არჩევნებიც გაყალბდება.

მე უნდა დავიცვა ჩემი უფლება და ყოველთვის გავაკეთო არჩევანი.

ოთხი წლის შემდეგ, როცა ამის უფლება მექნება, ხმას იმას მივცემ, ვინც სუფთა ქალაქს დამპირდება. ამაზე ხუთი წელია ვოცნებობ, მას შემდეგ, რაც გერმანიიდან ჩამოვედი და ვნახე, რომ სუფთა ქალაქი ოცნება არ არის.

არც კარგი გზებია საოცნებო. ამდენი ავარია და უბედურება იმიტომ ხდება, არ არის კარგი გზები. რა თქმა უნდა, განათებაც მოსაწესრიგებელია. მუდმივი დენი ხომ უბრალოდ აუცილებლობაა.

უნდა გაუქმდეს „მარშრუტკა" და მის მაგივრად უნდა იაროს ავტობუსმა და უნდა იყოს მითითებული დრო, რომელ საათზე გაჩერდება გაჩერებაზე. გაჩერებებიც უნდა დადგინდეს.

მე, რომ მექნება არჩევანის უფლება, ხმას იმას მივცემ ვინც ამას გააკეთებს და თუ არ შეასრულებს, პასუხსაც მოვთხოვ და აღარ ვენდობი.

### ანა ჯინჭარაზე

ამის გაფიქრებაც კი საშინელებაა, მაგრამ ფაქტიურად ასეა- ხალხი თითქოს შეეჩვია ნაგავში და არეულობაში ცხოვრებას. ნაცრისფერ ქვეყანაში ამის გამო სიმშვიდეს ვერ იპოვნი, თვალს არ აწყნარებს სიმწვანე. დანგრეული გზები , ამ გზებზე მორახრახე გაუმართავი ტრანსპორტი. ნეტა ხალხი არ ფიქრობს ხოლმე, როგორ შეიძლება ამასთან ბრძოლა? ზუსტად ხალხი. ყველაფერში ბრალი მიუძღვის ხალხს და ისევ ხალხს შეუძლია ყველაფრის გამოსწორება, მაგრამ ძირითადად ამით არ ინტერესდებიან. მე რა, ამისთვის ხომ არსებობს სპეციალური განყოფილებებიო, იმათ იზრუნონო. ყველა სხვას ავალებს და აბრალებს. მაგრამ მაგალითია საჭირო. მოკლედ საფიქრალი ბევრია, გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი. ვის უცდიან, ან რას?

ვნახავ, ოთხ წელიწადში რა მოხდება და იმის მიხედვით გავაკეთებ არჩევანს, იქნებ მანამ ხალხიც მიეჩვიოს დემოკრატიას.









# წერილები მთავრობას

### მარიამ ლორია

გარეგნული სისუფთავე, ქუჩები, მტკვარი...

რუსთავში წყალი კვირაში ერთხელ მოდის. მაღალ სართულებზე კი სულ არ მოდის. ბევრი უბედური შემთხვევაა, რომ წყლით მოწამლული ადამიანი დაიღუპა, ან კრიტიკულ მდგომარეობაშია მისი სიცოცხლე. რუსთავში რომ მივდივარ, ბოთლით წყალი მიმაქვს და ვიზოგავ, რომ წყურვილით არ მოვკვდე. ზოგჯერ მაინც ვერ ვანაწილებ ზუსტად და მიწევს რუსთავის წყლის დალევა, საზიზღარი გემო აქვს. ორი დღის წინ გავიგე, რომ თურმე თბილისშიც ყოფილა რაღაც დაავადების ჩხირები.

რა უნდა ვქნათ?

წყურვილით დავიხრჩოთ თუ დავლიოთ, მოვიწამლოთ და ისე მოვკვდეთ?!

ეს ყველას პრობლემაა. უამრავი მდინარე გვაქვს, მაგრამ ორგანიზება ჭირდება, რომ წესიერად გაიწმინდოს, გაიფილტროს და შემდეგ ჩვენს სახლებამდე მოვიდეს. რუსთავში იმდენად არიან წყალს დანატრებულები, რომ ოღონდ მოდიოდეს და გემოს ვინ დაეძებს და ალბათ, მათი ორგანიზმი უვარგისი წყლით ნელნელა ავადდება. თუ სახლში წყალი არ გაქვს, ვერც სისუფთავეს დაიცავ.

ამ დროს რუსთავში კეთდება ბაღები- ლამაზია, ფერადი სკამებით და ვარდისფერი ყვავილებით, რომელიც სულ რამდენიმე დღე ძლებს: ხალხი თხრის და თელავს. თავიდან, როცა ფერადი სკვერები გამოჩნდა, მომეწონა, მეგონა მაგარი საქმე გაკეთდა, მაგრამ ორ კვირასაც ვერ გაძლო საქანელებმა. ეტყობა ძალიან მსუბუქ წონაზეა გათვლილი, ორი წლის ბავშვზე და ეტყობა ცოტა უფროსმა ბავშვებმა არ უნდა ითამაშონ და იქანავონ. ალბათ ბევრი ფული სჭირდება ბაღების მოწესრიგებას. ამ დროს ჩვენს გარშემო ხალხი წყლით ავადდება. გარეგნული წესრიგი და სისუფთავე, ქუჩების სილამაზე, თუ ადამიანების ჯანმრთელობა?!

ქალაქის გარეგნული ეფექტები ბევრს ატყუებს. ზოგს არც აინტერესებს რა ხდება რუსთავში, ან სადმე, სხვაგან, არც ინფორმაციას უსმენს და ვერ იგებს რომ წყალში ჩხირებია და გონია, რომ ყველაფერი კარგად არის.

არ სჯობია ჯერ ელემენტარული სისუფთავე შევიქმნათ და მერე გადავიდეთ პრანჭვაზე?

როცა ჩემი დრო დადგება, მე იმას მივცემ ხმას, ვინც ადამიანების კეთილდღეობაზე იფიქრებს და ხალხს თვალებში ნაცარს არ შეაყრის.

### თამუნა კაპანაძე

მივდივარ თბილისის ქუჩებშო და ვხედავ, როგორ მათხოვრობს ხალხი. განა ეს სამართლიანია?! ბევრჯერ მინახავს გამვლელ-გამომვლელი, რომელიც ზიზღით შეხედავს ამ საცოდავ, უსახლკარო და უფულო ხალხს, საშველი სულ არ არის. ის საცოდავი წვალებით დააგროვებს რაღაც კაპიკებს და გახარებულია-ფული მაქვსო. გავარდება ბაზარში და ...ფასები კატასტროფულია! მე ვიცი და მჯერა, რომ აქედან გამოსავალი არსებობს და ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ ყველა ერთნაირად ხომ არ ფიქრობს , მით უმეტეს კი ის ადამიანი, რომელიც დღე და ღამე მიწისქვეშა გასასვლელში ზის და მათხოვრობს-მას იმედი დაკარგული აქვს და არც არავინ ეუბნება, ნუ გეშინია, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო.

ჩემი მეზობელი მოხუცი ქალი, რომელსაც თავისი ეზოც აქვს და მას ავტოფარეხად აქირავებს, ჩვენთან სახლში მოდის და ვაჭმევთ-ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პენსია არა აქვს და ეს მხოლოდ მის პრობლემას არ წარმოადგენს. ნებისმიერს რომ კითხოთ, უამრავი შემთხვევა ეცოდინებათ ამგვარი.

უამრავი ბავშვი მინახავს, რომელიც სკოლაში დაგლეჯილი ფეხსაცმლით და დახეულ, დაკონკილი ქურთუკით დადის, ისიც მინახავს და გამიგია, რომ ის წიგნსაც ვერ ყიდულობს. რა ქნას მან? ზოგიერთი მშობელი მუხლჩაუხრელად შრომობს, ზოგიერთს კი სამუშაო ვერ უშოვნია.

ბევრია, ძალიან ბევრია ასეთი შემთხვევა და სხვაც ბევრი. ამის დასაწერად მთელი დღე არ მეყოფა და ვფიქრობ, ყველაფრის დაწერა შეუძლებელიცაა.

მომავალ არჩევნებზე ნამდვილად ვიცი, რომ იმას მივცემ ხმას, ვინც დღევანდელ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ამ პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს.

### მაია პავერმანი

ყველას უნდა ჰქონდეს უფლება იყოს ჯანმრთელი. ამისთვის საჭიროა, რომ ის ადამიანები, რომლებიც მართავენ ან მუშაობენ ისეთ დაწესებულებებში, როგორციცაა საავადმყოფო, სასწრაფო დახმარება და ა.შ. იცავდნენ ყველა კანონს, რომელიც ეხება ამ სფეროს. თუ ადამიანი სასწრაფოში რეკავს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ესაჭიროება სასწრაფო დახმარება. მაგრამ უმეტესად სასწრაფო აგვიანებს, რასაც უბედური შემთხვევა მოჰყვება. ზოგჯერ კი სასწრაფოც უარს ამბობს დახმარებაზე იმის გამო, რომ დახმარება სჭირდება ადამიანს, რომელიც მაღალ სართულზე ცხოვრობს და ლიფტი არ მუშაობს. ან, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც იგი სახლში მარტოა, ესაჭიროება სასწრაფო დახმარება და ვერ ურეკავს, რადგან არ აქვს ფული. ან იმ შემთხვევაში, როდესაც სასწრაფო დროზე მოდის, მიყავს პაციენტი საავადმყოფოში, მაგრამ იქ არ არის სინათლე, საჭირო მედიკამენტები.

მე მივცემ ხმას იმას, ვინც ადამიანის ჯანმრთელობის უფლებას დაიცავს.

### ნინო გელაშვილი

ჯანდაცვა ადამიანის ყოფის აუცილებელი პირობაა. თუმცა ამჟამად საქართველოში სიტყვა ჯანდაცვა თითქმის ყველასთვის ფუფუნებად იქცა. ეს, ალბათ, ნაწილობრივ

მთავრობის და ნაწილობრივ ექიმების ბრალიც არის. მთავრობა არ ზრუნავს ხელფასებზე და წამლებზე, რომელიც ექიმების მუშაობისთვის და ხალხის ჯანმრთელობისთვის არის საჭირო. ამიტომაც ხდება ისე, რომ ექიმები პაციენტებს ორჯერ და სამჯერ მეტ ფულს ართმევენ , ვიდრე სინამდვილეშია საჭირო და მკურნალობისთვის საჭირო წამლებიც პაციენტის საყიდელი ხდება. მაშინ რა უნდა ქნას მარტოხელა ავადმყოფმა პენსიონერმა, რომელიც ისედაც მცირე, 14 ლარიან პენსიას თვეობით უშედეგოდ ელის.

მე იმას მივცემ ხმას, ვინც თავის მოქალაქეს ღირსეული ცხოვრების პირობებს შეუქმნის.

### თამარ ახობაძე

ჩემი აზრით, ქვეყნისთვის ახალგაზრდობის განათლებულობა ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს ახალგაზრდობა როცა გაიზრდება ქვეყნის მართვაც მას დაევალება. ხოლო გაუნათლებელი მთავრობა ქვეყნისთვის დამანგრეველია. ის, რა სიტუაციაც ახლა არის - და სკოლებში საშინელებაზე საშინელებაა. სკოლაში საზეპიროები და ტვინში ტენვაზეა დამყარებული მასალით უმეტესობა ვერაფერს სწავლობს. ასევე მასწავლებლებს სწავლების ენთუზიაზმი არ აქვთ, ხოლო უინტერესო მასწავლებელთან სწავლა ნებისმიერი საგნის უინტერესო ხდება. ჩემი აზრით დიდი და შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს ბავშვი სკოლაში როგორ განათლებას მიიღებს და როგორ აღიზრდება. სკოლიდან გამოსული ბავშვი თავისუფლად უნდა აზროვნებდეს და ყველა საგანზე თავისი თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება უნდა შეეძლოს. ჩემი აზრით, სრულიად დაუშვებელია მასწავლებლების მიერ ბავშვების „დამანდრაჟება" ნიშნებზე, ან მათგან ქრთამის აღება. ეს ფაქტი ბავშვში იმის შესაძლებლობას ნერგავს, რომ შეიძლება ქრთამი აიღო, რომ ეს დასაშვებია და ნორმალური. უმაღლეს სასწავლებლებში უარესი სიტუაციაა. როცა ქვეყნის ახალგაზრდობის ოთხმოცი პროცენტი უმაღლესში აბარებს, არანორმალურია. მისაღებ გამოცდებზე ჩაწყობა, ან ქრთამით ნიშნის მომატება დაუშვებელია. გამოდის ისე, რომ განათლების დონე ეცემა. მაგალითად, გერმანიაში ახალგაზრდობის 40% აბარებს უმაღლესში, ხოლო დანარჩენები სხვა სკოლებში მიდიან, სადაც ხელობას სწავლობენ. ეს ყველაფერი უნდა დაბალანსდეს.

საზოგადოება განათლებით შეიქმნება და განათლების ორგანოებში მყოფი გარემოს მიხედვით. მე, პირადად, იმ ბლოკს მივცემდი ხმას, ვინც დიდ აქცენტს განათლების სისტემის გამოსწორებაზე გააკეთებდა.





### მარიამ წიბახაშვილი

განათლება- რა არის განათლება? მე სიტყვა მიჩვენებს, რომ გონების განათებას, გონების გახსნილობას ნიშნავს. ადამიანი განათლებული ვერ დაიბადება. ბავშვის განათლებაზე ზრუნავენ მშობლები და შემდეგ უკვე მასწავლებლები. მაგრამ, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, რომელშიც ბავშვი იზრდება. მე, როცა ადამიანთან ვმეგობრობ, ვეკონტაქტები, ვაკვირდები და ვხვდები, როგორ გარემოში ცხოვრობს და იზრდება. ბევრი ჩემხელა ბავშვი მინახავს, რომელიც შეიძლება აბსოლუტურად სხვანაირი ყოფილიყო, მაგრამ გარემოს, მშობლების და ალბათ, მასწავლებლების გამოც სულ სხვა ცხოვრების გზას დაადგა. ჩემი აზრით, თუ ადამიანი სწორი მიმართულებით ცხოვრობს, სწავლობს და ნორმალურ გარემოში იზრდება, მაშინ ის რაღაც კარგს გააკეთებს და სწორად აზროვნებს. ადამიანს, თუ სწორი აზროვნება არ შეუძლია, მაშინ ის, გინდა პრეზიდენტი გახდეს და გინდა მაღაზიაში იმუშაოს, მაინც ვერ გააკეთებს საქმეს კარგად. ანუ ადამიანს ყველაფერში სჭირდება განათლება - რა პროფესიისაც არ უნდა იყოს. მშობლებს ჩვენი იმედი აქვთ - ბევრჯერ მომისმენია, რომ : „აი, ესენი გაიზრდებიან და იქნებ, ამათ მაინც შეცვალონ რამე". მაგრამ როგორ შეცვლის ახალი თაობა მდგომარეობას, როცა არც ჩვენ არ გვასწავლიან და უმეტესობა საერთოდ არ კი ფიქრობს ამაზე. ამითი, რა თქმა უნდა, მე არ ვამტყუნებ ყველა მასწავლებელს. პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს განათლება!

განათლება თუ მოწესრიგდება, მოწესრიგდება ბავშვი. ის ბავშვი გაიზრდება და რაც მთელი ცხოვრება აწუხებდა და რაც მის თვალწინ ცუდი ხდებოდა, იმას გამოასწორებს.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
დანართის შემდეგი ნომერი გამოვა 28 ოქტომბერს

www.24hours.ge
24
B

# იოჰანეს ზემლერი:
# ფაქტია - რაღაც უნდა შეიცვალოს...

*"900 კავკასიელიდან 600 ქართველი იყო. ყველა ერთ დიდ დარბაზში შეგვკრიბეს. მოგვთხოვეს, პატივი გვეცა მათი წარმოშობისთვის, რელიგიური მრწამსისთვის და მათთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული წეს-ჩვეულებებისთვის. ჩვენ, გერმანელი ჯარისკაცები და ისინი აბსოლუტურად თანაბარი უფლებებით ვსარგებლობდით.*
*ჩვენს ერთობლივ სამთო შენაერთს "ბერგმანი" ერქვა. ამ გაერთიანებაში ქართველ ემიგრანტთა ყოფნის მიზანი შემდეგი იყო: სიშორის გამო გერმანია კავკასიას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა და რუსებისა და გერმანელების ჭიდილში საქართველო რუსებისგან განთავისუფლდებოდა... ეს იყო იმ დიდი ქართველების ერთადერთი მიზანი..."*
*გვესაუბრება საქართველოზე შეყვარებული კიდევ ერთი უცხოელი, ოღონდ ძალზე ავტორიტეტული და გავლენიანი პირი, რომელიც მხოლოდ მეგობრებისა და ქართველების სიყვარულის გამო დიდი შემართებით ეხმარება ჩვენს ქვეყანას. თუმცა, არა იმისთვის, რომ საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭებინათ. უბრალოდ, პროფესორ, დოქტორ ზემლერს, რატომღაც, ქართველები უყვარს.*

მაია ჭალაგანიძე

- 80 წლის ვარ, მაგრამ ჩემს უკან მდიდარი და ლამაზი ცხოვრება დგას. რა თქმა უნდა, ამ ხნის მანძილზე ყველაფერი დადებითი არ ყოფილა, მაგრამ როცა გადავხედავ, ღირებული ცხოვრება განვვლე.

ჰამბურგში დავიბადე და ცხოვრების დასაწყისი იქ გავატარე. მოგვიანებით ბერლინში ვცხოვრობდით. სამწუხაროდ, ჩემი მშობლები გაიყარნენ.

მამა პროფესიით იურისტი და აუდიტი, ერჰარტის წინამორბედი - ერთ-ერთი უდიდესი აუდიტორული ფირმის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. შემდეგ იგი ინგლის-ამერიკული ეკონომიკის განვითარებას ხელმძღვანელობდა.

წარმოშობით დიდგვაროვანი, იურისტთა ოჯახის შვილი ვარ. დედა ცნობილი სავაჭრო ოჯახიდან იყო. მისი ოჯახი არგენტინა-სამხრეთ ამერიკის სავაჭრო ურთიერთობებს აგვარებდა. დედას არასდროს უმუშავია, სამ შვილს უვლიდა.

## კარგია, როცა სახელმწიფო ჯარისკაცს იყენებს

- სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო პრაქტიკა ავსტრიაში გავიარე. თავიდან სარეკრუტო განათლება მივიღე - სროლის ტექნიკა შევისწავლე. 2-თვიანი პრაქტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა და სამთო ჯარებში რომ ღირსეულად მემსახურა, გამოწრთობისთვის 1900 მეტრ სიმაღლეზე ხის კარავი უნდა აგვეშენებინა. ეს პატარა საცხოვრებელი მთამსვლელებისა და ტურისტებისთვის ღამის სათევი ბანაკივით იყო.

დღეში ორჯერ, ზურგით აგვქონდა სამშენებლო მასალა. ამით გამძლეობა გვიმუშავდებოდა და თან სასარგებლო საქმეს ვაკეთებდით. სხვათა შორის, ეს კარვები ახლაც ამ დანიშნულებით გამოიყენება.

ჯარების წვრთნას ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოწყობაც ემატებოდა. მარტივი სამუშაო იარაღებით აკეთებდნენ გზებს, რათა შემდგომ ტურიზმი განევითარებინათ.

ძალიან კარგია, როდესაც სახელმწიფო ჯარისკაცს ქვეყნისთვისაც იყენებს.

**- ზურგით რომ აგურები აგქონდათ, მაშინაც ასე ფიქრობდით?**

- არა, მაშინ ვილანძღებოდით. მაგრამ გვესმოდა, რომ გამძლეობა კარგი რამ იყო ჩვენთვის.

**- შემდგომ, სამოქალაქო ცხოვრებაში რამდენად გამოადგათ ჯარში შეძენილი ეს თვისება?**

- ომისთვის ეს კონდიცია აუცილებელია. ამ წვრთნის გარეშე ომის სირთულეებს ვერ გადავიტანდი. გარდა ამისა, ორგანიზმი მომზადებული მქონდა და მშვიდობიანობის დროსაც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობდა ჩემს მოღვაწეობაში.

**- სამხედრო კარიერა რა წოდებით დაასრულეთ?**

- ობერლეიტენანტის (უფროსი ლეიტენანტი) ჩინით...

## ომი უნდა წაგვეგო და წავაგეთ კიდეც

**- "ბერგმანზე" რას იტყვით?**

- სამი მეოთხედი წლის მერე ერთი ოფიცერი გავიცანი, რომელმაც სამთო გაერთიანებისთვის ჯარისკაცების შეგროვება შემომთავაზა. წავედით მიტენვალდში, სადაც სამთო ჯარების უმაღლესი სკოლაა. იქ კი ჩემთვის სრულიად უცხო სიტუაციაში აღმოვჩნდი - იყვნენ ჯარისკაცები, რომელთა ენა საერთოდ არ მესმოდა. ასეთი სამთო გაერთიანება სულ ხუთი იყო - ქართველთა სამი, თითო-თითო აზერბაიჯანელთა და ჩრდილოკავკასიელთა კომპანია და ცოტაც სომეხთა.

**- ყველა კავკასიელად მიგაჩნდათ, თუ ერთმანეთისგან ანსხვავებდით?**

- ვიცოდით, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობისანი იყვნენ, მაგრამ ოფიციალურად ამას არ ვაღიარებდით. გერმანელი ჯარისკაცების ამოცანა ბრძოლების წინ მათი მომზადება იყო.

მიქენვალდი ზღვის დონიდან 800 მეტრზე განლაგებული მთებით გარშემორტყმული ქალაქია. სწორედ ეს მთები იყო ჩვენი სავარჯიშო მოედანი. ომის დამთავრების შემდეგ, როგორც კი მიქენვალდში მოვხვდი, იმ წამს მთებზე ავედი - მაინტერესებდა, რა შედეგებს მივაღწევდი მძიმე ტვირთის გარეშე... ისეთი სისწრაფით ავედი, რომ კუნთები დამეჭიმა.

ომის დაწყებამდე ადმონდის სამთო ჯარებში, გაერთიანება "ბერგმანში" ვმსახურობდი. კავკასიაში ყოფნისას გავხდი უნტეროფიცერი, მერე საოფიცრო სკოლა დავამთავრე და ფელდფებელობა (ლეიტენანტობა) მივიღე. 1943 წელს "ბერგმანი" ყირიმში იბრძოდა. 1944 წელს უკან დახევისას ობერლეიტენანტობა მივიღე. 1944 წელს (უკან დახევა), ბალკანეთი... 1945 წლის 28 აპრილს, საკუთარ დაბადების დღეს იუგოსლავიაში ტყვედ ჩავვარდი. 1948 წელს გავთავისუფლდი ტყეობიდან... ომში 5-ჯერ დავიჭრი...

**- გერმანულმა ჯარმა, თავად მებრძოლებმა დამარცხება როგორ გადაიტანეს?**

- კავკასიიდან უკან დახევა არამხოლოდ ფიზიკურად, სულიერადაც რთულად გადასატანი იყო. "ბერგმანი" ყველგან დიდი წარმატებით მიიწევდა წინ. ვერც გერმანელებმა და ვერც ქართველებმა გავიგეთ, რატომ ვიხევდით უკან. ამაში მხოლოდ ჩვენს ხელმძღვანელობას ვადანაშაულებდით. ყირიმამდე კიდევ არ გვეგონა, რომ კავკასიას დავკარგავდით. მიუხედავად იმისა, რომ უკან ვიხევდით, "ბერგმანი" ბოლომდე იბრძოდა...

საბერძნეთში ჩვენთვის ყველაფერი სულ ერთი იყო და ერთადერთს ვფიქრობდით - რუსებს არ ჩავვარდნოდით ხელში. ჯარისკაცთა დიდი ნაწილი გაიქცა, მათ შორის, ქართველებიც, ზოგი რუსებთან გადავიდა. მათი ბედი ჩემთვის უცნობია...

**- გერმანიისთვის კავკასია რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი და სასურველი?**

- კავკასია ბაქოს ნავთობით იყო საინტერესო.

კარგად მომზადებული ჯარი ვიყავით - სწრაფად გადავიარეთ უღელტეხილები და იალბუზზეც ავედით. ჯვრის უღელტეხილის აღება კავკასიის დაპყრობას ნიშნავდა. მაგრამ, ზურგი არ გვქონდა გამაგრებული. ჰიტლერის სხვა ბევრ შეცდომასთან ერთად ისიც შეცდომა იყო, კავკასიის აღებას რომ ერთ წელიწადში აპირებდა.

ეს ომი რომ გამართლებული არ იყო და უნდა წაგვეგო - ცხადია და წავაგეთ კიდეც. უბრალოდ, მოვლენებზე ვსაუბრობ.

**ქართველები ჩემს ცხოვრებაში...**

- პოზიტიურად მოაზროვნე ადამიანი ვარ. ვცდილობ, ყველა სფეროდან და სიტუაციიდან დადებითი ემოციები წამოვიღო.

**- ქართველებმა რით გაგამდიდრეს?**

- ქართველებში დადებითი თვისებების მოძებნა არ გამჭირვებია. მქონდა ურთიერთობა არაჩვეულებრივ, კულტურულ, მოაზროვნე ქართველ ემიგრანტებთან. მათი განათლება და ინტელექტი აღმაფრთოვანებდა. ისინი სულით ხორცამდე ქართველები იყვნენ - მიშა დადიანი ზუგდიდიდან, დოდიკ ჭავჭავაძე კახეთიდან, გოგლიკ ვაჩნაძე, ვიქტორ ხომერიკი... გარდა ამისა, იყო ისეთი პიროვნება, რომელსაც ქართველებიცა და გერმანელებიც ერთნაირ პატივს სცემდნენ - გივი გაბლიანი. ეს კაცი ყველას დასაყრდენი იყო. შხარა, უშბა და თეთნულდი სწორედ მისგან ვიცოდი. დადიანი სულ სამეგრელოს იგონებდა, ჭავჭავაძე - კახეთს და კახურ ღვინოს.... აი, ამ ხალხმა გამაცნო საქართველო, რომელთაც საკუთარი ქვეყნის სიკეთე მთელი არსებით სურდათ - სხვა არავითარი მიზანი არ ჰქონიათ. გერმანულ ჯარში სამსახურის დროსაც საქართველოს რუსებისგან გათავისუფლების სჯეროდათ...

ბევრი რამ ვისწავლე ჩემი ქართველი მეგობრებისგან, განსაკუთრებით ერთი წინადადება არ დამავიწყდება - გერმანელებს კარგი სმა შეუძლიათ, მაგრამ მათ არ იციან, რომ დალევამდე უნდა ჩაუფინო... ამას ასე მოგვიანებით, საქართველოში ვახორციელებ.

**- დაემთხვა თუ არა ქართველ ემიგრანტთა მონათხრობი იმას, რაც საქართველოში ჩამოსულმა ნახეთ?**

- საქართველო, რომელიც უკვე მიყვარდა, ომის დამთავრების შემდეგ ვნახე. დაახლოებით, 23-ჯერ ჩამოვედი და ამ დროში უამრავი მეგობარი შევიძინე. მათ უფრო გააღრმავეს ჩემი შთაბეჭდილება და სიყვარული ამ ქვეყნის მიმართ. ომში მეგობრის გაჩენა აუცილებელია - შენ მასზე ხარ დამოკიდებული და იგი შენზე... იქ გაჩენილი მეგობრობის შეგრძნება მთელი სიღრმით საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შევიგრძენი.

თუ მკითხავთ, რატომ დავდივარ ასე ხშირად საქართველოში, გიპასუხებთ, რომ არა მხოლოდ ლამაზი ბუნება, არამედ - აქ მცხოვრებ ადამიანთა სულიერი სილამაზე მიზიდავს...

## დამოუკიდებლობის ათ წელიწადში მეტის გაკეთება შეგეძლოთ...

- მამასავით იურისტი და აუდიტი ვარ. პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარი იურიდიული ფირმა გავხსენი, მაგრამ უამრავი ცნობილი ფირმის მრჩეველი გახლავართ.

ვარ გერმანიის აუდიტთა გაერთიანების დირექტორთა საბჭოს წევრი. 11 წლის განმავლობაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრიული ფირმის ფინანსური განყოფილების შეფი ვიყავი. იქიდან წამოსვლის შემდეგ თავისუფალ იურისტად ვიქეცი და ეკონომიკურ და იურიდიულ სფეროში ბევრი დიდი ფირმის მრჩეველი გავხდი: "დაიმლერ ბენც" (ახლა "დაიმლერ კრაისლერის"), "დაიმლერ ბენც ეროსპეის" მეთვალყურეთა საბჭოს წევრი, უდიდესი გამომცემლობა "ახელ სპრინგერის", სააქციო საზოგადოება "ჰუგო ბოს"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ა.შ.

**- ყველა ეს კომპანია წარმატებულია. დიდი ხანია, საქართველოში დადიხართ და ბიზნესგარემოს იცნობთ... რა ხდება საქართველოში?**

- გერმანიის საქართველოსთან შედარება არ შეიძლება. "დაიმლერი" 100 წლის ფირმაა და არც სხვები არიან ახალგაზრდები. ხვალისთვის ყველაფრის გაკეთება არ ხერხდება. ქართული და გერმანული ეკონომიკის განმასხვავებელი ნიშანი უინიციატივობაა. იქნებ, ამის მიზეზი რუსეთის 70 წლიანი კარნახია - ადამიანი ვალდებული არ იყო, გამოეჩინა ინიციატივა, ყველაფერს ზემოდან კარნახობდნენ.

თუმცა, საქართველოში ინიციატივის ზრდის მაგალითები არსებობს. ერთი ფაქტი მახსენდება: ყაზბეგში ვიყავი. ყაზბეგის სახლმუზეუმის წინ ორი ქალი და ბავშვი დავინახე - გვიდნენ. საქართველოში ეს საკმაოდ იშვიათი სანახაობაა და ვიკითხე, თუ ვინ დაავალათ ამის გაკეთება. მიპასუხეს - არავინაც არ დაგვავალაო. აბა, რატომ გვით-მეთქი, - გავიკვირვე, - დახვეტილი უფრო ლამაზი არისო, - მიპასუხეს... საქართველოში ათასამდე ქალი რომ ასე საკუთარი ინიციატივით გამოვიდეს და დახვეტოს, კარგი არ იქნება?

სვანეთში ყოფნისას მილიონჯერ მიპასუხეს - თბილისი არ გვეხმარებაო... მათ ასეთი ცუდი გზები აქვთ, მანქანებს ამტვრევენ. იქ კი უამრავი ქვა და ხრეშია. შრომის მარტივი იარაღებითაც შეიძლება იმ ორმოების ამოვსება. მერე კი შეუძლიათ, დარეკონ თბილისში და ასფალტი მოთხოვონ...

სვანეთში მკითხეს, ტურიზმის განვითარებისთვის რისთვის უნდა მოეკიდათ ხელი... რა უნდა ვუთხრა, როცა ელემენტარულსაც არ აკეთებენ: უცხოელ ტურისტს თეთნულდზე ასვლა რომ გაუადვილონ, ამისთვის ხეებზე გზის მაჩვენებლების მიკვრაა საჭირო... ეს ყველაფერი რომ ვუთხარი, მთხოვეს, მოდი, ნახევარი წელი დარჩი და გვიკარნახე, რა უნდა გაკეთდესო...

ინიციატივების მაგალითები ვნახე გუდაურში, ქობულეთში, სადაც მშვენიერი კერძო სასტუმროებია. შრომის მოთხოვნილება თუ შინაგანად არ გაჩნდა, ისე არასდროს არაფერი მოხდება.

70 წლის მანძილზე ის ხომ მაინც დავინახეთ, რომ როდესაც ეკონომიკა სახელმწიფოს ხელშია, არაფერი ვითარდება.

"დაიმლერ კრაისლერი"-ს შეფი ვიქტორ მანგოლდი საქართველოში ჩამოვიყვანე, რათა დაეანგარიშებინა, რა სჭირდებოდა საქართველოში ტურიზმის განვითარებას. მხოლოდ პროექტი 350 000 მარკა ჯდებოდა. მანგოლდი საქართველოში ამ ფულს ვერ ამოიღებდა და მომავალშიც ვერ დაინახა თანხის მოგების პერსპექტივა... ეს საქმე ჩაიშალა...

თუ ტურიზმის განვითარება გვსურს, საერთაშორისო დონის აეროპორტი მხოლოდ თბილისში არ უნდა იყოს. არც ერთი გერმანელი არ ჩამოფრინდება თბილისში, რომ მერე 5 საათი იაროს და შავ ზღვაში იბანაოს...

**- შეიძლებოდა თუ არა ამაზე მეტის გაკეთება საქართველოში ათწლიანი დამოუკიდებლობის ეპოქაში?**

- უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა და ბევრი რამის თავიდან აცილებაც.

აქ ორ ისეთ ძირითად პრობლემას ვხედავ, ამის გადაჭრის გარეშე ქვეყანა სწორ გზაზე ვერ გავა. ერთი: ბიზნესის ქრთამით დაცვა - საწარმო რომ განავითარო, გადასახადების გადახდა საკმარისი არ არის. ვიღაც აუცილებლად უნდა მოქრთამო, რომ საქმიანობაში ხელი არ შეგეშალოს. ხანდახან, იმდენი ხარჯია, რომ ახლად ფეხზე დამდგარი წარმოება ვერ უძლებს...

მეორე - კორუფცია. კორუფცია ცუდი ცხოვრებით არის გამოწვეულიო, ხშირად გამიგია. არ ვგულისხმობ იმ 35 ლარიან პოლიციელებს, რომლებიც ქუჩაში დგანან და 2 ლარს გართმევენ. ვსაუბრობ იმ ქართველებზე, რომელთაც მცირე ხელფასები აქვთ, მაგრამ, ისეთ სახლებს აშენებენ და ისეთ ადგილებში დაბრძანდებიან, მსოფლიოს არც ერთი დიდი მეწარმე არ მისცემდა თავს ამის უფლებას...

## თუ თავი კორუმპირებულია, ფეხს წესიერებას ვერ მოვთხოვთ...

**- კარგად ვიცით, ვინ არის გერმანიისთვის შევარდნაძე. თქვენი აზრით, საქართველოსთვის მსგავსი მასშტაბის რა გააკეთა ჩვენმა პრეზიდენტმა?**

- მიმაჩნია, რომ კორუფციასთან ბრძოლის მომენტი შევარდნაძემ ხელიდან გაუშვა. კორუფცია უნდა მოსპოს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რომ თავად არ არის კორუმპირებული - საკმარისი არ არის. მინისტრები განათლებულები უნდა იყვნენ და მაგალითს უნდა იძლეოდნენ. ვიღაცისთვის რომ კარგი მეგობარი და კარგი კაცი ხარ, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნისთვის საკმარისი არ უნდა იყოს.

უმაღლესი იერარქიიის დონეზე ყველა სუფთა თუ არ იქნება, მთავრობა ვერ იფუნქციონირებს. თუ თავი კორუმპირებულია, ფეხს წესიერებას ვერ მოვთხოვთ.

**- არჩევნების პერიოდში მოხვდით ჩვენთან და ამ თემაზეც მინდა გკითხოთ...**

- არ მივეკუთვნები ისეთ ადამიანს, რომელიც საქართველოში ერთი თვე დარჩება, კარგად მოითამადებს, იქეიფებს და მერე რჩევებს იძლევა. მე რომ ამომრჩეველი ვიყო, მხოლოდ იმ პარტიას ავირჩევდი, ვისაც ძალა შესწევს, ეს ყველაფერი დაძლიოს.

დიდ უპირატესობას მივანიჭებდი იმ ადამიანებს, რომელთაც კორუფციასთან არაფერი აქვთ საერთო.

მეგობრები ხელისუფლებაშიც მყავს და ოპოზიციაშიც.

ისინი სხვადასხვაგვარად ხედავენ სიტუაციას. მე კი ვხვდები, რომ ფაქტია - რაღაც უნდა შეიცვალოს...

**- როგორ ახერხებთ ამ ასაკში ასე მხნედ და ენერგიულად ყოფნას?**

- კარგი ქართული ღვინო უნდა დალიოთ.



იოჰანეს ზემლერი "24 საათის" რედაქციაში.







## ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება „კოპალაში"



ალექს ბურდიშევი, ნინო კეშელავა და რამაზ რაზმაძე.

ნანა ბასილაშვილი

თბილისში არსებულ მრავალრიცხოვან გალერეებს, თითქმის, ერთი თვის წინათ კიდევ ერთი ახალი გალერეა შეემატა. საგამოფენო დარბაზი, რომელსაც "კოპალა" დაარქვეს, 9 სექტემბერს საკმაოდ საინტერესო გამოფენით გაიხსნა. დღეს "კოპალაში" უკვე რიგით მეორე გამოფენა მიმდინარეობს. ახალი გალერეა სამ შესანიშნავ თანამედროვე მხატვარს - ნინო კეშელავას, ალექს ბერდიშევსა და რამაზ რაზმაძეს მასპინძლობს. მათ თავიანთი შემოქმედება ერთობლივად, 50-მდე ნამუშევრით წარმოადგინეს. სახვითი ხელოვნების თაყვანისმცემლები ვერნისაჟით მეტად კმაყოფილნი დარჩნენ.

"კოპალაში" წარმოდგენილ თანამედროვე ქართულ ფერწერას, გრაფიკასა და ქანდაკებას დამთვალიერებელი ხმამაღლა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) აფასებდა. მასპინძლების მიერ მხატვართა ოფიციალური წარდგენის შემდეგ მათზე აზრის გამოთქმის საკმაოდ ბევრი მსურველი აღმოჩნდა.

გალერეის ერთ დარბაზში დამთვალიერებელს ცოლ-ქმარი ნინო და ალექსი მასპინძლობდნენ. კედლის იქით (მეორე დარბაზში) კი, თუკი ვინმეს კითხვა გაუჩნდებოდა ფერწერულ ტილოებთან დაკავშირებით, რამაზ რაზმაძე საკუთარ შემოქმედებაზე ანუ ქართულ სიურეალიზმზე, შეძლებისდაგვარად, ამომწურავად ესაუბრებოდა. მას, რა თქმა უნდა, არც ჩემთვის უთქვამს უარი: - "მე პლასტიკურ სიურეალიზმში ვმუშაობ. ჩემს შემოქმედებაში, ალბათ, ნაციონალური ელემენტები იგრძნობა. ვცდილობ, წარმოვაჩინო, რომ ეს არის სიურეალიზმის ქართული ვერსია. აქ, ძირითადად, ჩვენი ღარიბი ცხოვრებაა ნაჩვენები, რომელიც თავისთავად საკმაოდ სიურეალისტურია და ამდენად უცხოელისთვის კოლორიტულიც ხდება. ჩემი ნამუშევრები გამოფენილა - ლოს ანჯელესში, ტორონტოში, ნიუ იორკში და საკმაოდ ხშირად მომდის რეცენზიები, სადაც აღნიშნავენ, რომ მსგავსი არაფერი უნახავთ - ანუ ეს მათთვის უცხოა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნახატები, ზოგადად, ყველასთვის განსხვავებული იყოს და ამას, გარკვეულწილად, ვაღწევ კიდეც. ქართველებისთვის სიურეალიზმი არამშობლიურია, უცხოელბში კი ქართული ხელწერა სიახლის განცდას იწვევს".

მუდმივი სიახლე და თანამედროვე ფერწერასთან "ფეხდაფეხ სიარული" ალექს ბერდიშევის კრედოა. რამაზ რაზმაძისაგან განსხვავებით, იგი აბსტრაქტულ სიურეალიზმს წარმოგვიდგენს. გამოფენილი ნამუშევრები (გრაფიკა, ზეთი, კომპიუტერული გრაფიკა) ბერდიშევის შემოქმედების მცირე ნაწილია.

"ნაკლებად მაფიქრებს ის, თუ რას იტყვიან ჩემზე, უბრალოდ, მინდა, საერთაშორისო დონეს მივაღწიო და იმედი მაქვს, რომ მივაღწევ, მთავარია, ტექნიკა და ხარისხი - ეს არის ჩემი მიზანი. შესაძლოა, ცოტა ამბიციურიც ვიყო, მაგრამ მხატვრობაში იმდენია გაკეთებული, რომ ძალიან ძნელია, რაიმე ახლის შექმნა. ამიტომაც საკუთარ შემოქმედებას მუდმივად ვაკონტროლებ", - ამბობს ალექს ბერდიშევი.

ფერწერულ და გრაფიკულ ტილოებს ნინო კეშელავას რამდენიმე ქანდაკება და დეკორაცია ამშვენებდა. საკუთარ ხელოვნებას ნინო მედიტაციას უწოდებს: "ჩვენი ნამუშევრები, მხოლოდ და მხოლოდ, გრძნობების შედეგად იბადება. აბსოლუტური ქაოსიდან ვცდილობ, ჭეშმარიტი ხელოვნება შევქმნა - ყველას სილამაზე ვაჩვენო და დავარწმუნო, რომ ქუჩაში ნაპოვნი ჟანგიანი მეტალებისაგან ემოციური პორტრეტის შექმნაც კი შეიძლება".

ალექს ბერდიშევისა და რამაზ რაზმაძისთვის ეს უკვე მეორე ერთობლივი გამოფენაა. ახლა მათ ნინო კეშელავაც შეუერთდათ. სამეული ნოემბრისთვის უკვე მესამე გამოფენას გეგმავს. "კოპალა" კი მათ კიდევ ერთ კვირას უმასპინძლებს.

## ვინ უნდა გაქაჩოს ქართული კულტურა

ნინო ჟანიშვილი

რატომ არ არის პოპულარული თბილისის საგალერეო ცხოვრება, რატომ ვერ ხორციელდება საინტერესო მხატვრული პროექტები საქართველოში, რატომ ვერ ახერხებს ქართული კულტურა ფინანსების მოპოვებას და რა უშლის მას ხელს, რომ თავის ქვეყანაშივე გახდეს პოპულარული – ეს ის საკითხებია, რომლებიც გუშინ ბაზრობა "კავკასია 2003" ფარგლებში მოწყობილ კონფერენციაზე დაისვა. კონფერენცია, რომელიც ხვალაც გაგრძელდება, გაზეთ "კულტურას" კორესპონდენტმა საქართველოში ვერა წერეთელმა მოაწყო. როგორც კონფერენციაზე გამოჩნდა, გალერისტების უმეტესობა ჩვენი სახელმწიფოთი უკმაყოფილოა, უფრო ზუსტად კი კულტურის სამინისტროთი. ისინი მოითხოვენ, რომ საერთოდ გაუქმდეს სამინისტრო, რომელიც არ ეხმარება მათ, პირიქით ხელსაც უშლით საქმის წარმართვაში და, ცხადია, ამ გალერისტებმა პრინციპულად გაწყვიტეს კავშირი კულტურის სამინისტროსთან.

გაირკვა ისიც, რომ თურმე, ქართველი მხატვრები ხშირად ტყუვდებიან საზღვარგარეთ. თურმე, ბევრი ქართველი მხატვარი უცხოეთში გაყიდული სურათების სანაცვლოდ ხელცარიელი ბრუნდება თავის ქვეყანაში. იურისტმა ნინო კუნცევამ სახელმწიფოზე განაწყენებულ გალერისტებს შესთავაზა, პირველ რიგში, საქართველოში კულტურაზე არსებული საკანონმდებლო ბაზის გაცნობა, შემდეგ კი ამ ბაზის თავიანთივე სასარგებლოდ გამოყენება; გალერისტებმა ნებისმიერ პროექტზე მუშაობის დროს მიმართონ იურისტებს და ეკონომისტებს, რათა მათი საქმიანობა ლეგალური და ამავე დროს წარმატებული გახდეს. გამოსვლის ბოლოს კი იურისტმა ნინო კუნცევამ ვილაც პროდიუსერის მიერ ნათქვამი სიტყვები მოიყვანა: "ნურასდროს ეძებთ ფულს, ეძებეთ იდეები, ხოლო თუ იდეები არა გაქვთ, ფულს ტყუილად ნუ დახარჯავთ". გამომსვლელთაგან ერთადერთი ვინც კულტურის პოპულარიზაციის საქმეში მედიის განსაკუთრებულ როლზე ისაუბრა, საფრანგეთში მოღვაწე თეატრის კრიტიკოსი ირინა ღოღობერიძე იყო. ამასთან ირინა ღოღობერიძე საქართველოში არსებულ სხვა პრობლემასაც შეეხო: "თუ აქ უნდობლობის სინდრომი არ მოიხსნა, ვერაფერი ვერ გაკეთდება, არ შემიძლია ისეთ სიტუაციაში მუშაობა, როცა მუდმივად არ გენდობიან და რაღაცის ეშინიათ. პროექტი მქონდა, რომ ის, რაც ქართულ თეატრში ფრანგული პიესების მიხედვით დაიდგა, ყველაფერი წარმოჩენილიყო, მაგრამ ამის საშუალება თეატრის და კინოს მუზეუმმა არ მომცა".

მართალია კონფერენციაზე მყოფი გალერისტები გამუდმებით კულტურის სამინისტროს და საკუთარ სახელმწიფოს საყვედურობდნენ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში ვერცერთმა გალერეამ ვერ მოახერხა, რომ თუნდაც ერთი მხატვარი "გაექაჩა" და ეს მხატვარი თავისი პოპულარობით ქართული შოუ-ბიზნესის რომელიმე "ვარსკვლავს" გატოლებოდა.

ხელოვნება, სათანადოდ რეკლამირებული და მიმზიდველად მიწოდებული საზოგადოებისთვის, ალბათ, შეუმჩნეველი არასდროს დარჩება. მაგალითისთვის კი რობერტ კაპას გამოფენის მოწყობა შეიძლება მოვიყვანოთ, რომელიც პრეზიდენტსაც კი არ დარჩა შეუმჩნეველი და თავად ეწვია გამოფენას.

## ახალი დრამატურგიის გასაცნობად

"ჩვენ დაკარგული კონტაქტების აღდგენას ვცდილობთ", - ამბობენ ფესტივალის მონაწილეები და ორგანიზატორები

ვერა ნეფარიძე

*ვიდრე "თავისუფალ თეატრში" რუსული დრამატურგიის ახალი თაობის წარმომადგენლები საკუთარ ნამუშევარს წარმოადგენდნენ, ფესტივალის ორგანიზატორმა დათო საყვარელიძემ სტუმრებთან ერთად კულტურის სამინისტროში პრეს-კონფერენცია გამართა და მოულოდნელად სრულიად ახალი ფესტივალის დაწყება გვამცნო. კავკასიის თეატრალური ლაბორატორიის ეს სეზონი ქართულ-რუსული თეატრალური კავშირების აღდგენას ეძღვნება.*

როგორც ცნობილია, გუშინ მოსკოვის დიდ თეატრში ქართული კულტურის დღეები გაიხსნა. სიმბოლურია, რომ კავკასიის თეატრალური ლაბორატორიაც 2003 წლის სეზონს ქართულ-რუსული თეატრალური კავშირების აღდგენას მიუძღვნის. ნიშანდობლივია, ალბათ, ისიც, რომ ე.წ. პარალელური ღონისძიებისთვის ყველანაირი ხარჯი თბილისის მერიამ და, უშუალოდ, პრეზიდენტმა საკუთარ თავზე აიღეს. თუმცა, როგორც გუშინ ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დათო საყვარელიძემ გვითხრა, მათი მიზანი არ ყოფილა ამ ორი ღონისძიების ერთდროულად გამართვა. ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური მიზნები შეგვიძლია ფესტივალს არც დავუკავშიროთ. "ახალი დრამატურგიის" ჩანაფიქრი გაცილებით საინტერესო მნიშვნელობას იძენს, რადგანაც საუბარია თეატრის იმ თაობის დაახლოებაზე (რაშიც, თავისთავად, ცუდი არაფერია), რომელთაც აქამდე, თითქმის, არანაირი პროფესიული კავშირები არ გააჩნდათ. კიდევ უფრო საინტერესოა ახალგაზრდა ქართველი თეატრალებისთვის თბილისში ევგენი გრიშკოვეცისა და მისი საკმაოდ გახმაურებული სპექტაკლის წარმოდგენა.



დათო საყვარელიძე სტუმრებთან ერთად კულტურის სამინისტროში.

ახალი დრამატურგიის გაცნობა გუშინ "თავისუფალ თეატრში" "ჟანგბადით" დაიწყო. ეს არის რუსეთში საკმაოდ მოდური თეატრალური პროექტი - ერთგვარი საკლუბო სპექტაკლი-კონცერტი სამი მსახიობის: ივან ვირიპაევის (რომელიც სპექტაკლის ტექსტის ავტორიცაა), ირინა როდიონოვასა და არინა მარაკულინას მონაწილეობით. სცენაზე, მსახიობების გარდა, დი-ჯეიცაა. წარმოდგენა საკლუბო კონცერტს ჰგავს – ჟღერს სტინგის, Portishead-სა და Nuclear Los-ის მუსიკა, რიტმული პროზა. რეჟისორ ვიქტორ რიჟაკოვის წარმოდგენამ რუსეთში ყველაზე მკაცრი კრიტიკოსების მოწონებაც კი დაიმსახურა. როგორ მიიღებს ახალ რუსულ დრამატურგიას ქართული აუდიტორია, ამის შესახებ საუბარი სპექტაკლების წარმოდგენის დასასრულს სჯობს. "ჟანგბადს" მოპოვებული აქვს ბერლინის, ტოსენისა და რუსეთის სხვადასხვა თეატრალური ფეტსივალების გრან-პრი. "ამ სპექტაკლით, ფაქტობრივად, ავტორებმა ევროპას გააგებინეს, თუ როგორ საუბრობს თანამედროვე ახალგაზრდა რუსი", - გვითხრა "ჟანგბადზე" საუბრისას დათო საყვარელიძემ. მისივე თქმით, თბილისში წარმოდგენილი დრამატურგების შემოქმედებას რუსეთშიც არაერთგვაროვნად ხვდებიან, განსაკუთრებით კი - ტრადიციული თეატრალური კულტურის გულშემატკივრები.

თბილისში მოწვეულ სტუმრებს შორის თეატრალური დასის წევრებთან ერთად თეატრალური მიმომხილველებიც არიან. რუსული სპექტაკლების პრემიერებზე დასწრების გარდა, თბილისში ისინი დაათვალიერებენ ქართულ თეატრებს (უკვე მოიარეს რამდენიმე მათგანი, სადაც ამჟამად რემონტი მიმდინარეობს), დაგეგმილია ევგენი გრიჟკოვეცის შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან (არამარტო თეატრალური სასწავლებლის). ცნობილი რუსი რეჟისორის ნამუშევრის – "როგორ შევჭამე ძაღლი," თბილისური პრემიერა "თავისუფალ თეატრში" ხვალ გაიმართება. გუშინ საღამოს "პატარა თეატრში" რუსულად ნათარგმნი ახალგაზრდა ქართველი დრამატურგების: ლაშა ბუღაძის, ბასა ჯანიკაშვილისა და მანანა დოიჯაშვილის ნამუშევრები წაიკითხეს. "სამომავლოდ გვინდა, საქართველოში მოვამზადოთ ქართულ-რუსული სპექტაკლი, რომელსაც შემდეგ რუსეთში ვაჩვენებთ", - დათო საყვარელიძემ ასეთი ჩანაფიქრიც გაგვიმხილა.

"ეს ფესტივალი არის პროცესი, რომელსაც დიდი ხანია ველოდით. ჩვენს თაობას აღარ აქვს კავშირები ერთმანეთთან. არადა, ძალიან საინტერესო პროცესებია საქართველოშიც და რუსეთშიც. ჩვენ სწორედ იმ ძველი და ტრადიციული თეატრალური კონტაქტების აღდგენას ვცდილობთ, რაც ყოველთვის არსებობდა", - გვითხრა "ჟანგბადის" თანაავტორმა ივან ვირიპაევმა.

## რა კავშირი აქვთ ალექსანდრე დიუმას, ფოთის პორტს და ნიკო ნიკოლაძეს

ნათია ვადაჭკორია

### თბილისიდან ფოთისკენ რიკოთის გავლით

ჟურნალისტებს, რომლებიც ფოთისკენ მიმავალ გზაზე საქართველოში საფრანგეთის ელჩის მირეი მიუსოს და საელჩოს პრესატაშეს ფაბიენ ლე-ბიანის კომპანიაში მოვხვდით, საინტერესო მოგზაურობა გველოდა. რიკოთის უღელტეხილზე ნარინჯისფერმოყვითალო, მომწვანო და მოწითალო ფერებით აჭრელებული გორაკები და ამაყად წამომართული მთები ფოთში მომლოდინე დღესასწაულისთვის გვამზადებდა. იგივეს ვერ ვიტყვი გზად შემხვედრ რესტორან "ზღაპარზე", რომელიც ზღაპრულად ნამდვილად ვერ უხვდება სტუმრებს. სამაგიეროდ, გრძელი გზისგან მოქანცულებს საკადრისად ფოთის პორტის უფროსი ჯემალ ინაიშვილი დაგვხვდა. საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობებისა და ფოთის პორტის 145 წლისთავის აღსანიშნავად, სპეციალურად, 2001 წელს ჩამოსხმული თეთრი ღვინო "წინანდალი" შევსვით.

### სტუმრიანობა ფოთში

მეორე დღეს, ფოთის მოსახლეობა დიდძალი სტუმრიანობის მოწმე გახდა. საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრების, სახელმწიფო და თავდაცვის მინისტრების და სხვა ოფიციალური პირების გარდა, ფოთში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრებიც ჩავიდნენ, მათ შორის - ფრანგული ჟურნალის "ექსპრესის" ცნობილი კორესპონდენტი სილვენ პასკიე (რომელმაც შემდეგ ბათუმში იმოგზაურა და ასლან აბაშიძისგან სამსაათიანი ინტერვიუ აიღო), ალექსანდრე დიუმას მეგობრების საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, მწერალი კლოდ შოპი და იმავე საზოგადოების გენერალური მდივანი შანტალ შემლა (რომლებიც დღეს თბილისის დიუმას ცენტრში ლიტერატურულ საღამოზე გვეპატიჟებიან). ამ ხალხმრავლობის მიზეზი სამი მნიშვნელოვანი თარიღის დამთხვევა გახლდათ – ფოთის პორტის 145, ნიკო ნიკოლაძის 160 წლისთავის იუბილე და 200 წლის ალექსანდრე დიუმას ძეგლის აღმართვა.



დიუმა ზღვას გასცქერის.

### საკვოიაჟზე ჩამომჯდარი დიუმა

დიუმას ძეგლის ფოთში დადგმა პორტის უფროსის ჯემალ ინაიშვილის იდეა გახლავთ, თუმცა პროფესიით არქიტექტორი პორტის უფროსი ძეგლის თანაავტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ. რეალური მოქანდაკეები ვალერიან ინიშვილი და ვალერიან ჯიქია გახლავთ, რომელთაც ძეგლზე მუშაობა იანვარში დაიწყეს. ბრინჯაოს სკულპტურა, რომელსაც გახსნამდე საფრანგეთ-საქართველოს დროშები ჰქონდა გადაფარებული, გახსნისას, იქვე მდგარი ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან შედარებით, საკმაოდ მომცროდ გამოიყურებოდა. ჯემალ ინაიშვილის იდეით, საკვოიაჟზე ჩამომჯდარი, მოგზაურობით დამაშვრალი დიუმა შავ ზღვას გასცქერის და საფრანგეთში მიმავალ გემს ელოდება...

### წარწერა ძეგლზე

"ეს ძეგლი აღიმართა ფრანგი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, მოგზაურის, პოეტის, მონადირის, მზარეულისა და ფილანტროპის ალ. დიუმას (1802-1870) პატივსაცემად. ალ. დიუმა ფოთში იმყოფებოდა 1859 წლის 22 იანვრიდან 1 თებერვლამდე. საქართველოში მოგზაურობის შესახებ იგი მოგვითხრობს წიგნში "კავკასია". ძეგლი გაიხსნა 2003 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, ფოთის ნავსადგურის უფროსის ჯემალ ინაიშვილის, ფოთის მერის დავით ქანთარიას და საქართველოში საფრანგეთის ელჩის, მირეი მიუსოს თანდასწრებით".

### ელჩების გზაგასაყარზე

საფრანგეთის ელჩი მირეი მიუსო თავისი ექვსწლიანი დიპლომატიური მისიის შემდეგ ორ კვირაში საქართველოს ტოვებს და ესტაფეტას ქალბატონ სალომე ზურაბიშვილ-კაშიას გადასცემს. სიმბოლურია, რომ საქართველოში მირეი მიუსოს მისიის დაწყებისას ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება თბილისში დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის გახსნა გახლდათ, ხოლო მისიის დასასრულს ელჩს ისევ ცნობილ მწერალთან შეხება მოუწია. ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ დიდხანს ვერ გაძლებს საქართველოსა და აქ მცხოვრები მეგობრების გარეშე, მით უმეტეს, რომ თბილისში მისი ძაღლი "ყაზბეგი" რჩება. მირეი მიუსო იმედს იტოვებს, რომ ყოველ ორ თვეში ერთხელ მაინც მოახერხებს საქართველოში ჩამოსვლას. პარიზში კი მას საკმაოდ სერიოზული საქმე ელის - საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დირექტორის პოსტზე ის დიპლომატიური არქივით დასაქმდება.

### ხობი 2003

ვერ გეტყვით, უბრალო დამთხვევა გახლდათ, თუ თბილისიდან ჩასული საპატიო სტუმრებისთვის მოწყობილი ლირიკული გადახვევა, მაგრამ ჩვენს იქ ყოფნაში ხობში მეგრული სიმღერის ფესტივალი გაიხსნა. ხობის სტადიონზე მისულებს ჯერ იყო და კონცერტზე არ გვიშვებდნენ, თუმცა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ მაგიურად იმოქმედა იქაურ დაცვაზე და ჩვენც ჟუჟუნა წვიმის ქვეშ მომღერალ ლელა წურწუმიას, თიკა ჯამბურიას და მეგრული წარმოშობის სხვა ვარსკვლავებს მოვუსმინეთ.

### თვალსაზრისი

კლოდ შოპი – ალექსანდრე დიუმას სპეციალისტი: "ალექსანდრე დიუმასთან ძალზედ ინტიმური კავშირი მაქვს, შეიძლება ითქვას, ჩემი საუკეთესო მეგობარია. გამოცემული მაქვს დიუმას ბიოგრაფია, რომელშიც აქამდე უცნობი დეტალებია აღნიშნული. ფრანგებისთვის დიუმა ხომ უკვდავი ლეგენდაა. გარდა ამისა, მწერლის ნაწარმოებებს თავიდან გამოვცემ წინასიტყვაობებით, კომენტარებით და საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი დეტალებით. ამიტომაც, ამ მოვლენის გამო ძალზედ აღელვებული ვარ, თანაც დიუმას სკულპტურა საფრანგეთის ფარგლებს გარეთ აქამდე არც დაუდგამთ. გარდა ამისა, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ დიუმას კავკასიაში მოგზაურობის დროს ქართველები ძალზედ მოეწონა და გორში მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭი საფრანგეთში სახლის მმართველადაც წაიყვანა."

ფრანსუა ლორანი – საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშე: "დიუმას ძეგლის ფოთში აღმართვა არ გახლავთ ჩვეულებრივი ღონისძიება, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამყარებს საქართველო-საფრანგეთის კულტურულ თანამშრომლობას და ამტკიცებს, რომ ჩვენი ურთიერთობა მძლავრი, სიცოცხლისუნარიანი და რეალურია".

## მოსკოვში ქართული მუზები ალაპარაკდნენ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ.მოსკოვში

ქართული კულტურის ფესტივალი მოსკოვში დაიწყო რუსეთისა და საქართველოს კულტურის მინისტრების - მიხეილ შვიდკოისა და სესილი გოგიბერიძის საგანგებო პრესკონფერეცნიით, რომელიც რუსეთის თანამედროვე ისტორიის სახელმწიფო ცენტრალურ მუზეუმში გაიმართა. მასპინძელი, რაღა თქმა უნდა, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი იყო. მასპინძლების როლში იყვნენ თავად მიხეილ შვიდკოი და საქართველოს ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე. პრესკონფერენციის ოპტიმიზმი ჟურნალისტებსაც გადაედოთ. ამ მოვლენის გასაშუქებლად რუსეთის მასმედიის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი მოვიდა. იქვე დაგვიხვდა რუსეთის კულტურის სამინისტროს საერთაშორისო კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული ექსპოზიცია "საქართველოს პალიტრა", სადაც, პრესრელიზის მიხედვით, ჯიბსონ ხუნდაძის, ზურაბ ნიჟარაძის, გიორგი ალექსი-მესხიშვილის, დავით ალექსიძის, ნანა ჩურგულიას, მამუკა მიქელაძის ნამუშევრებია გამოფენილი. ცენტრალურ დარბაზებში კი მხოლოდ ზურაბ წერეთლის ფერწერა ხვდებოდა თვალს.

რა ხდება ასეთი განსაკუთრებული ორი ქვეყნის ურთიერთობაში? რატომ ეთმობათ დღეს ქართული კულტურის მოღვაწეებს მოსკოვის საუკეთესო სცენები - დიდი თეატრი, ჩეხოვის სახელობის "მხატი", ახალი და პრესტიჟული მუსიკის სასახლე, ჩაიკოვსკის დიდი საკონცერტო დარბაზი? სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ თავდაცვის მინისტრი პრევენციული დარტყმებით იმუქრებოდა; პუტინი ჰიტლერსაც შეადარეს - ახლა რაღასთან გვაქვს საქმე? ცნობისმოყვარე ჟურნალისტების მსგავსი შეკითხვები და დაბნეულობა დარბაზშივე გაანელა უნაკლო ქართულმა "საჭიდაომ" და წითელმა ღვინომ. წარმომადგენლობით პუბლიკას დარბაზში ჟურნალისტებთან ერთად სპეციალურად სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოფრენილი ქართველობაც წარმოადგენდა. რუსეთის კულტურის მინისტრის შვიდკოის საზეიმო ტონმა საზეიმო განწყობა კიდევ უფრო ამაღლებული გახადა.

**მიხეილ შვიდკოი: "ეს ფესტივალი ორმხრივი მონდომების შედეგია. ჩვენ მაღალ სამთავრობო ინსტანციებს ანგარიშს არ ჩავაბარებთ; არც მედლებს ვითხოვთ. მთავარია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ღრმა კრიზისიდან გამოვიდა. მთავარია, რომ ჩვენი კულტურა არასოდეს ემორჩილებოდა პოლიტკონიუნქტურას. ქართული და რუსული კულტურების გახლეჩა არ შეიძლება. დიახაც, რუსეთს აქვს კანონიერი ინტერესები ამიერკავკასიაში და მინდა, ჩვენი ორი ერი ბედნიერი ვიხილო.**

**ზურაბ წერეთელმა კი თქვა:" რა კარგია, რომ ყველაფერი მეორდება. ეს ამბავი ძველ საბჭოთა დროს მაგონებს".**

"რა კარგია, რომ ისტორია მეორდება - ის ისტორია, რომელსაც კინაღამ დავიწყების მტვერი წააყარეს", - ამბობენ ქართველი სტუმრები და რუსი მასპინძლები. ორი ქვეყნის ურთიერთობების ნიუანსების მცოდნე რუსი ჟურნალისტები კი მათ უსმენენ და, ალბათ, საკუთარ ყურებს არ უჯერებენ. რა მოუვიდა ჩვენს ქვეყანასო, - სახეზე აწერიათ. ალბათ, იქ, კრემლში რაღაც ხდება, არა? - გულუბრყვილოდ მეკითხება ტელეკომპანია "მირის" კორესპონდენტი; ჩემი არ სჯერა და პრესკონფერენციის შემდეგ კიდევ ერთხელ აზუსტებს კულტურის მინისტრებთან, თუ რამდენად ემორჩილება პოლიტკონიუნქტურას მოსკოვში ქართული კულტურის მასშტაბური ფესტივალი.

"კარგით რა, რა ყველაფერში პოლიტიკას ხედავთ. დღეს, მაგალითად, ია ნინიძის შემოქმედებითი საღამოა....იქ, კაზინო "იმპერიალში" - ესეც პოლიტიკაა? -აღშფოთებულია ზურაბ წერეთელი, - არ გინდათ პოლიტიკა,- ამბობს იგი, - მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად მიდის.

"არ გვინდა პოლიტიკა", - სახეზე გვაწერია მოსკოველ ქართველებს და კონცერტზე მივდივართ დიდ თეატრში - ქართული კულტურის მოღვაწეთა გალა კონცერტზე. შეიძლება სამეფო ლოჟაში პუტინიც ვიხილოთ. "მოვა თუ არა რუსეთის პრეზიდენტი"? - ეკითხებიან ჟურნალისტები საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს. ფესტივალის რანგი კულტურის სამინისტროების ფორმატს არ სცდება - ამდენად, პრეზიდენტს არ ელიან. "ალბათ, მოვა", - მაინც იიმედებენ თავს რუსი და ქართველი ჟურნალისტები. "მოვა არა, ის არ გინდათ?! "- იცინის პრესკონფერენციის დარბაზში მოულოდნელად შემოსული თენგიზ კიტოვანი.

რუსეთისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს დელეგაციები და ჟურნალისტები პრესკონფერენციიდან დიდ თეატრში ინაცვლებენ, სადაც დიდი გალა კონცერტი იმართება.

# სანამ სასამართლო გაიქცეოდეს

## ჰოფმან-ჰეკმანის 50-წლიანი ისტორია

"გაქცეული სასამართლო" – ასე ჰქვია ფილმს, რომლის მსოფლიო პრემიერაც ლოს ანჯელესში წინა კვირას გაიმართა; რომელიც ოფიციალურად დიდ ეკრანზე 17 ოქტომბერს, პარასკევს გამოდის; და რომელსაც ერთდროულად რამდენიმე კატეგორიის მაყურებელი ელოდება.

ა) ელოდებიან ჯონ გრიშემის ბესტსელერების თაყვანისმცემლები და ისინი, ვისაც ძალიან მოსწონთ გრიშემის ნაწარმოებების ადრინდელი კინოვერსიები: "ფირმა" (ტომ კრუზი, ედ ჰარისი, ჰოლი ჰანტერი), Rainmaker (კოპოლას ფილმი მეტ დეიმონისა და დენი დე ვიტოს მონაწილეობით), "კლიენტი" (ჯოელ შუმახერის სურათი, სიუზენ სარანდონით და ტომი ლი ჯონსით)...

ბ) ელოდებიან ზოგადად თრილერის ჟანრის მოყვარულები.

გ) ჯონ კიუზეკის, დასტინ ჰოფმანის და ჯინ ჰეკმანის თაყვანისმცემლები – ოღონდ, რა თქმა უნდა, ელოდებიან – ცალ-ცალკე.

დ) და ბოლოს, ელოდება მაყურებელი, რომელმაც იცის, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ორი ნიჭიერი მსახიობი ჯინ ჰეკმანი და დასტინ ჰოფმანი ერთ ფილმში თამაშობენ.

თუ ამ ინფორმაციას დავუმატებთ იმასაც, რომ ჰოფმანი და ჰეკმანი ძველი მეგობრები არიან (მათ, თითქმის, 50 წლის ურთიერთობა აკავშირებთ), მაშინ მათი საუბრის მოსმენა, ალბათ, კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

საუბარი კი, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, "ნიუ იორკ ტაიმსში" დაიბეჭდა. ჯენიფერ სენიორი მსახიობებს ახალ ორლეანში შეხვდა. მეგობრები გულახდილად საუბრობენ ერთმანეთზე, ხუმრობენ, იხსენებენ მარლონ ბრანდოს, ძველ როლებს და, საერთოდ, ამერიკული კინოს ძალზე ინტიმურ და დღემდე უცნობ დეტალებს...

ინტერვიუს შესავალში ჯენიფერ სენიორი წერს:

**"სანამ ისინი "ოსკარებისა" და "ოქროს გლობუსების" საკმარის რაოდენობას დააგროვებდნენ, ორივე – ჰეკმანიცა და ჰოფმანიც, ხელმოცარული, მაგრამ იდეალისტი მსახიობი იყო, რომლებიც ნუგეშს ერთმანეთის კომპანიაში პოულობდნენ – ჯერ პასადენას თეატრალურ სკოლაში, 1956 წელს, შემდეგ კი მანჰეტენზე, ჰეკმანის ერთ პატარა, კეთილმოუწყობელ ბინაში, რომლის სააბაზანოსა და სამზარეულოს ონკანებს ცხელი წყალი არასდროს ღირსებია; იმავე ბინის სამზარეულოში ერთხელ ჰოფმანი დაეცა და შემდეგ ერთი შეუმჩნეველი, წყნარი ბიჭის, რობერტ დიუვალის დივანზე მიასვენეს...**

**მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მსახიობს (ჰეკმანი 73 წლისაა, ჰოფმანი – 66 წლის), თითქმის, ნახევარი საუკუნის მეგობრობა აკავშირებთ, მათ ფილმში ერთად არასდროს უთამაშიათ. "გაქცეული სასამართლო" ამის პირველი პრეცედენტია".**

**სენიორი:** როდესაც პასადენაში შეხვდით ერთმანეთს, ინტუიციურად რაღაცას აუცილებლად იგრძნობდით. რა იყო ეს?

**ჰეკმანი:** დიახ, ამაზე ადრეც მიფიქრია (თან ჰოფმანს უყურებს). შენ მაშინ ყველასგან განსხვავდებოდი. პასადენაში, თითქმის, ყველანი პირდაპირ საშუალო სკოლიდან მოვიდნენ, ამიტომ მე ყველაზე უფროსი ვიყავი. შენ კი, ალბათ – 18-19 წლის. მაგრამ, რომ დაგინახე, განსაკუთრებული არაფერი მიფიქრია. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ველვეტის ჟილეტი გეცვა.

**ჰოფმანი:** არა, შარვალიც მეცვა!

**ჰეკმანი:** ეგ ჰო, მაგრამ რას ვამბობ, იცი? მარტო ჟილეტი გეცვა-მეთქი – შიგნით არაფერი, და ვიფიქრე, - ბიჭო, ეს რა უცნაური ვინმეა-მეთქი.

**ჰოფმანი:** საერთოდ არ მახსოვს, რას ჰყვები.

**ჰეკმანი:** მე ხომ იქ მარტო ერთი წელი ვიარე.

**ჰოფმანი:** იტყუება, სამი თვე! მერე გამოაგდეს, - უნიჭოაო.

**ჰეკმანი:** ათბალიანი სისტემა იყო. ნიშნებს მოძრაობის, ინტერპრეტაციის, ჟესტიკულაციის მიხედვით გვიწერდნენ.

**ჰოფმანი:** კიდევ საკითხისადმი მიდგომის მიხედვით.

**ჰეკმანი:** მართალია.

**ჰოფმანი:** კიდევ იყო ხმის ლავირება, რომელიც შენ არასდროს გამოგდიოდა. ამიტომაც წიხლი გკრეს და გამოგაგდეს! მაგრამ, მერე გავგიჟდი, რადგან საბოლოოდ სცენაზე მაინც შენ გაგიყვანეს.

**ჰეკმანი:** და ჰო, იცი, ეგ რატომაც იყო – ასაკით ვიყავი დიდი. პიესას ერქვა: "ცნობისმოყვარე მის კარავეი".

**ჰოფმანი:** აბა, გამოიცანი, ვინ თამაშობდა კიდევ მაგ სპექტაკლში.

**ჰეკმანი:** ზასუ პიტსი – მუნჯი კინოს ეპოქის მსახიობი.

**ჰოფმანი:** ჰოდა, ერთ დღესაც ჰეკმანი მომადგა და მეუბნება, - გთხოვ, ჩემთან ერთად სცენაზე ამოდი. ვერც კი წარმოიდგენ, იქ რა ხდებაო. თურმე, თითოეული სკამის, თითოეული დივანის ზურგზე...

**ჰეკმანი:** ზასუ პიტსის სიტყვები არ ეწერა!.

**ჰოფმანი:** იცოდა, თურმე, რომელ საზურგეზე რა ფრაზა იყო, და სცენაზე ამის მიხედვით მოძრაობდა (დასტინი დგება და ჯინსა და ჯენიფერ სენიორს აჩვენებს, როგორ აკეთებდა ამას პიტსი).

**ჰეკმანი:** რა გიკვირს – მაშინ ის 75-80 წლის იყო.

**ჰოფმანი:** მართალი ხარ და ამას ახლაღა ვხვდები – ჩვენს ასაკში. მარლონ ბრანდოც ეგრე არ იყო? ყურზე პაწაწკინტელა მოსასმენი აპარატი უკეთია. სცენის მიღმა კი ზის ქალი, სახელად ქეროლაინი, რომელიც ბრანდოს თითოეულ წინადადებას კარნახობს. მეთიუ ბროდერიკმა, თურმე, ეგ არ იცოდა და როცა "პირველკურსელს" იღებდნენ, მიყვებოდა: გადაღების პირველი დღეა და ვზივარ ჩემთვის საწოლის კიდეზე, ბრანდო მეორე საწოლზე ზის და ერთმანეთს სახეში შევცქერით. მერე გადაღება დაიწყეს, ჩვენც ავლაპარაკდით. ბრანდო თვალებში მიყურებს, ვეკითხები რაღაცას, ბუნებრივად მპასუხობს, კიდევ, კიდევ და მერე უცებ ამბობს: "ქეროლაინ! ქეროლაიინ? რას შვრები, თევზის სენდვიჩს ჭამ? ქეროლაიიინ! არაფერი მესმის, რას ამბობ! შეწყვიტე ჭამაო! – გაგიჟებულა ბროდერიკი...



დასტინ ჰოფმანი და მისი პარტნიორი ფილმში რეიჩელ ვეისცი.



დასტინ ჰოფმანი და ჯინ ჰეკმანი 50 წლის მეგობრები არიან.

**ჰეკმანი:** ძალიან სასაცილოა.

**სენიორი:** თქვენი მანჰეტენზე ერთად ცხოვრების პერიოდში, ალბათ, განსაკუთრებულად გრძნობდით, რომ ერთმანეთის მეტოქეები ხართ. პირველი მნიშვნელოვანი როლი ხომ ორივესთვის 1967 წელს იყო?

**ჰოფმანი:** იცი, როგორ იყო ყველაფერი? ალბათ – არა. აბა, საიდან გეცოდინება, რომ "კურსდამთავრებულში" მისტერ რობინსონის როლი პირველად ჰეკმანს მისცეს. მერე გააგდეს და ასე მოხვდა "ბონი და კლაიდში". გაუმართლა, რა – უორენმა შემთხვევით გაიგო, რომ ჰეკმანი როლის გარეშე იყო დარჩენილი.

**სენიორი:** თქვენი დამსახურებაა, ჯინი თავიდან "კურსდამთავრებულისთვის" რომ შეარჩიეს?

**ჰოფმანი:** არა, მე არაფერ შუაში ვარ. მე, პირიქით, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ის როლზე არ დაემტკიცებინათ. სულელი კი არ ვიყავი, ჯინის ფონზე შეუმჩნევლად დარჩენა მდომებოდა?!

**სენიორი:** რატომ დაგითხოვეს "კურსდამთავრებულიდან"?

**ჰეკმანი:** ალბათ, იმიტომ, რომ ბოლომდე არ გავიხსენი. რეჟისორი ვერ მიხვდა, რისი "ამოქაჩვა" შეიძლებოდა ჩემგან.

**ჰოფმანი:** ჯინი დარწმუნებულია, რომ თავიდანვე არ უნდა გაიხსნა როლისთვის, თავიდანვე არ უნდა გაწირო თავი - ეს იმიტომ, რომ უფრო ბუნებრივად მოხდეს ყველაფერი, უფრო სპონტანურად. მსახიობის ასეთი დამოკიდებულება კი ხშირად ბევრ პროდიუსერსა და რეჟისორს აშინებს.

**ჰეკმანი:** ჩვენ ორივეს გვშურდა ბობი დიუვალის, რადგან მას ძალიან ადრე გაუმართლა. მე კი პროფესიული სამუშაო ნიუ იორკში ჩასვლიდან 7-8 წლის მერე ვიშოვე. შენ, მგონი, უფრო დიდი ხნის მერეც, არა?

**ჰოფმანი:** ჰო. საერთოდაც, უბრალო შემთხვევითობა იყო, რომ ჩვენ, სამივემ მიზანს მივაღწიეთ. მაგალითად, ჯინი მიდიოდა სინჯებზე, კარის ზღურბლთან ტოვებდა თავის 8-10-ზე ფოტოს, ერთხელ დააკაკუნებდა და გარბოდა.

**სენიორი:** რამდენად ეფექტური იყო ეგ ხერხი?

**ჰოფმანი:** იმდენად ეფექტური იყო, რომ ჯინი ბევრჯერ გადაურჩა დეპრესიას, რაც უარის პირდაპირ თქმას მოჰყვება ხოლმე.

**ჰეკმანი:** დღემდე ვიყენებ ხოლმე განტვირთვისთვის იმ პატარა სავარჯიშოს, რომელიც 1956 წელს, ოდესღაც დრამის გაკვეთილზე მასწავლეს.

**სენიორი:** რა სავარჯიშოა?

**ჰოფმანი:** რა და, ყველაზე დაუვიწყარი სექსის გახსენება, რაც კი ოდესმე გქონია.

**სენიორი:** და ეს ადამიანს განტვირთავს?

**ჰეკმანი:** წარმოიდგინეთ, რომ სკამზე ზიხართ - აი, ასე (კარგად მოკალათდება) და საკუთარ თავსეუბნებით: "უკვე 48 საათია ფეხზე ვარ. ალბათ, ამ სკამზე ჩამომჯდარმა უნდა დავიძინო და რა ვქნა, თავი რომ კომფორტულად ვიგრძნო? ამ კითხვას რომ დასვამ, მერე უნდა დაიწყო ძველი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებების გახსენება. აუყევი ფეხის თითებიდან ზევით მთელ შენს სხეულს... და როცა გაილვიძებ, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, თავს ფანტასტიკურად იგრძნობ. ეს რაღაც ძენის მაგვარი მედიტაციაა.

**ჰოფმანი:** რაღაც წიგნი წავიკითხე ერთხელ იმაზე, თუ რა განსხვავებაა ქალსა და მამაკაცს შორის სექსის დროს და მახსოვს, ერთი ქალი წერდა: "მამაკაცი სექსის დროს ძალზე ბუნებრივია, სექსი მათ "დნმ"-ში აქვთ გამჯდარი. ქალებს კი... ქალს სექსის დროს სჭირდება, თავი ისე იგრძნოს, თითქოს, მოდუნებულს ვიღაც დაიჭერს - ის სულ ამის, მამაკაცის ძლიერი ხელის მოლოდინში უნდა იყოს".

იგივე უნდა მოხდეს გადასაღებ მოედანზეც. იქაც გამუდმებით უნდა გრძნობდე, რომ თუ მოეშვები, ვიღაც მოვა და დაგიჭერს, მოშვების საშუალებას არ მოგცემს... და მგონი, ჯინიც ამას გულისხმობდა – ჩვენ რაღაცებს ვიხსენებთ, რაღაცებს ვეჭიდებით. აბა, კამერის წინ ორგაზმს როგორ მივაღწევთ, თუ თავს მშვიდად, კარგად, მოშვებულად არ ვგრძნობთ.

(სიჩუმე)

**სენიორი:** კარგი, ახლა მე სულ ავირიე.

**ჰოფმანი:** ჰო, ვიცი, რასაც გულისხმობთ. საკმარისია, სიტყვა "ორგაზმი" ახსენო კაცმა, რომ ყველა ყეყეჩდება.

**სენიორი:** აბა! მოდით, თემა შევცვალოთ. ერთად თუ გადიოდით ხოლმე რეპეტიციებს? რჩევებს თუ აძლევდით ერთმანეთს სხვადასხვა როლზე?

**ჰოფმანი:** არც ისე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, რომ ერთმანეთის როლები განვიხილოთ. იგივეს ვიტყოდი დიუვალზეც. უბრალოდ, ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქვს, სულ ეგაა.

თუმცა, არა, ვიტყუები. კიდევ შეიძლება არსებობდეს ერთი ქვეცნობიერი, ძალიან ინტიმური მიზეზი, რის გამოც, ხშირად არ ვიკრიბებით: შეხვედრა, ალბათ, მეც და ჯინსაც დაგვაყენებდა ერთი მიჩქმალული ჭეშმარიტების პირისპირ: რომ მე ისევ მაგიდებს ველოდები, ჯინს კი ისევ ავეჯი გადააქვს.

**ჰეკმანი:** ჰო, თითქოს, გეშინია: "ვაიმე, როდის შეიტყობენ ჩვენს საიდუმლოს?"

**ჰოფმანი:** "გაქცეულ სასამართლოში" ჩვენი ერთობლივი სცენა სულ ბოლოს გადაიღეს. როდესაც ყველაფერს მოვრჩით და მე და ჯინი თითოთითო ჭიქით განვმარტოვდით, მეკითხება: "არ გაქვს სულ ისეთი შიშნარევი განცდა, რომ, თითქოს, როდესაც ერთ ფილმზე მუშაობას მორჩები, მერე როლს აღარავინ გაღირსებს?"

**სენიორი:** მართლა ასეა? ანუ თვითრწმენის ხარისხი ისეთივე დაბალი გაქვთ, როგორც - კარიერის დასაწყისში?

**ჰეკმანი:** არა, მაგრამ, ეს კითხვა ასი წლის ძმაკაცივით მაინც სულ თან დაგდევს, რაღაც უცნაურად. მერე, თითქოს, მის არსებობას ეჩვევი კიდეც და ყოველ ჯერზე გაძლიერებული შიშით იმეორებ.

**სენიორი:** როგორ ფიქრობთ, ყველაფერს ახლა რომ იწყებდეთ, ასეთივე წარმატებული კარიერა გექნებოდათ? იმის გათვალისწინებით, თუ როგორ სცენარებს ანიჭებენ დღეს უპირატესობას და ვის აძლევენ როლებს...

**ჰეკმანი:** ერთი ვიცი, მე ნამდვილად ვერაფერს მივაღწევდი.

**ჰოფმანი:** ჩემი აზრით... შეიძლება ასეთი პოპულარობისთვის ვერ მიგვეღწია, მაგრამ სამსახიობო კლასი მაინც გამორჩეულად მაღალი გვექნებოდა.

# სარიტუალო კაბების მესაიდუმლე

## სალონი "მარიონელა" 10 წლისაა

*"მისი უდიდებულესობა მოდა", - ასეთი იყო იმ კოლექციის სახელწოდება, რითაც სალონი "მარიონელა" გუშინ ათი წლისთავის აღსანიშნავად ერთგვარი ანგარიშით წარდგა "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართულ ჩვენებაზე. იუბილეს გარდა, გუშინ "მარიონელასთან" ერთად მისი ერთგული მომხმარებლები კომპანიის ბოლო წარმატებასაც ზეიმობდნენ. რამდენიმე დღის წინათ ქართულ კომპანიას საუკეთესო საერთაშორისო ხარისხისთვის "ხარისხის გვირგვინი" მიენიჭა. გუშინ კი სამოდელო სააგენტოების: "ნატალისა" და "იმიჯ-ცენტრის" ლამაზმანებმა "მარიონელას" შემოქმედება წარმოადგინეს.*

ვერა ნეფარიძე

დავიწყებთ ისე, როგორც გუშინდელი საღამოს წამყვანმა ია ფარულავამ გახსნა "მარიონელას" თეატრალიზებული ჩვენება. "ათი წლის წინათ ქუთაისში დაარსებული სალონი დღეს უკვე სამოდელო კომპანიაა"; კომპანიას საკუთარი ფილიალები აქვს საქართველოს რამდენიმე ქალაქში. და, რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში "მარიონელამ" დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი ქართული მოდის სამყაროში. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს მათი სარიტუალო კაბები.

საერთოდ, "მარიონელა" ყოველთვის ასოცირდება სადედოფლო კაბებთან, რადგანაც მის პროდუქციაში სწორედ სადღესასწაულო კოსტიუმები ჭარბობს. "საპატარძლო კოსტიუმს ფაქიზად მიდგომა სჭირდება, რადგანაც ის სარიტუალო ტანსაცმელია და მასში ჯვრისწერის უდიდესი საიდუმლოება სრულდება", - ძალიან მოკლედ ასეთია სარიტუალო კაბებისადმი "მარიონელას" დიზაინერების დამოკიდებულება. მათ განსაკუთრებით აღიზიანებთ ახალგაზრდა კოლეგების თავაშვებული ფანტაზიები ე.წ. საპატარძლო კაბების შექმნისას და მიაჩნიათ, რომ ამით ეს დიზაინერები, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარ უცოდინრობას ამჟღავნებენ. რასაკვირველია, "მარიონელას" შემოქმედება მხოლოდ სადედოფლო კოსტიუმებით არ შემოიფარგლება, მაგრამ ასეთი კაბები სალონში განსაკუთრებულად ლამაზი რომ გამოსდით, გუშინდელ შოუზეც დავრწმუნდით. ჩვენებაზე ახალი კოლექცია იყო წარმოდგენილი. რაც მთავარია, ათი წლის თავზე სალონმა ახალი დიზაინერი მაკა ვეკუა და საკუთარი ფეხსაცმლის კოლექცია (დიზაინერი მაკა შელია) გაგვაცნო.

ატლასი, ბადე, შიფონი, გობელენი, ტაფტა, სირმის ძაფი, - სწორედ ამ მასალით იკერებოდა ექვსი თვის განმავლობაში "მარიონელას" სამოცი კოსტიუმი. ფერები – ძირითადად, ოქროსფერი და ვერცხლისფერი. აღსანიშნავია, რომ ეს კოლექცია დღეიდან უკვე თბილისში (აღმაშენებლის 69-ში) კომპანიის საფირმო მაღაზიაში გაიყიდება.





"იმიჯ-ცენტრისა" და "ნატალის" მოდელები წარმოადგენენ "მარიონელას".





საღამო საკმაოდ პომპეზური გამოვიდა. შოუში აქტიური როლი ეკისრებოდა ცოცხალ მუსიკას, რომელიც ლევან შენგელიასა და მის ჯგუფს ეკუთვნოდა. თავისთავად, სანახაობას გარკვეულ ხიბლს მატებდა თბილისში საკმაოდ პოპულარული სამოდელო სააგენტოების: "ნატალისა" და "იმიჯ-ცენტრის" ლამაზმანების, მათ შორის, ახალი სახეების ("იმიჯ-ცენტრმა" რამდენიმე ახალი პერსპექტიული მოდელი წარადგინა) მონაწილეობა.

"თავიდან რთული იყო. გვეგონა, ჩვენი სურვილი მოდების სალონის გახსნის შესახებ არასდროს შესრულდებოდა", - იხსენებენ "მარიონელას" უცვლელი დიასახლისები: მარინე უგულავა და ლელა ტურძელაძე. დასაწყისში სალონს ხუთი თანამშრომელი ჰყავდა. მრავალწლიანმა თანამშრომლობამ ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა თუ რუსეთის მოდის კომპანიებთან დიდი გამოცდილება დაუგროვა "მარიონელას". კომპანიის დიზაინერებმა ახლა, თითქმის, ყველა ქვეყნის სარიტუალო ტრადიციები, გემოვნება იციან და სწორედ ამის მიხედვით ქმნიან მოდელებს. სხვათა შორის, ორი-სამი წლის წინათ "მარიონელამ" თბილისში გამართულ მოდის კონკურსზე წარმოადგინა სადედოფლო კაბები, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონა სტუმრად მოწვეულ რუს დიზაინერს ალექსანდრე ზაიცევს. მაშინ მან განაცხადა, რომ კონკურსი, რომელსაც ესწრებოდა, დამწყები დიზაინერებისთვის იყო, "მარიონელას" კაბებს კი პროფესიონალთა ნამუშევარი უწოდა. დღეისათვის "მარიონელას" საკმაო ავტორიტეტი აქვს მსოფლიოს მასშტაბით. "ბიზნეს ინიციატივების მიმართულების" საერთაშორისო საკონკურსო კომიტეტის მიერ "მარიონელასთვის" მინიჭებული "ხარისხის გვირგვინი," ალბათ, კიდევ მეტად გაზრდის მის ავტორიტეტს. დაჯილდოების ცერემონიალი 1 დეკემბერს ლონდონში გაიმართება და ღონისძიებას, როგორც წესი, სხვადასხვა ბიზნეს დარგის ხელმძღვანელი, ექსპერტი, კულტურის მუშაკი თუ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი დაესწრება. გუშინ კი "მარიონელა" ქართული შოუ-ბიზნესისა და მოდის გულშემატკივრების წინაშე იწონებდა თავს. აღსანიშნავია, რომ გუშინდელი შოუს აუდიტორია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო.

# "დიქტატორი" ბექჰემი

ცნობილი ამბავია, საუკეთესო ლუდი გერმანელებს აქვთ, საუკეთესო ღვინო - ფრანგებს, საუკეთესო სიგარა კი - კუბელებს. მაგრამ არის კიდევ რიგი საკითხები, რომელშიც, როგორც ამბობენ, კუბელებს ბადალი არა ჰყავთ. ერთ-ერთი საკითხი, რომელშიც თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლები პირველობას არავის უთმობენ, ადამიანის უსაფრთხოების დაცვაა. მაგალითად ფიდელ კასტროს მოკვლის არაერთგზის მცდელობას ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხში სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები იყვნენ ჩარეულები, კასტრო დღესაც ასრულებს თავის მოვალეობებს. მთავარი კი ისაა, რომ თავდამსხმელებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს კუბელთა ლიდერის სერიოზულად დაჭრა. კუბური სპეცსამსახურების რამდენიმე აგენტმა მოახერხა ქვეყნის დატოვება და თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების წყალობით ევროპაში უმალ იპოვეს სამსახური.

დღეს მსოფლიოში ისეთი ვითარებაა, რომ მეტ-ნაკლებად ცნობილი ყველა ადამიანი იძულებულია, პირადი დაცვა ჰყავდეს. ჰოდა, ამისთანა ხალხს უსამსახუროდ ვინ დატოვებდა.

დაახლოებით ათი წელიწადია, მადრიდში მოქმედებს კერძო დაცვის სამსახური "ოტო და ანტონი", რომელიც კუბის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ყოფილმა ოფიცრებმა ჩამოაყალიბეს. დელფინ როდრიგესმა და აბელ ფერნანდესმა, რომლებსაც ფიდელ კასტროს უსაფრთხოება ევალებოდათ, 90-იანი წლების დასაწყისში მიიღეს პოლიტიკური თავშესაფარი ესპანეთში. ევროპაში გადაბარგებიდან ორი თვის თავზე კი კერძო დაცვის სამსახური ჩამოაყალიბეს. ამ ხნის მანძილზე კუბელებმა ისეთი ავტორიტეტი მოიპოვეს, რომ მათი მომსახურებით შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები და ცნობილი პოლიტიკოსები სარგებლობენ. კუბელთა მომავალი კლიენტი, ესპანური "El Mundo"-ს ინფორმაციით, მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი გახდება. ინგლისელის პოპულარობა, რა ხანია, სტადიონებს გასცდა და, როგორც თვითონ ამბობს, ყოველდღე მცველთა რაოდენობის გაზრდაზე ფიქრობს.

ბექჰემი დაცვის გარეშე არც მანამდე ყოფილა, მაგრამ, მისი თქმით, კლუბის მიერ დაქირავებული მცველები მოვალეობას თავს ვერ ართმევენ. რაში გამოიხატება ეს, ფეხბურთელი არ აკონკრეტებს. როგორც ვარაუდობენ, ასეთი გადაწყვეტილება ბექჰემმა მას შემდეგ მიიღო, რაც ფიგუს სახლი გაქურდეს. მართალია, ფიგუ ამ დროს შინ არ იყო, მაგრამ მცველებს სახლის მიტოვების უფლება არ ჰქონდათ.

მშვენიერი რეპუტაციის მიუხედავად, თავიდან ბექჰემი კუბელებს არ ენდო და გამოსაცდელად ერთი თვე დაუნიშნა. ვადა ორი დღის წინ გავიდა და, როგორც ესპანელები ამბობენ, ინგლისელი კუბელების მომსახურებით მეტად კმაყოფილი დარჩენილა. დაცვის ორი თანამშრომელი მას თურქეთშიც ახლდა თან. ერთი სიტყვით, მომავალი კვირიდან ბექჰემის უსაფრთხოებაზე "ოტო და ანტონი" იზრუნებს და, როგორც მისი დამფუძნებლები აღნიშნავენ, ფეხბურთელს თავს ისე აგრძნობინებენ, როგორც კუბელ დიქტატორს. ეს კი, "El Mundo"-ს თქმით, იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელის სიცოცხლეს მადრიდში ყოფნისას არავითარი საფრთხე არ დაემუქრება.



*დევიდ ბექჰემი.*

## TV-სპორტი

**სამშაბათი. 14 ოქტომბერი**

### HTB + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან-პაულუ" – "კორინთიანსი"
15:00 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უელსი – სერბია და ჩერნოგორია
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ფეიენოორდი" – "პსვ"
18:45 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 28-ე ტური
19:00 "წვრილმანები". შესარჩევი ციკლი
19:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
20:00 "პოსტსკრიპტუმი"
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 "ცხრიანი"
21:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი
23:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
23:30 თავისუფალი დარტყმა
23:45 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" – "ჩელსი"
01:30 "პოსტსკრიპტუმი"

### HTB + СПОРТ

06:00 ამერიკული ფეხბურთი. "ST. LOUIS RAMS" - "ATLANTA FALCONS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 16:45, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. "ST. LOUIS RAMS" - "ATLANTA FALCONS"
14:40 "კვირის თემა"
15:40 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
16:10 "რკინის ფაქტორი"
17:00 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "BUFFALO SABRES" - "DALLAS STARS". შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
21:00 ვარსკვლავური სამშაბათი
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 კალათბურთი. ევროლიგა ფიბა. "ხიმკი" (რუსეთი) – "ლიმასოლი" (კვიპროსი)
01:30 ახალი ამბები
01:45 "კეგლის დროა"

### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი
12:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
13:30 მულტისპორტი
14:00 ფეხბურთი. ევრო-2004
15:00 ფეხბურთი. უეფა
16:00 ფეხბურთი. ევრო-2004
17:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში
19:00 ფეხბურთი. ევრო-2004
20:30 ფეხბურთი. ევრო-2004
21:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი
23:00 ფეხბურთი. უეფა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 "ოლიმპიური თამაშები"
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. ვინსტონის თასი აშშ-ში

## ფეხბურთი

# კენჭისყრამ მეორეადგილოსნები დააწყვილა

### ფავორიტებს საქმე გაუიოლდათ

აკა ტონია

გუშინ გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში, აეროპორტის მახლობლად მდებარე სასტუმრო "შერატონში", ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული 10 გუნდი დააწყვილეს. მათგან პორტუგალიის საგზურს პლეი-ოფებში გამარჯვებული 5 გუნდი მოიპოვებს. წლევანდელი საკვალიფიკაციო ტურნირი, მართლაც, გამორჩეული იყო. ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირი გზით მოხვედრა ვერ შეძლეს ესპანეთმა და ჰოლანდიამ. UEFA-ს ახალი წესის მიხედვით, პლეი-ოფის მატჩების კენჭისყრისას არ მოხდებოდა ეგრეთ წოდებული განთესვა. ასე რომ, შესაძლებელი იყო, ჰოლანდია და ესპანეთი ერთმანეთის პირისპირ დარჩენილიყვნენ. გუშინდელმა კენჭისყრამ გრანდები დაინდო და მეტოქეებად შედარებით სუსტი გუნდები არგუნა. გუნდები ისე დაწყვილდნენ, თითქოს განთესვის პრინციპი კვლავაც მოქმედებდა.

კენჭისყრის ცერემონიალი UEFA-ს პრეზიდენტის ლენარტ იოჰანსონის მიმართვით დაიწყო. იოჰანსონმა პირობა დადო, რომ კენჭისყრა პატიოსნად ჩატარდებოდა. მან მადლობა გადაუხადა ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელ პორტუგალიას, რომელმაც ტურნირის მოსამზადებელი სამუშაოები მაღალ დონეზე შეასრულა.

დაიწყო კენჭისყრის პროცესი. იოჰანსონს UEFA-ს გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი ეხმარებოდა. პირველი წყვილი ლატვია-თურქეთი იყო. სენოლ გიუნეშის გუნდი პირველ მატჩს სტუმრად გამართავს. იმის გარდა, რომ ის აშკარა ფავორიტია, ეს უპირატესობაც აქვს. არ გაუმართლათ შოტლანდიელებს. ბერტი ფოგტსის გუნდი ჰოლანდიას დაუპირისპირდა. შოტლანდიელები პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავენ, შემდეგ კი ჰოლანდიაში მოუწევთ თამაში. "მეტისმეტად გაგვიჭირდება. ამ წყვილში ჩვენ აშკარა აუტსაიდერები ვართ და წარმატების მისაღწევად დიდი იღბალი დაგვჭირდება", - განაცხადა შოტლანდიელთა გერმანელმა თავკაცმა. ბერტი ფოგტსმა ჰოლანდიელთა უპირატესობად მათი მწვრთნელიც მიიჩნია: "დიკ ადვოკაატი ადრე "რეინჯერსის" მწვრთნელი იყო და ჩემი ფეხბურთელების უმეტესობას კარგად იცნობს".

მესამე წყვილად ხორვატია-სლოვენია დაასახელეს - შედარებით გაწონასწორებული წყვილი, თუმცა, უპირატესობა, ალბათ, მაინც ხორვატიას უნდა მივანიჭოთ. შემდეგ რუსეთის ჯერიც დადგა. მას უელსის ნაკრები ხვდა წილად. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი მეტოქეა რუსებისთვის. კენჭისყრის მოლოდინში რუსული პრესა შეშინებული წერდა, რომ მათ ნაკრებს არასოდეს უმართლებდა – ეს რაღაც ახალია.

უკანასკნელი წყვილი ნორვეგია-ესპანეთი იყო. ცხადია, აქ ფავორიტი ესპანეთია, თუმცა, ჰოლანდიისა და თურქეთის მსგავსად, ესპანელებს პირველი მატჩის სტუმრად გამართვის უპირატესობა არ ექნებათ. არც ნორვეგიაა ხელწამოსაკრავი გუნდი.

პლეი-ოფის პირველი მატჩები 15 და 16 ნოემბერს გაიმართება, განმეორებითი თამაშები - 18 და 19 ნოემბერს. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა 30 ნოემბერს შედგება.

**წყვილები:**

**ლატვია – თურქეთი**
**შოტლანდია – ჰოლანდია**
**ხორვატია – სლოვენია**
**რუსეთი – უელსი**
**ესპანეთი – ნორვეგია**

# პორტილიო თავის შანსს ელის



*"რეალის" მომავალი – ხავიერ პორტილიო.*

*ვარსკვლავებით გადაჭედილ "რეალში" ახალგაზრდა ფეხბურთელებს განსაკუთრებით უჭირთ ადგილის დამკვიდრება, თუმცა დროდადრო მათ მაინც უწევთ მოედანზე გასვლა და საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება. რონალდოსა და რაულის გვერდით თავდამსხმელი ხავიერ პორტილიო თითქოს უშანსოდაა, მაგრამ ამ ახალგაზრდა თავდამსხმელმა უკვე შეძლო მადრიდელი ქომაგის გულის მოგება.*

**- შეიძლება ითქვას, რომ "საშუალო ფენა" ამოცანებს ზედმიწევნით კარგად ართმევს თავს.**

- დარწმუნებული ვარ, კარგ შთაბეჭდილებას ვტოვებთ. ძნელია, კარგად ითამაშო მაშინ, როდესაც სათამაშო პრაქტიკა არა გაქვს. მაგრამ, ვფიქრობ, ესპანეთის თასის მატჩში, "სან სებასტიან დე ლოს რეიესის" წინააღმდეგ, კარგად ვითამაშეთ. მგონი, ყველა ხედავს, რომ ჩვენი საქმეები კარგად მიდის.

**- ესპანეთის ჩემპიონატზე ვისაუბროთ. "ვალენსიასთან" დამარცხების შემდეგ, მომავალ მატჩში გამარჯვება აუცილებელია.**

- შესაძლოა, "ვალენსიასთან" მატჩის შედეგს ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, ვიდრე ეს სინამდვილეში საჭიროა. გეთანხმებით, რომ ცუდად ვითამაშეთ. მაგრამ უიღბლო დღე ყველას აქვს ხოლმე. ჩვენ ვიცით, რომ ვიგოდან სამი ქულა უნდა წამოვიღოთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენ სამ ფრონტზე ვიბრძვით და, ამის უნარი რომ შეგვწევს, "სელტასთან" მატჩში უნდა დავამტკიცოთ.

**- "პარტიზანთან" გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის მიმართულებით გიგანტურ ნაბიჯს გადადგამთ.**

- დიახ, მართალია. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი საქმეები კარგად მიდის. შესანიშნავ პოზიციაში ვართ. გვაქვს ექვსი ქულა, "პარტიზანთან" გამარჯვებით კი ცხრას დავაგროვებთ.

**- მაშინ, როდესაც "რეალთან" კონტრაქტი გააგრძელე, შენი გუნდი "პორტოს" ხვდებოდა. ამ მატჩში შენ ერთი წუთიც არ გითამაშია. ეს ცოტა კურიოზულია. კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელზე მეტად გენდობა?**

- ამ კითხვაზე მწვრთნელები გიპასუხებენ. ჩემი კონტრაქტის გაგრძელებაზე ბევრს საუბრობდნენ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, მათამაშებდნენ თუ არა "პორტოსთან". მე ვიცოდი, რომ "რეალი" კონტრაქტს მაინც გამიგრძელებდა. "პორტოს" წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ ამ საკითხს მწვრთნელი წყვეტს. მე თავიდან ბოლომდე მწვრთნელს ვემორჩილები და ჩემი შანსების გამოყენებას ვცდილობ. ვფიქრობ, აქამდე კარგად ვიყენებდი.

**- ფიქრობ, რომ "რეალის" ახალგაზრდებს შორის ყველაზე დიდი ზეწოლა შენზეა?**

- მე მხოლოდ კონტრაქტის გაგრძელება მსურდა. ახლა კიდევ ოთხი გარანტირებული წელიწადი მელის კლუბში, რომელიც ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ გულისხმიერებას იჩენს. თუ მოედანზე სიამოვნების მისაღებად ვარ გასული, თამაშისას ზეწოლას არ ვგრძნობ. ისევე როგორც დანარჩენებს, მაქვს ჩემი წილი პასუხისმგებლობა. მაქვს თუ არა შეცდომის დაშვების შიში? არასოდეს.

**- ფეხბურთელებს მიაჩნიათ, რომ კეიროში მაშინ ცვლის მოთამაშეებს, როდესაც უკვე გვიანაა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილია...**

- ჩვენ ამ თემაზე არ გვისაუბრია. ის აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ თვლის. ის არის ხელმძღვანელი და მან უკეთესად იცის, რა არის გუნდისთვის საჭირო. შანსი ყველას მიეცემა, სეზონი ხომ ახალი დაწყებულია. ცოტა არ იყოს, მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს, მაგრამ ეს კარგიც არის იმ თვალსაზრისით, რომ ყველა ფეხბურთელს ექნება თავის გამოჩენის საშუალება.

**- როგორ ფიქრობ, მწვრთნელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა ფეხბურთელებს?**

- არა, ასე არ ვფიქრობ. კეიროშს მოსწონს ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა. მე მისით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ბევრი რამ მასწავლა. ის მხოლოდ ქებას იმსახურებს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ იმედი აქვს, ოქტომბერში კლუბისა და ესპანეთის ნაკრების ფორვარდთან, რაულ გონსალესთან კონტრაქტს გააგრძელებს. კონტრაქტი 2010 წლამდე იქნება ძალაში. ხორხე ვალდანო აცხადებს, რომ ფეხბურთელი, რომელმაც სამეფო კლუბის თეთრი მაისურით ოფიციალურ მატჩებში 222 გოლი გაიტანა, უნდა ატარებდეს მეტსახელს - "რაული მუდმივად თეთრი".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციამ კონტრაქტი გააგრძელა ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან, ჰანს კრანკლთან. კრანკლმა ახალი კონტრაქტი მიიღო იმის მიუხედავად, რომ გუნდი ვერ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მწვრთნელი ნაკრებთან მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დასრულებამდე იმუშავებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დაიწყო რიო ფერდინანდთან დაკავშირებული ინციდენტის გამოძიება. ფერდინანდმა უარი განაცხადა, დოპინგ-კონტროლი გაევლო, რისთვისაც თურქეთ-ინგლისის მატჩიდან მოკვეთეს. უახლოეს ხანში ფერდინანდს მოუწევს, ახსნა-განმარტება წარუდგინოს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელს, სტივ ბაროუს. სავარაუდოდ, ამის შემდეგ ფეხბურთელი დისკვალიფიკაციას მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ მზად არის, რომის "ლაციოს" იჯარის წესით გადასცეს ფორვარდი ალვარო რეკობა. თვითონ ფეხბურთელსაც მილანში დარჩენა სურს, მაგრამ ბოლო დროს იგი ვერ ხვდება კუპერის გუნდის ძირითად შემადგენლობაში. "ლაციოს" მწვრთნელი რობერტო მანჩინი ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში სთხოვდა მორატის, რეკობა მისთვის დაეთმო, მაგრამ მაშინ რომაელთა მწვრთნელმა უარი მიიღო. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. "ინტერის" თავდასხმას გაძლიერება კი სჭირდება, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე მჯდომი რეკობა ამ საქმისთვის არ გამოდგება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის ნაკრების ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ ორშაბათს კომენტარი გაუკეთა აზერბაიჯანთან შესარჩევი მატჩის დროს მომხდარ ფაქტს. ყველა იტალიურმა არხმა დააფიქსირა მომენტი, როცა შეცვლის დროს ვიერიმ წყლით სავსე ბოთლი ისროლა მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მისამართით. "ტრაპატონისთან არავითარი პრობლემა არა მაქვს, - ამბობს ვიერი, - მე არ მინდოდა, მისთვის ბოთლი მომერტყა. შეცვლის დროს ცოტა აღელვებული ვიყავი. ვერ დავინახე, რომ იქ ტრაპატონი იდგა. ამის შესახებ გასახდელში თანაგუნდელებმა მითხრეს".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალის" ჰოლანდიელმა ვეტერანმა, დენის ბერგკამპმა განაცხადა, რომ სპორტული კარიერის დამთავრება გადაიფიქრა. ბერგკამპი ადრე ამბობდა, რომ ფეხბურთს ამ სეზონის ბოლოს დაემშვიდობებოდა. ახლა კი "მირორს" აცნობა: "ვფიქრობდი, რომ ფეხბურთს დავემშვიდობებოდი, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: არასოდეს არ უნდა თქვა სიტყვა "არასოდეს", - თქვა ბერგკამპმა, - მე შესანიშნავ ფორმაში ვარ და ჩამოქვეითებას არ ვაპირებ. ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ დღევანდელსა და ახალგაზრდა ბერგკამპს შორის".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ნიუკასლ იუნაიტედი" კონტრაქტს გააფორმებს "ბარსელონას" ჰოლანდიელ ფორვარდთან, პატრიკ კლუივერტთან. კლუივერტი "კაჭკაჭების" უმთავრესი შენაძენების სიაში მთავარი ფიგურაა. ჰოლანდიელი, ხელფასის სახით, კვირაში 60 000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომის "ლაციოს" ფეხბურთელმა სეზარმა მორიგი ტრავმა მიიღო – მარცხენა ფეხი მოტყდა. ასეთივე ტრავმა სეზარმა ახლახან მოიშუშა და მინდორზე მხოლოდ ხუთი წუთი დაყო. ბრაზილიელს აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია. სეზარი ვარჯიშზე დაშავდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** აშშ-ში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის. გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ფინალურ მატჩში გერმანელებმა შვედებს სძლიეს - 2:1. დამატებით დროში "ოქროს გოლი" ნია კიუნცერმა გაიტანა. თამაშის 41-ე წუთზე ანგარიში შვედებმა გახსნეს. გოლი იუნგბერგმა გაიტანა. 46-ე წუთზე, მაინერტის ზუსტი დარტყმით, გერმანელებმა წონასწორობა აღადგინეს.



ინფოთეკა

**პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი. პირველი ათეულები**

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 4195 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 4165 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 3825 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 3670 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 2990 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 2850 |
| კარლოს მოია (ესპანეთი)ზ | 2705 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 2465 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2145 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 1970 |

**საჩემპიონო რბოლა:**

| | |
|---|---|
| ენდი როდიკი (აშშ) | 807 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 726 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 655 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 605 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 589 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 568 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 421 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 358 |
| მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 321 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 290 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 6584.00 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 6433.00 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 4400.00 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3365.00 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2809.00 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 2507.00 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2439.00 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2348.00 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2326.00 |
| ჩანდა რუბინი (აშშ) | 2213.00 |

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მარტინა ნავრატილოვა, რომელსაც შაბათს 47 წელი შეუსრულდება, აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობას მიიღებს ფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ. ტურნირი ნოემბერში მოსკოვში გაიმართება. ლეგენდარული ჩოგბურთელი ყველაზე ხანდაზმული სპორტსმენი იქნება, რომელსაც ამ ტურნირში მიუღია მონაწილეობა. გუშინ ამერიკელებმა მისი გვარი მაგან შონესთან, ლიზა რაიმონდთან და ალექსანდრა სტივენსონთან ერთად ოფიციალურად დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ მარტინა ნავრატილოვას ეკუთვნის ტურნირის რეკორდი - 37 მატჩი, 37 მოგება. უკანასკნელად ამ ტურნირზე ნავრატილოვამ 1995 წელს მიიღო მონაწილეობა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** გერმანულ ფილდერშტადტში გამართულ ქალთა ტურნირის ფინალურ შეხვედრაში კიმ კლიისტერსმა დაამარცხა თანამემამულე ჟიუსტინ ენინ-არდენი - 5:7, 6:4, 6:2. შეგახსენებთ, რომ ენინ-არდენი ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალში გავიდა, მაგრამ ზედიზედ მეორედ წააგო. ორი კვირის წინ ის ლაიფციგში რუს ანასტასია მისკინასთან დამარცხდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კობი ბრაიანტმა და შაკილ ო`ნილმა მონაწილეობა მიიღეს გუნდის ვარჯიშში, რომელიც კვირა საღამოს გაიმართა. მანამდე ორივე კალათბურთელმა მცირე დაზიანების გამო ვარჯიშისგან თავი შეიკავა. ბრაიანტი მუხლის ოპერაციის შემდეგ ბოლომდე არ მოშუშებულა. ტრავმა აქვს "შაკსაც". მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა განაცხადა, რომ შაკილი ტკივილების გამო ჯერჯერობით მოედანზე ბევრს ვერ მოძრაობს. კობი კი ფიზიკურად ცუდად გამოიყურება და ვარჯიშის დასაწყისშივე იღლება. ბრაიანტს ტყორცნის თვალსაზრისითაც პრობლემები აქვს. ესეც მუხლის ტრავმას უკავშირდება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "იაგუარის" ბოსმა ტონი პურნელმა განაცხადა, რომ ავსტრალიელ მარკ უებერს ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. უებერი, ესპანელ ფერნანდო ალონსოსა და ფინელ კიმი რაიკონენთან ერთად, 2003 წლის აღმოჩენა გახდა. "მარკში იმავე თვისებამ მომხიბლა, რამაც შუმახერში, - თქვა პურნელმა, - მიხაელი იმიტომ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რომ ნიჭიერია და შრომას არასოდეს წყვეტს. მარკიც ასეთია. ვფიქრობ, ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან".

■ ■ ■

**კრივი.** WBO-ის ვერსიის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი კორი სანდერსი ფრეზ ოკვენდოს შეხვდება. სანდერსმა WBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე ახლახან უარი განაცხადა. WBC-ის ახალ რეიტინგში ის მეორე ადგილზეა. ოკვენდოს მენეჯერის ხოსე რამოსის თქმით, ეს ბრძოლა 15 ნოემბერს სამხრეთ აფრიკაში გაიმართება. გამარჯვებული WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის პრეტენდენტის ოფიციალურ სტატუსს მიიღებს. ასეთი მოსაზრება ბუნებრივ ეჭვს ბადებს, რადგან ოკვენდო იმავე რეიტინგში მხოლოდ მე-14 ადგილზეა.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** კვირას კენიელმა ევანს რუტომ ჩიკაგოს მარათონი მოიგო. მისი შედეგი 2 საათი, 5 წუთი და 49 წამია. რუტო უკვე მეოცე წრეზე მოსწყდა მთავარ ჯგუფს და ლიდერობა ფინიშამდე შეინარჩუნა. ასეთი რანგის შეჯიბრებაზე ეს გარბენი კენიელისთვის სადებიუტო იყო.

■ ■ ■

**ჰოკეი.** მას შემდეგ, რაც "ბოსტონთან" შეხვედრაში "ფლორიდის" მცველმა მეტიუ ბირონმა ხელი იტკინა, ის ტრავმირებულთა სიაში შეიყვანეს. გაირკვა, რომ ჰოკეისტი ერთ კვირაში დაუბრუნდება მოედანს. მის შემცვლელად კლუბის ხელმძღვანელობამ ფრამ-კლუბიდან იაროსლავ ბედნარი გამოიძახა. ბირონმა შარშანდელ სეზონში "პანტერების" შემადგენლობაში 34 მატჩი ჩაატარა. ერთი შაიბა გაიტანა და 8 შედეგიანი გადაცემა განახორციელა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** კიტ ტკაჩაკმა "სენტ ლუისისა" და "კოლორადოს" შეხვედრაში რამდენიმე გოლი გაიტანა. ეს გოლები არა მარტო გამარჯვებაში დაეხმარა მის გუნდს "სენტ ლუისს", არამედ ოკეანის გაღმა ჰოკეის ელიტაშიც დაიმკვიდრა ადგილი. ტკაჩაკი NHL-ის 74-ე ჰოკეისტი გახდა, ვინც სპორტული კარიერის განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობით 400-ს გადააჭარბა.

რაგბი

# კლოდ სორელი: "კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი"

კახა ფაჩუაშვილი

მაშ ასე, ბორჯღალოსნები მსოფლიო თასის გათამაშებაში ჩაებნენ. ამას წინათ ჩემი ერთი მეგობარი, რაგბის დიდი ქომაგი მეუბნებოდა, თუ ინგლისი რუმინეთს - 134:0-ს უგებს, ხოლო ტონგას - 101:10-ს, ჩათვალე, რომ ჩვენ - 120:0 მაინც გარანტირებული გვექნებაო. ქართველებმა - 84:6 წააგეს. რამდენად გვაძლევს ეს ანგარიში სიმშვიდის საბაბს, სხვა საქმეა.

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ დიდი ანგარიშით დავმარცხდით და უფრო მეტი გვეკუთვნოდა. ზედმეტია, რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ბუნებრივია, გუნდი რომ აირევა, მატჩის მსვლელობისას მისი ხელახალი გადაწყობა ძალიან ძნელია. ასეთი რამ მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდებს ხელეწიფებათ და ისიც ყოველთვის არა. საქართველოს კი, თუ კლოდ სორელს დავესესხებით, კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. სწორედ ამიტომ დავმარცხდით პერტში დიდი ანგარიშით.

ესეც რომ არა, ინგლისი ჩვენთვის დიდი ავტორიტეტია და პირველივე ცდაზე მასთან შეხვედრამ ბორჯღალოსნები, ცოტა არ იყოს, დათრგუნა. ინგლისი საქართველოსთვის მეტისმეტად სწრაფი და ორგანიზებული აღმოჩნდა. ის შეცდომები, რომლებსაც ერთა თასზე გვპატიობდნენ, მსოფლიო რაგბის გრანდმა არ გვაპატია.

უკეთესია, მოვუსმინოთ ინგლისის ნაკრების კაპიტანს მარტინ ჯონსონს: "უცნაური თამაში იყო. ცენტრში თავისუფლად ვმოძრაობდით, მინდვრის კიდეებზე კი სასტიკ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. საქართველოს ძალიან კარგი დაცვა ჰყავს, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია, რატომ გვეთამაშებოდნენ გაცხარებით მხოლოდ საკუთარ 22-მეტრიან მონაკვეთში", - ამბობს ინგლისელთა კაპიტანი.

კომენტარიდანაც ჩანს, ჯონსონი გაოცებულია, რატომ არ გადადიოდა საქართველოს ნაკრები ინგლისელთა ნახევარზე და რატომ არ ცდილობდა იქ შეტევის განვითარებას. თუ ბრიტანელთა კაპიტანი აღიარებს, რომ საქართველოს უნდა შეეტია, ეს ნიშნავს, რომ ქართველებს შეტევის განხორციელება შეეძლოთ. შეეძლოთ, მაგრამ ვერ განახორციელეს, რადგან, ბორჯღალოსანთა მრწამსით, ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ გაძლებაზე უნდა გვეთამაშა. თავიდანვე ასე იყო გათვლილი, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბრიტანელებს ლაღი, შემტევი რაგბი შევთავაზეთ. რა მოხდებოდა ამ შემთხვევაში? იქნებ მართლა 120 ქულა მიგვეღო, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლებოდა, ამბიციური ინგლისისთვის ერთიორი ლელოც შეგვეპარებინა. ეს კი (თუნდაც ერთი ლელო) სამომავლოდ ბორჯღალოსნებისთვის გაცილებით ეფექტური სტიმული იქნებოდა, ვიდრე ის ექვსი ქულა, რომელიც მალხაზ ურჯუკაშვილმა და პალიკო ჯიმშელაძემ შეგვძინეს. ჩემი ფიქრით, ქართველთათვის ინგლისთან შეხვედრის მთავარი დატვირთვაც სწორედ ის იყო, რომ მრისხანე მეტოქის წინაშე ყოველგვარი კომპლექსის გარეშე გვეთამაშა და რაკი ეს ვერ შევძელით, ესე იგი, ცუდად გამოვედით.

ის, რომ ჩხაიძეს შერკინებიდან ბურთი ვერ გამოჰქონდა, რომ საკუთარ შერკინებასა და დერეფანს ვაგებდით, ბურთი კი აუტშიც ვერ გადაგვქონდა, შეიძლება მეტისმეტ დაძაბულობას დავაბრალოთ. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ ბორჯღალოსნები ბრიტანელთა ნახევარზე დისკომფორტს განიცდიდნენ და ცდილობდნენ, თავდაცვის გზით, რაც შეიძლება, ნაკლები ლელო გაეშვათ.

შეიძლება ეს არასაკმარისი ფიზიკური კონდიციების გამოისობითაც დაგვემართა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველი მორაგბეები სწრაფ და მოქნილ ინგლისელებთან პაექრობაში გახსნილ თამაშს მოერიდნენ და წარმატების გასაღებს ბრიტანელთა ნახევარზე არ ეძებდნენ. გამოდის, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს ჩანასახშივე დაუთმო ინიციატივა. ამით კი ინგლისთან შეხვედრა ერთ კარგ ლექციად თუ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად ვერ გამოიყენა. "ეკლიან ვარდებთან" მატჩი შეიძლება ოთხ წელიწადში ერთხელ გველირსოს, ამიტომ ჩვენთვის ლაღი თამაში უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე დაცვაზე აქცენტირებული პაექრობა, ვინაიდან ცნობილია, რომ თავზეხელაღებულ ჭიდილში გუნდმა შეიძლება ბევრი ისეთი სიახლე აღმოაჩინოს, რომელზეც ადრე წარმოდგენა არ ჰქონდა.

ამდენად, არა მგონია, კლოდ სორელს გუნდისთვის ეთქვა, ბურთი მეტოქის ნახევარზე არ გადაიტანოთ და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტეთო. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ: საქართველოს ნაკრებმა ვერ შეასრულა მწვრთნელის დავალება. მით უფრო, რომ ამ აზრს ვასილ კაცაძეც იზიარებს.

"ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მწვრთნელის ვერც ერთი მითითება ვერ შევასრულეთ, მაგრამ ინგლისთან მატჩი ჩვენთვის დიდი სკოლა იყო", - მატჩის შემდეგ განაცხადა კაცაძემ.

ვიქტორ დიდებულიძესაც არაერთხელ უთქვამს, მწვრთნელის მოთხოვნაა, მეტოქის ნახევარზე გავათამაშოთ ბურთი. "კლოდ სორელი გამუდმებით გვაფრთხილებს, ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაიტანეთ და შეტევა იქ წამოიწყეთო, მაგრამ თითქოს ყველაფერი თავისთავად ხდება. ბურთი აუტში ვერ გადაგვაქვს და უბედურებაც აქედან იწყება", - ამბობს ვიქტორ დიდებულიძე.

გამოდის, რომ ფრანგი სპეციალისტი თავისი გუნდისგან ელემენტარულად ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანას და იქ ბრძოლას ითხოვს. რაკი მწვრთნელის დავალება ნათელია, მაშინ პირველი მარცხი ინგლისელთა ავტორიტეტსა და სადებიუტო მატჩს დავაბრალოთ.

მომდევნო შეხვედრაში, რომელიც 19 ოქტომბერს გაიმართება, საქართველოს ნაკრები სამოას დაუპირისპირდება. ამ მატჩში ბორჯღალოსნებს, სავარაუდოდ, კაპიტანი ილია ზედგინიძე და ლევან ცაბაძე დაემატება. თუ ასე მოხდა, იმედი ვიქონიოთ, რომ შერკინებიდან ბურთის გამოტანა და საკუთარი შერკინების მოგება პრობლემა აღარ იქნება.

## სატურნირო მდგომარეობა

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | დქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 45:17 | 1 | 5 |
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 24:8 | 0 | 4 |
| ნამიბია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| არგენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 8:24 | 0 | 0 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 17:45 | 0 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 61:18 | 1 | 5 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 32:11 | 1 | 5 |
| აშშ | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 11:32 | 0 | 0 |
| ფიჯი | 1 | 0 | 0 | 1 | 18:61 | 0 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 84:6 | 1 | 5 |
| ს. აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 72:6 | 1 | 5 |
| სამოა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 6:72 | 0 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 6:84 | 0 | 0 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდ. | 1 | 1 | 0 | 0 | 70:7 | 1 | 5 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 41:10 | 1 | 5 |
| ტონგა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| კანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 10:41 | 0 | 0 |
| იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | 7:70 | 0 | 0 |




დოუსონმა მორიგი ლელო დაგვიდო.

ფორმულა 1

# შუმი და გულშემატკივართა არმია

უჩვეულო გამოდგა სამეფო რბოლების დასკვნითი ეტაპი. იაპონიის გრან-პრის და, შესაბამისად, "სუძუკას" ტრასას მთელის წლის განმავლობაში დაგროვილ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი. პასუხი, რომელიც ფორმულა 1-ის მოყვარულთ 12 ოქტომბრამდე მოსვენებას არ აძლევდა. ანუ, ვინ დაიდგამდა ჩემპიონის გვირგვინს – "ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი თუ...

სეზონი დასრულდა. გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილდა. მიხაელ შუმახერი ისევ ჩემპიონია, თუმცა, ისე, რომ რბოლა მერვე ადგილით დაასრულა.

"შუმის", რომელსაც სარბოლო კარიერაში არაერთი რეკორდი დაუმყარებია, 2003 წლის სეზონი ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული ექნება. გერმანელმა რეკორდთა რეკორდი დაამყარა – ლეგენდარული არგენტინელი მრბოლის, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ხუან მანუელ ფანხიოს მიერ სარეკორდო მაჩვენებელი მოხსნა. მიხაელ შუმახერი ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონია.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ალენ პროსტს ეჭვიც კი შეეპარა, მეექვსე ტიტულის დაუფლებამ, შესაძლოა, შუმახერს დათვური სამსახური გაუწიოს, რადგან გამორიცხული არ არის, ყოველივეს მეშვიდე ტიტულისთვის ბრძოლის მოტივაცია შეეწიროსო.

ბუნებრივია, "შუმის" ამგვარი მიღწევა უყურადღებოდ არც სხვებს დარჩენიათ. გერმანელის რეკორდი საყოველთაო განსჯის საგანი გახდა, რასაც მეუღლით დაწყებული, პოლიტიკოსებით დამთავრებული, არაერთი ცნობილი ადამიანი გამოეხმაურა.

**კორინა შუმახერი, მეუღლე:** "ძალიან მძიმე წელიწადი იყო. ამიტომაც ახლა ბევრად უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე მაშინ, როდესაც მეხუთედ გახდა ჩემპიონი. დაუჯერებელია, პრობლემების მიუხედავად, მიხაელმა მაინც შეძლო გამარჯვება".

**ვილი ვებერი, მენეჯერი:** დღეს "შუმის" დროა. ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერ წარმოვიდგენდი წარმატებათა ამგვარ სერიას. უბრალოდ, დაუჯერებელია. რბოლის დასრულებამდე არაფერი იყო გარკვეული. მათ, ვინც იციან ფორმულა 1, ხვდებიან, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საშინლად ვღელავდი, მაგრამ ეს ყველაფერი ღირდა ამად".



**რალფ შუმახერი, "უილიამსის" პილოტი და ძმა:** "რა თქმა უნდა, მიხარია ჩემი ძმის წარმატება. ვულოცავ ამ ბრწყინვალე რეკორდს, მაგრამ ვპირდები, რომ მომავალ სეზონში იოლი გასეირნება აღარ ელის".

**ნორბერტ ჰაუგი, "მერსედესმოტოსპორტის" შეფი:** "ვულოცავ მიხაელს მეექვსე ტიტულს. ვერ ვიტყვი, რომ ამოცანა გავუმარტივეთ. ჩვენ მას სულ ცოტათი დავუთმეთ. ყოველივე კი მომავალი სეზონისთვის კარგი საფუძველია".

**პეტერს ზაუბერი, "ზაუბერის" საჯინიბოს მეთაური:** "ვულოცავ! ამ განუმეორებელი მიღწევით მან ავტოსპორტის ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალა".

**პეტ სიმონდსი, "რენოს" მთავარი ინჟინერი:** "ბრწყინვალე სეზონის კარგი დასასრულია. ვულოცავ".



**პატრიკ ჰედი, "უილიამსის" ტექნიკური დირექტორი:** "წლეულს ყველამ სასახელოდ იმუშავა. ჩვენმა გუნდმა პროგრესს მიაღწია. მიხაელი და "ფერარი" კომპლიმენტებს იმსახურებენ".

**მარიო ტეისენი, BMW-მოტოსპორტის დირექტორი:** "მიხაელსა და "ფერარის" ორივე ჩემპიონატში გამარჯვებას ვულოცავ. ამჯერად ისინი ძალზე ძლიერები იყვნენ".

**რუბენს ბარიკელო, "ფერარის" პილოტი:** "ის, რაც მიხაელმა გააკეთა, უბრალოდ, ფანტასტიკაა. მიხარია, რომ "ფერარის" კონსტრუქტორთა თასის დაუფლებაში შევეშველე".

**როს ბრაუნი, "ფერარის" ტექნიკური დირექტორი:** "ძალზე მოხუცი ვარ ამგვარი ნერვიულობისთვის. მიხაელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამარჯვების შანსი ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს. ოცნება აგვისრულდა".

**ჟან ტოდტი, "ფერარის" სპორტული დირექტორი:** "ისტორიული დღის მოწმე გავხდით. რუბენსმა ფანტასტიკურად ჩაატარა რბოლა, მიხაელი კი აკადემიურად და ფრთხილად იცავდა თავს. ორივე ჩემპიონატი მოვიგეთ და ჩვენი სპორტის ისტორიის ახალი ფურცელი გადავშალეთ. ჯერ არ ყოფილა, რომ რომელიმე საჯინიბოს ზედიზედ ხუთჯერ მოეგოს კონსტრუქტორთა თასი. და კიდევ, არც ერთ პილოტს ექვსჯერ არ მოუგია ჩემპიონის ტიტული. ენცო ფერარი ჩვენით იამაყებდა".




**ლუკა დი მონტეძემოლო, "ფერარის" პრეზიდენტი:** "შარშან გუნდი ჩვენი აბსოლუტური ბატონობით იყო განებივრებული. კარგი იქნებოდა, წლეულსაც ასეთივე წარმატებით მოგვეგო, მაშინ სიცოცხლე არ მომაკლდებოდა იმ განცდებისგან, რომელიც ბოლო სამ რბოლაში განვიცადე. მაგრამ ეს გამარჯვება ბრწყინვალე გამოდგა. იმედი მაქვს, მომავალ სეზონში ბევრად უკეთესი გამარჯვება გვექნება. ამ სეზონისთვის ლოზუნგიც კი შევთხზე: "ახალი წესები – ძველი ჩემპიონი".




**გერჰარდ შრიოდერი, გერმანიის კანცლერი:** "ავტოსპორტის ბევრ მეგობართან ერთად გულითადად გილოცავთ. ჩვენ გავხდით ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონები უძლიერეს საერთაშორისო ჩემპიონატში. ეს არის უმაღლეს დონეზე ჩატარებული განუმეორებელი სამუშაო. გისურვებთ წარმატებებს!"

**იოჰანეს რაუ, გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი:** "მეექვსე ტიტულს გილოცავთ! უდიდესმა სპორტულმა მიღწევებმა მოიტანა ეს გამარჯვება. ჩვენ ყველანი გქომაგობდით. ახლა კი თქვენთან ერთად გვიხარია ასეთი შთამბეჭდავი ტრიუმფი".

**ჰანს ჰერმანი, "მერსედესის" ყოფილი პილოტი და ხუან-მანუელ ფანხიოს ყოფილი თანაგუნდელი:** "მიხაელის მეექვსე ტიტული ფანტასტიკური შედეგია. "სუძუკაზე" რბოლა სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა. უკეთეს რბოლას ვერც ინატრებდი".

**ბორის ბეკერი, ჩოგბურთელი:** "მიხაელმა საერთაშორისო სპორტის ოლიმპო დაიპყრო. იმედი მაქვს, ჩემი მეგობრები "მერსედესიდან" ტიტულის დაცვაში საქმეს გაურთულებენ".

**კატარინა ვიტი, ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ სრიალში:** "თუ სპორტსმენს მუდმივად აქვს გამარჯვების წყურვილი, მას ნამდვილი მებრძოლის გული აქვს. გაოცებული ვარ მიხაელის ნიჭით და ერთგულად ვქომაგობ".

**ვიტალი კლიჩკო, მოკრივე:** "მე და ჩემი ძმა, ვლადიმირი, ვიცნობთ მიხაელს. რბოლებზეც ხშირად დავდივართ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრება ჩქაროსნულად მიედინება, იგი მშვიდ ადამიანად რჩება. მას შეუძლია, ენდოს გუნდს, რომელზეც დამოკიდებულია წარმატება და ხანდახან სიცოცხლეც".

**რუდი ფიოლერი, გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** "განუმეორებელი და ყველასთვის სანიმუშო შემთხვევაა ის, რომ მიხაელ შუმახერი ხშირად ხდება მსოფლიო ჩემპიონი, თანაც, ისე, რომ მოტივაციას ინარჩუნებს".

**ოლივერ კანი, ეროვნული ნაკრები კაპიტანი:** "მიხაელ შუმახერი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენია".

# ჰაფნიუმის სხივური რევოლუცია

## ანუ მეოთხე თაობის ბირთვული ბომბი

ბირთვული აფეთქების ეგრეთ წოდებულ ეგზოტიკურ სახეობას, რომლის შექმნაზეც გამალებით მუშაობენ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის სპეციალური ლაბორატორიები, შეუძლია იმ ზღვრის წაშლა, რომელიც არსებობს ჩვეულებრივ და ბირთვულ იარაღს შორის. გარდა ამისა, არის იმის საშიშროება, რომ ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი იარაღი, რომელსაც ხშირად მეოთხე თაობის ბირთვულ იარაღს უწოდებენ, გამალებული შეიარაღების ახალ ტალღას გამოიწვევს.

მეცნიერები მუშაობენ ნივთიერების ატომის ბირთვიდან ენერგიის გამოთავისუფლების სტიმულირებაზე, რასაც თან არ სდევს ჯაჭვური რეაქციები. ენერგია გამა-გამოსხივების სახით გამოიყოფა და რამდენიმე ათასჯერ სჭარბობს იმ ენერგიას, რომელიც ჩვეულებრივი, ქიმიური აფეთქების შედეგად გამოიყოფა. ახალ ტექნოლოგიაზე მუშაობს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის განყოფილება სახელწოდებით "სამხედრო დანიშნულების კრიტიკული ტექნოლოგიები", რომელიც გვაუწყებს: "ენერგიის ამგვარ, ექსტრაორდინარულ სიმკვრივეს საომარი მოქმედების ყველა ასპექტში რევოლუციის მოხდენა შეუძლია".

მეცნიერებმა დიდი ხანია, იციან, რომ ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებას, როგორიცაა მაგალითად ჰაფნიუმი, შეუძლია მაღალენერგეტიკულ მდგომარეობაში გადასვლა, რასაც ბირთვულ იზოტოპს უწოდებენ. ასეთ ნივთიერებას გააჩნია დაშლის ხანგრძლივი პროცესი და ამ პროცესში ის მცირე რაოდენობით გამა გამოსხივებას გამოჰყოფს. ასეთ ნივთიერებებს განეკუთვნება ჰაფნიუმ-178-ის იზოტოპი ჰაფნიუმ-178m2, რომლის დაშლის პერიოდიც 31 წელიწადს შეადგენს.

ალბათობა იმისა, რომ ჰაფნიუმის დაშლის პროცესი შეიძლება ფეთქებადი ხასიათისაც ყოფილიყო, დალასის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ კოლინზმა ივარაუდა, რომელმაც თავის კოლეგებთან ერთად მალე (1999 წელს) ეს ცდებითაც დაამტკიცა - ჰაფნიუმის დაშლის პროცესი ჩქარდებოდა, როცა ისინი ნივთიერების დაბალი ენერგიის მქონე რენტგენული სხივებით დაბომბვას ახდენდნენ. ექსპერიმენტის შედეგად გამოთავისუფლდა იმაზე 60-ჯერ მეტი ენერგია, ვიდრე პროცესის მსვლელობისას იქნა დახარჯული. ამასთან, თეორიულად, ტექოლოგიის დახვეწის შემთხვევაში, კოლინზმა და მისმა კოლეგებმა გაცილებით მეტი ენერგიის გამოყოფის შესაძლებლობაც ივარაუდეს.

### ენერგიის "ჩატუმბვა"

ჰაფნიუმს, სანამ ის ასაფეთქებლად იქნება გამოყენებული, ბირთვში ენერგიას "უტუმბავენ". როგორც ელექტრონი "აღეგზნება", როცა ატომი შთანთქავს ფოტონს, ასევე აღეგზნება მაღალენერგეტიკული ფოტონებით "დაბომბილი" ჰაფნიუმის ბირთვიც. გამოყენების შემდეგ კი ბირთვი უბრუნდება დაბალენერგეტიკულ მდგომარეობას, ოღონდ მანამდე ფოტონს დიდი რაოდენობით გამოყოფს გამა-გამოსხივების სახით.

საერთოდ, ბირთვულ იზოტოპს ენერგიის "შემნახველსაც" უწოდებენ, მაგრამ დაშლის პროცესის დაჩქარების შესაძლებლობამ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის დიდი ინტერესი გამოიწვია, რომლის საკვლევი ჯგუფები იგივე ინტენსიურობით, ჰაფნიუმის გარდა სხვა მსგავსი ნივთიერებების (როგორებიცაა თორიუმი და ნიობიუმი) თვისებებსაც სწავლობენ.

დღეისათვის იზოტოპ ჰაფნიუმ-178m2-ის მისაღებად გამოიყენება ტექნოლოგია, რომლის დროსაც ხდება ტანტალის ბირთვის პროტონებით დაბომბვა. ყოველივე საჭიროებს ბირთვულ რეაქტორს, ან ნაწილობრივ ამაჩქარებელს. ამასთან, საჭირო ნივთიერების მიღება მეტად მცირე რაოდენობით ხერხდება.

მაგალითად, ნიუ მექსიკოს კირტლანდის სამხედრო-საჰაერო ძალების ლაბორატორიაში, რომელიც აღნიშნულ პროცესს სწავლობს, ჰაფნიუმ-178m2-ს სხვა ექსპერიმენტების დროს დარჩენილი ბირთვული ნედლეულისგან ღებულობენ. კირტლანდის ლაბორატორიას სამხედროებისგან მიღებული აქვს შეკვეთა აღნიშნული იზოტოპის დამზადებაზე, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ გრამის ერთი მეათიათასედია დამზადებული.

### მეტისმეტად მძლავრი

თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ ჰაფნიუმის იზოტოპის უფრო მეტი რაოდენობით მიღება არ იქნება შესაძლებელი. ამერიკელი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ერთი გრამი ჰაფნიუმის იზოტოპის მიღება დაახლოებით უახლოეს ხუთ წელიწადში მოხერხდება. ისინი ამბობენ, რომ საჭირო იზოტოპის მიღება უშუალოდ ჰაფნიუმის მაღალენერგეტიკული ფოტონებით დაბომბვის გზითაც შეიძლება.

მაღალი იქნება ჰაფნიუმის იზოტოპის ფასი - იგი დაახლოებით იმდენივე ეღირება, რამდენიც გამდიდრებული ურანი ღირს, რომელიც თანამედროვე ბირთვული ბომბის მუხტს წარმოადგენს. ამგვარი ერთი კილოგრამი ურანი რამდენიმე ათასი დოლარი ღირს. თუმცა, ჰაფნიუმის დიდი უპირატესობაა ის ფაქტი, რომ იგი ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება იქნას გამოყენებული და ურანისგან განსხვავებით, მას არ გააჩნია ჯაჭვური რეაქციისათვის აუცილებელი კრიტიკული მასა.

ჰაფნიუმს აფეთქებისას უზარმაზარი ენერგიის გამოყოფა შეუძლია - თეორიულად, ერთი გრამი ჰაფნიუმის იზომერის მიერ გამოყოფილი ენერგია დაახლოებით 50 კილოგრამი ტროტილის აფეთქების ტოლფასია.

ამდენად, ჰაფნიუმის საფუძველზე დამზადებული ბომბი მეტად მინიატურული იქნება და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ავიაციით, ასევე ტანკებითა და ასე განსაჯეთ, საველე მცირე არტილერიითაც კი. ამგვარი იარაღი უზარმაზარ უპირატესობას მიანიჭებს მის მფლობელ არმიას, რაც, ბუნებრივია, ძირეულად შეცვლის თანამედროვე სამხედრო ხელოვნების თეორიულ საფუძვლებს.

იზომერული ჰაფნიუმის აფეთქების შედეგად გამოიყოფა მაღალი ენერგიის მქონე გამა-გამოსხივება, რომელიც მისი მოქმედების არეში ყოველგვარ ცოცხალ არსებას მოსპობს. ჰაფნიუმის საფუძველზე შექმნილი ბომბი აფეთქების შედეგად ნაკლებად დატოვებს რადიოაქტიურ კვალს. და მაინც, მუხტის აუფეთქებელი ნაწილაკები გამოიწვევს გარემოს რადიოაქტიურ დაბინძურებას, რაც მრავალი წლის განმავლობაში საშიში იქნება მისი მოქმედების რადიუსში მოხვედრილი ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის, რომელიც კი ამ ნაწილაკებს შეისუნთქავს.

### ჰაფნიუმის ბომბი და პოლიტიკა

მეოთხე თაობის ეგრეთ წოდებული იზოტოპური სხივური იარაღის შექმნა, ალბათ, გარკვეულ პოლიტიკურ დაპირისპირებასაც გამოიწვევს და აი, რატომ: თავის დროზე, 50-იან წლებში, აშშ-ის მთავრობამ მხარი დაუჭირა მინიატურული ბირთვული იარაღის აკრძალვას, როგორადაც მოიაზრებოდა ეგრეთ წოდებული "დეივ კროკეტის" ბირთვული ნაღმტყორცნი, რომლის აფეთქების სიმძლავრეც 18 ტონა ტროტილის აფეთქების ეკვივალენტს შეადგენდა.

მაშინ ამერიკის მთავრობა შიშობდა, რომ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი, რომელსაც შეიარაღებაში ამგვარი "ბაზუკა" ექნებოდა, პირველსავე ხელსაყრელ ვითარებაში გამოიყენებდა მას. მაშინ მიჩნეული იყო, რომ ბირთვული იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციებში, როცა მისი გამოყენება გარდაუვალი იქნებოდა.

1994 წელს ამერიკელებმა ამგვარი მცირე მუხტის მქონე ბირთვული იარაღისადმი თავიანთი დამოკიდებულება სპრატ-ფურსის კანონით გამოხატეს, რომელიც აშშ-ის თავდაცვის ძალებს ხუთ კილოტონაზე ნაკლები სიმძლავრის იარაღის გამოყენებას უკრძალავს.

თუმცა, ეს კანონი არარაობად იქცევა, როცა შეიარაღებული ძალები ჰაფნიუმის იზოტოპზე დამზადებულ ჭურვებს მიიღებენ, რომელიც, ფაქტობრივად, გააბუნდოვანებს ზღვარს ჩვეულებრივ და ბირთვულ იარაღს შორის, რისი საშუალებითაც ამერიკელ სამხედროებს სპრატ-ფურსის კანონის უგულებელყოფის საშუალება ექნებათ.

ჟენევის მეცნიერულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი ანდრე გსპონერი თვლის, რომ ქვეყანა, რომელსაც არ ექნება ახალი ტიპის სხივური ჭურვები, უძლური იქნება იმ ქვეყნის აგრესიის წინაშე, რომელსაც შეიარაღებაში ასეთი ჭურვები გააჩნია და ამიტომ: "ბევრი ქვეყანა, რომელსაც ხელი არ მიუწვდება ახალი ტიპის იარაღზე, ყველანაირად ეცდება, მოიპოვოს ჩვეულებრივი ბირთვული იარაღი და ამით გაანეიტრალოს ის დანაკლისი, რასაც სხივური ჭურვების არქონა წარმოშობს".

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სხივური ბომბის შექმნის გზაზე ბევრი ტექნიკური დაბრკოლება არსებობს და მისი შექმნა დაახლოებით ათი წლის შემდეგაა მოსალოდნელი. თუმცა, იმავე "სამხედრო დანიშნულების კრიტიკული ტექნოლოგიების" ანოტაციაში ამგვარი რამ სწერია: "ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბირთვული ჯაჭვური რეაქციის შესახებ გამოქვეყნებულ პირველ მეცნიერულ ნაშრომსა და პირველი ბირთვული ბომბის გამოცდას მხოლოდ ექვსი წელი აშორებს"!



# "გენენტეხის" ანტისხეულები სხვადასხვა სახის კიბოს ებრძვის

ჩიკაგოში ჩატარებულ კლინიკური ონკოლოგიის ამერიკული საზოგადოების შეხვედრაზე კომპანია "გენენტეხმა" და ლოს ანჯელესის "კედარის-სინაის" სამედიცინო ცენტრმა წარმოადგინეს ანტისხეულებზე ბაზირებული ექსპერიმენტულ პრეპარატ "ომნიტარგზე" ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ წამალს სხვადასხვა ავთვისებიან სიმსივნესთან ბრძოლა შეუძლია.

პირველმა ცდებმა აჩვენეს, რომ "ომნიტარგს" დადებითი ეფექტი აქვს მკერდის, საკვერცხეების, პროსტატის, ფილტვების, ნაწლავის, პანკრეასისა და სხვა სახის კიბოს მკურნალობისას.

"ომნიტარგი" მონოკლონალური ანტისხეული, პროტეინია, რომელიც სხეულის იმუნურ სისტემას ორგანიზმში შეჭრილ უცხო სხეულებთან (ვირუსი, ბაქტერიები) საბრძოლველად "განაწყობს". იგი ებრძვის პროტეინს სახელად HER-2/neu, რომელიც კიბოს უჯრედის ზედაპირზე "ზის" და საჭირო სიგნალებს ღებულობს ზრდის განმაპირობებელი მოლეკულებისგან და სტიმულირებას უწევს კიბოს უჯრედების გამრავლებას.

"ომნიტარგს" ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ფაზის ტესტები ჩაუტარდა, რომლის დროსაც კვლევის საგანს წარმოადგენს არა წამლის ეფექტურობის შესწავლა, არამედ იმის დადგენა, თუ რამდენად უსაფრთხოა იგი და გააჩნია თუ არა რაიმე გვერდითი ეფექტები.

ექსპერიმენტის დროს დაკვირვება უტარდებოდა 21 პაციენტს, რომლებიც მკერდის, საკვერცხეების, პროსტატის, ფილტვის, ნაწლავისა და პანკრეასის კიბოთი, ასევე სარკომათი იყვნენ ავად. ავადმყოფებს ომნიტარგი სამ კვირაში ერთხელ, ინექციის სახით მიეწოდებოდათ. მათგან 19-მა მინიმუმ მკურნალობის ორი ციკლი (ექვსი კვირა) გაიარა, ორი კი დაიღუპა.

შედეგად, გადარჩენილი პაციენტების 42 პროცენტის სიმსივნემ ზომაში 50 პროცენტით დაიკლო, დანარჩენებში კი ექსპერიმენტის პერიოდში ზრდა შეწყვიტა. ზოგიერთი მათგანი ექსპერიმენტის შამდეგაც, უკვე თითქმის ერთი წელია, რაც "ომნიტარგით" მკურნალობს.

"კედარის-სინაის" სამედიცინო ცენტრის საკვლევი ჯგუფის ხელმძღვანელი, დოქტორი დევიდ აგუსი აცხადებს, რომ ექსპერიმენტის პირველ ფაზაში დაფიქსირებული შედეგები შესანიშნავია. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მასში მონაწილე პაციენტები დაავადების ბოლო სტადიაში იმყოფებოდნენ და მათი მკურნალობის სხვა ეფექტური საშუალებები და შესაბამისად, მათი გადარჩენის იმედებიც, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ამასთან, "ომნიტარგის" გამოყენებისას თანმდევი ეფექტებია ოფლიანობა, გულისრევა, უძლურება და ანემია.

"რაც ყველაზე საინტერესოა, ეს წამალი კიბოს განსხვავებული სახეობებით დაავადებული პაციენტების სიმსივნეებს კუმშავს. ეს კი იმის ნიშანია, რომ წამალი კიბოს უჯრედების იმ საშუალებებს ებრძვის, რომლებიც მათ ზრდა-განვითარებაში მონაწილეობენ და რომლებიც სხვადასხვა სახის კიბოს უჯრედებში გვხვდება", - ამბობს დოქტორი აგუსი.

"გენენტეხი" ამჟერად უკვე შეუდგა მეორე ფაზის კვლევის ჩატარებას. ჯერჯერობით გამოკვლევა უტარდებათ პროსტატის, საკვერცხეების და მკერდის კიბოთი დაავადებულ პაციენტებს. მოგვიანებით კი გამოკვლევაში დაგეგმილია ფილტვის კიბოთი დაავადებული პაციენტების ჩართვაც.

### "ტელციტა" იმედს იძლევა

ჩიკაგოს შეხვედრაზევე ბიოტექნოლოგიურმა კომპანია "ტელიკმა" წარმოადგინა ექსპერიმენტულ პრეპარატ "ტელციტას" მეორე ეტაპის გამოკვლევების შედეგები. ეს პრეპარატი მოწოდებულია, გაანადგუროს ფერმენტები, რომლებიც დაკავშირებულია კიბოს უჯრედებთან.

შეხვედრაზე წარმოდგენილ შედეგებში წერია, რომ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო განვითარებულ სტადიაში მყოფი ფილტვის კიბოთი დაავადებულმა 33-მა პაციენტმა. მათგან 8 პროცენტში სიმსივნემ ზომაში იკლო, 67 პროცენტის მდგომარეობა კი სტაბილური გახდა.

ამასთან, პრეპარატის გვერდითი ეფექტები მხოლოდ სუსტი გულისრევა და უძლურებაა, როცა ქიმიოთერაპიის დროს გამოყენებული პრეპარატები ძლიერ გულისრევას, გამელოტებას და სხვა ორგანოების დაზიანებას იწვევს.

"ტელციტას" გვერდითი ეფექტების ნაკლებობა იმის შედეგია, რომ ეს წამალი მხოლოდ კიბოს უჯრედებს ებრძვის და თითქმის არ აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს.

"ჩვეულებრივ, "ტელციტა" პასიური პრეპარატია, რომელსაც უშუალოდ სიმსივნის უჯრედები ააქტიურებენ. ის ერთგვარი ტროას ცხენივით მოქმედებს", - ამბობს კომპანია "ტელიკის" მთავარი აღმასრულებელი, დოქტორი მაიკლ ვიკი. იგი დასძენს, რომ გამოკვლევა ჯერ არ მისულა იმ დონემდე, რომ შეიძლებოდეს შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება, თუმცა წინასწარი შედეგები დიდ იმედებს უკვე იძლევა, რადგან გამოკვლევაში მონაწილე პაციენტების ორი მესამედი მაინც, ჩვეულებრივი ქიმიოთერაპიით მკურნალობისას ერთი წლის შემდეგ დაიღუპებოდა.

იმავე შეხვედრაზე ვიკმა გამოაცხადა კიდევ ერთი გამოკვლევის შედეგები. ამ გამოკვლევაში "ტელციტა" გამოიყენებოდა საკვერცხეების კიბოთი დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ.

პაციენტების 17 პროცენტს სიმსივნის ნაწილობრივი ან სრული განკურნება დაუფიქსირდა, 60 პროცენტის მდგომარეობა კი დასტაბილურდა.

გარდა ამისა, "ტელიკი" "ტელციტას" მკერდის კიბოთი დაავადებულ პაციენტებზეც ცდის. წამალი დღეისათვის საკვერცხეების კიბოთი დაავადებულ პაციენტებზე გამოცდის მთავარ საფეხურს გადის. ვიკი აცხადებს, რომ "ტელიკი" აშშ-ში "ტელციტას" კომერციალიზაციას მალე დაიწყებს, უცხოეთში კი კომპანია პარტნიორთან ერთად აპირებს მოღვაწეობას.

# "პეპელაცი", სახელად "ოქროს თვალი"

ამერიკულ კომპანია "აურორა ფლაით საიენსის" კონსტრუქტორებმა შექმნეს საფრენი აპარატი, რომელიც ქართველ (და არამხოლოდ ქართველს) კინომოყვარულს გიორგი დანელიასა და რევაზ გაბრიაძის ფილმ "ქინ-ძა-ძაში" "მონაწილე" საფრენ აპარატ "პეპელაცს" მოაგონებს. მთავარი კი ისაა, რომ "აურორას" საფრენმა საშუალებამ, სახელწოდებით "გოლდენ აი 100" (ოქროს თვალი - ამგვარი საფრენი აპარატის იდეა ბონდის ცნობილი სერიალის ამავე სახელწოდების ფილმიდანაა აღებული) უკვე გაიარა პირველი გამოცდები ვირჯინიის შტატის ქალაქ მანასასის სამხედრო აეროდრომზე.

ეს მანქანა რაღაცით დიდ კასრს მოგვაგონებს, რომელიც ორი წყვილი სტაბილიზატორით და საყრდენი "ფეხებითაა" აღჭურვილი. "პეპელაცისგან" განსხვავებით, იგი მოძრაობაში მოჰყავს არა გამოგონილ "გრავიცაპას", არამედ სრულიად რეალურ ორკონტურიან ტურბოვენტილატორულ ძრავს, რომლის როტორიც დაცული ცილინდრის შიგნითაა მოთავსებული.

ძრავი აპარატს ვერტიკალური წევით უზრუნველყოფს, რისი საშუალებითაც "ოქროს თვალი" მიწას წყდება და დიდი ხნით შეუძლია ჰაერში, ერთ წერტილში დაკიდება. გარდა ამისა, ფრთების მობრუნების შემთხვევაში, თუ ძრავი სრული სიმძლავრითაც ამუშავდება, შესაძლებელია ამ ფრთებით მანევრირება და, შესაბამისად, აპარატის ჰორიზონტალური გადაადგილება. ტელეკომპანია "ბიბისის" ცნობით, ამ აპარატის მართვა ხმელეთიდან ხორციელდება. თუმცა, გათვალისწინებულია მისი ავტომატურ რეჟიმში მართვაც.



კომპანია "აურორას" სისტემური ინჟინერი ჟან-ჩარლზ ლედე ამბობს, რომ "გოლდენ აის" შესწევს უნარი, გახდეს დღეს არსებულ საფრენ აპარატებს შორის ყველაზე მანევრირებადი უპილოტო საფრენი საშუალება. უპილოტო თვითმფრინავებს აშშ-ის სამხედრო დაზვერვა უკვე კარგა ხანია, იყენებს. კერძოდ, მსგავსი აპარატები ფართოდ გამოიყენებოდა ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ოპერაციების დროს როგორც სადაზვერვო, ასევე სამხედრო ოპერაციებში.

ლედე ამბობს, რომ "ოქროს თვალის" გამოყენება მეტწილად სამხედრო დაზვერვისთვის, ავარიული და სამაშველო სამსახურებისთვის იქნება მისწრება. მას ისეთივე შორ მანძილებზე შეუძლია ფრენა, როგორც ავტომატურ უპილოტო საშუალებებს, რომლებისგან განსხვავებით, მას ჰაერში ხანგრძლივად დაკიდების უნარი შესწევს. "ჩვენ საფრენი აპარატისთვის ტიპური დავალება იქნება დიდი სიმაღლიდან დაკვირვების და თვალთვალის წარმოება", - განუცხადა ჟურნალ "ნიუ საიენსს" ლედემ. ამასთან, მანვე დასძინა, რომ "აურორა" თავისი საფრენი აპარატის გამოცდებს 2004 წლისთვის დაასრულებს.

"ოქროს თვალი 100" სულ 68 კილოგრამს იწონის და ზომითაც თითქმის საშუალო ადამიანის ტოლია - მისი სიმაღლე სულ 1.7 მეტრს შეადგენს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 300 კმ/სთ-ია, ფრენის სიშორე კი 800 კილომეტრს აღწევს.

"აურორა" დღეისათვის მუშაობს "ოქროს თვალის" მინიატურული ვარიანტის შექმნაზე, რომელსაც ინდექსად 50 მიეწერება. ეს აპარატი "გოლდენ აი 100"-ზე თითქმის ათჯერ პატარაა.

**გვერდი მოამზადა მერაბ ლორთქიფანიძემ**

## მოდაშია ფრიდა კალო

მილანის მუზეუმი 8 თებერვლამდე მექსიკელი მხატვრის ფრიდა კალოს გრანდიოზულ გამოფენას მასპინძლობს. ხელოვნებათმცოდნეები ამ მნიშვნელოვან ექსპოზიციას მოდურობას აბრალებენ. ისინი აცხადებენ, რომ სელმა ჰაიეკის ფილმის "ფრიდას" დიდ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ მექსიკელი მხატვარი მოულოდნელად ძალზე მოდური გახდა.

თუმცა, ფრიდა კალოს მოულოდნელ პოპულარობას, ალბათ, დადებითი მხარე მაინც აქვს – ამ დიდი მხატვრის შემოქმედებას უფრო მეტი ადამიანი გაიცნობს. მილანელებს კი, მართალია, მოდურობის გამო, მაგრამ მაინც შეეძლებათ მისი ნამუშევრების დათვალიერება.

## მადრიდში კანდინსკის ნახატების გამოფენა გაიხსნა

ვასილი კანდინსკის ნახატების გამოფენა სახელწოდებით "აბსტრაქციონიზმის წარმოშობა", ესპანეთის დედაქალაქში გაიხსნა. გამოფენა წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ მოვლენად შეფასდა, რადგანაც აქ წარმოდგენილი კანდინსკის ნახატების უმრავლესობა, აქამდე ველასკესისა და გოიას სამშობლოში არასოდეს გამოფენილა.

ექსპოზიცია წარმოდგენილია ხუანა მარჩას ფონდის შტაბში, რომელმაც გამოფენას გაუწია სპონსორობა. ამ ფონდმა კანდინსკის ნამუშევრები მადრიდში 25 წლის წინათაც გამოფინა, მაგრამ იგი მხატვრის გვიანდელი პერიოდის შემოქმედებას წარმოადგენდა. ამჟამად მადრიდში ვასილი კანდინსკის მიერ 1900-1920 წლებში შესრულებული ნამუშევრები გამოიფინა. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ეძლევა თვალი ადევნოს თუ როგორ გადადიოდა თანდათანობით ფერწერის კლასიკური ფორმებიდან მის განუმეორებელ ავანგარდულ სტილზე. კანდინსკიმ სწორედ ამ პერიოდში მოახდინა რევოლუცია მსოფლიოს მხატვრობაში, ამდენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია მისი "კომპოზიცია ნომერი 7", აბსტრაქციონისტური სახვითი ხელოვნების მთავარ პუნქტად ითვლება. ისევე როგორც 10 სხვა ნახატი, "კომპოზიცია ნომერი 7", ესპანეთში ტრეტიაკოვსკის გალერეიდან ჩაიტანეს. სურათების უმრავლესობა რუსეთის პროვინციულ მუზეუმებშია შეგროვილი.

# სინდი კროუფორდის "მსუბუქი და ბუნებრივი ელეგანტურობა"

*მსოფლიო პარფიუმერიაში სიახლეა. Cosmopolitan Cosmetics-მა სინდი კროუფორდის ახალი, რიგით მეორე სუნამო გამოუშვა. რამდენიმე დღეა, რაც სინდი კროუფორდის Feminine "ისი პარის" პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელშიც გამოჩნდა.*

ირინე სანებლიძე

### შეუპოვარი სინდი

სინტია ანი, რომელსაც მსოფლიო სინდი კროუფორდის სახელით იცნობს, 1966 წელს ილინოისის შტატის ქალაქ დე კალბაში დაიბადა. ფსევდონიმი მან მას შემდეგ შეარჩია, რაც 16 წლისამ ჟურნალ „ელიტის" წლის მოდელის კონკურსში გაიმარჯვა. მძიმე და შრომატევადი გატაცების მიუხედავად, სინდიმ არჩევანი შეიცვალა და ქიმიის ფაკულტეტზე სწავლა სტუდენტობის პირველივე კურსზე შეწყვიტა.

შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა. მალე ის ჟურნალ "ვოგის" ამერიკული გამოცემის გარეკანზე გამოჩნდა. შეუპოვარი სინდი ძნელ სამუშაოს არ ეპუებოდა, და შედეგმაც არ დააყოვნა. სინდის სამოდელო წარმატება დღითიდღე იზრდებოდა და მისი სახელი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. 1995 წლისთვის ის უკვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ მოდელად ითვლებოდა.

მოდელობის პარალელურად, სინდიმ თავისი შესაძლებლობის და პოტენციალის სხვა, მრავალმხრივი რეალიზებისთვის მაინც გამონახა დრო და ენერგია. ის წარმატებით განაგრძობდა სვლას - როგორც მოდელი და როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის სახე. სინდი, შვიდი წლის განმავლობაში MTV-ზე უძღვებოდა გადაცემას „სტილის სახლი". იგი უკვე ორი წიგნის („მაკიაჟის ხელოვნების შესახებ" და "სახის შესახებ") და ვარჯიშების მთელი სერიის ავტორია. სინდი კროუფორდის ვარჯიშების ვიდეოკასეტა მთელ მსოფლიოში გახდა პოპულარული და დიდი წარმატებითაც გაიყიდა.

მრავალი წარმატებისა და აღიარების მიუხედავად, სინდი კროუფორდისთვის უმთავრეს ღირებულებებს მაინც ყოველთვის ოჯახი და მეგობრები წარმოადგენდნენ. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ სინდიმ რიჩარდ გირი სწორედ თავის ბავშვობის მეგობართან გაიცნო, რომელიც მოგვიანებით თავად გახდა სინდის მეუღლე. მრავალი კლუბის მეპატრონესთან, უმდიდრეს რენდი გერბერთან ერთად სინდი ახლა კალიფორნიაში ორ შვილს ზრდის და პროფესიულ განვითარებასაც ახერხებს.

მართალია, 37 წლის სინდი უკვე რამდენიმე წელია, რაც პოდიუმზე აღარ ჩანს, მაგრამ ფოტომოდელის კარიერას ის კვლავ წარმატებით აგრძელებს. მასთან თანამშრომლობას არ წყვეტენ მსოფლიოში ცნობილი მოდის ჟურნალები "ბაზაარი", "ვოგი", "კოსმოპოლიტენი". სინდი, როგორც მოდელი, აქტიურად თანამშრომლობს ელენ ტრეისისთან. სინდი კროუფორდი წლების განმავლობაში "რევლონის" და "პეპსის" შეუცვლელი სახე იყო. როგორც ჩანს, ძვირფასი საათების რეკლამისთვის ვერც „ომეგამ" შეარჩია სინდი კროუფორდზე მომხიბლავი ქალბატონი.

აქტიურ და შეუპოვარ სინდისთან თანამშრომლობს კომპანია "კოსმოპოლიტენ კოსმეტიქსი", რომელმაც სინდის უკვე ორი სუნამო გამოუშვა. 2002 წელს დაწყებული ეს საქმიანობაც სინდისთვის წარმატებული აღმოჩნდა. ოქტომბრიდან მსოფლიო პარფიუმერიის ბაზარზე სინდი კროუფორდის ახალი, რიგით მეორე სუნამო გამოჩნდა.

### ახალი სუნამო - CINDY CRAWFORD FEMININE

CINDY CRAWFORD FEMININE - სინდი კროუფორდის ცხოვრების სტილის შთაგონებით შეიქმნა. სუნამო შეფასებულია, როგორც "მსუბუქი, ბუნებრივი ელეგანტურობა", რომელიც წარმოადგენს სინდის ერთ-ერთ მთავარ თვისებას. ცნობილია, რომ სინდი თავის გარშემო საოცრად ბუნებრივ აურას ქმნის. ის ასხივებს შინაგან სიმშვიდეს, ძალასა და სინაზეს, სილამაზესა და ინტელექტს, დახვეწილობასა და ბუნებრიობას, თავაზიანობასა და პატიოსნებას. სწორედ მისი ხასიათისა და თვისებების გამო, ახალი სუნამო გამოხატავს ერთგვარ პატივისცემას სინდი კროუფორდის მიმართ.

სინდი სუნამოს არომატის შექმნის თითოეულ ეტაპზე იღებდა მონაწილეობას და ეს არომატის ფილოსოფიასაც აშკარად ეტყობა. სინდის მსგავსად, ეს არომატიც, თითქოს, ასხივებს სითბოსა და ბუნებრივ სილამაზეს.

სუნამოსთვის გამოყენებულია ჟასმინის, ფრიციას, ხევარდის (გარდენიას), ბერგამოტის, შავი პილპილისა და მკვახე ვაშლის არომატი. ასევე წარმოდგენილია ამბრის, სანდალოზის ხის, სამხრეთამერიკული იშვიათი და ძვირფასი წითელი ხის არომატი.

იმის გათვალისწინებით, რომ სინდი თანამედროვე, სადა და დახვეწილ საგნებს ანიჭებს უპირატესობას, ფლაკონის დიზაინიც სწორედ ასეთი მსუბუქი ელეგანტურობითაა შექმნილი.

სინდის ახალი სუნამოს სარეკლამო ფოტო გადაღებულია კალიფორნიაში, მალიბუს სანაპიროზე, სადაც სინდი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და ამიტომაც გამოიყურება ასე ბუნებრივად. "სანაპიროზე, სადაც გარემოცული ხარ ასეთი დიდი ძალითა და სილამაზით, შეიძლება იყო ბუნებრივი და ნაკლებად მორიდებული",- ამბობს სინდი კროუფორდი. მას იმედი აქვს, რომ სუნამო გათავისუფლებისა და განახლების ეფექტს შექმნის.




*სინდი სუნამოს რეკლამისთვის საუკეთესო საშუალებაა.*

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*14 ოქტომბერი*

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი „ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ბუნება **18.45** პერეკროსტოკი **19.15** დოკ. ფილმი „ჯაზი" **19.45** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ. ფილმი „ჩიკაგო". მთ. რ-ში: კეტრინ ზეტა-ჯონსი, რიჩარდ გირი.

### პირველი არხი

**09.00** „სვეტიცხოვლობა" (ტრანსლაცია მცხეთიდან) **13.30** ანსამბლი „საგალობელი" **14.30** მოკლ. მხ. ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა" **15.00, 20.00** მოამბე **15.15** მხ. ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა" **17.45** მულტსერიალი „კიტუ" **18.00** საქართველო და გარე სამყარო **18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.35** „სათავეებთან" **22.15** მოკლ. მხ. ფილმი „ქვევრი" **22.50** ტალანტები და თაყვანისმცემლები **23.45** მოამბე **00.00** მხ. ფილმი „იშვიათი ფრინველები".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჩვილი" მთ.რ-ში ბრიუს უილისი, სპენსერ ბრესლინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** „ბრავო" „ხელგაშლილი ცხოვრება" მთ.რ-ში კეტლინ რობერტსონი, ჯონათან შეკი. **01.40** „ღამურა" „ეჭვის ქვეშ" მთ.რ-ში ჯინ ჰეკმანი, მონიკა ბელუჩი. **03.00** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** „ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები" **19.00** სერიალი „მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **20.45** მხ. ფილმი „ვამპირები" **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი „ქალაქის პოლიცია".

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „საბოტაჟი" **21.00** ისტორიანი **21.30** დოკ. ფილმი „ელისაბედ დედოფალი-ოქროს იუბილე" **22.10** მხ. ფილმი „ტუჩები განვადებით".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „ნიქსონი" **15.00** მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ.ფილმი „შფოთის თავები 2" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ბორნის პიროვნების საიდუმლო".

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია" **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „ლურჯი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ."თეთრი" **00.55** მუსიკა.

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება" 1-ლი ს. **11.30** მხ. ფილმი „დიდი იმედები" **13.15** დოკ. ფილმი „დევიდ გრიფიტი-კინოს მამა" 1-ლი ნ. **14.00** მულტფილმი „უმცროსი დრაკულა" მე-7ს. **14.50** „ოსტატი" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი „ღამის ექიმები" **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი „ღამის ექიმები" **20.00** „ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი „მოჯადოება" **22.20** „ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმები „ავტოსამრეცხაო", „მტაცებელი ფრინველი", „ბუშტი" **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „ასეთია ცხოვრება".

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.05** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის" დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი" **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „გაიხსენო ყველაფერი" **15.15** მხ. ფილმი „ბადრაგი" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.50** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **20.15** ლარის მახე **20.40** დროებითი ზღვარი **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო „მახეში გაბმული".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი „ჰაერის მეფე" **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „დაცემის სიჩქარე" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მელოდრამა „მიწიერი სურვილები" **15.45** მუსიკა **16.20** მულტსერიალი „ტომი და ჯერი" **17.30** კომედია „თქვენი არჩევანი მადამ" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.15** მხატვრული ფილმი „ადამიანები შავებში-1" **21.50** „გალერეა" **23.00** Пресс-папье **23.05** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** კომედია „წმინდანი" **02.50, 05.50** მუსიკა **03.40** ისტორიული ფილმი „ალექსანდრე დიდი".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა" **09.35** „ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** მელოდია **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი „გრაფინია დე მონსორო" მე-10 ს. **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია. **18.20** აუდიო - ვიდეო- ტელე **19.00** „აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** მელოდია **21.05** „ავტოტრეკინგი" **22.05** მობილურები **22.50** „კინოკლუბი" - „მთიელი". სათავგადასავლო. რეჟ: რასელ მალკაჰი. როლებში: ქრისტოფერ ლამბერტი, შონ კონერი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი „ვარსკვლავური კარიბჭე" მე-18ს. **01.30** კომპიუტერული ტექნიკა.

### ОРТ

**07.00** „Доброе утро!" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 10.20 Худ.фильм „Эпоха вероломства" 12.00** Док.фильм „Охотники за уликами" **12.40** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом" **13.20** „Город женщин" **14.00 Детектив „Бухта смерти" 16.20, 01.50** „Фабрика звезд 3" **16.40** „Ералаш" **17.00 Сериал „Берег мечты" 18.00** „Большая стирка" **19.30** „Кумиры". Т.Синявская **20.50 Худ.фильм „Убойная сила: Последний причал" 22.00, 00.30** „Время" **22.30 Худ.фильм „Спецназ" 23.40** Док.фильм „Маркус Вольф. Главный разведчик восточного блока" **00.50** „На футболе" **01.20** „Сканер" **02.10 Триллер „Вторжение похитителей тел" 04.20 Худ.фильм „Нюрнбергский процесс".**

### РТР

**06.00** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Каменская 3" 10.45** „Не скуЧАЙ!" с М.Евдокимовым **11.50, 14.50, 17.25, 01.15** „Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.50 Сериал „Баязет" 15.30** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.30 Сериал „Леди Бомж" 18.10 Сериал „Бандитский Петербург" 19.10 Мелодрама „Ундина" 20.00 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **23.00 Сериал „Баязет" 00.00** „Вести+" **00.20** „Покушение на покойника" **01.30** „Народный артист" **01.40 Триллер „Сердце Ангела" 04.00** „Дорожный патруль" **04.15 Сериал „Ангелы Чарли" 05.10 Сериал „Волны перемен".**

### НТВ

**07.00** „Утро на НТВ" **09.50 Сериал „Черный ворон" 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Их нравы" с Дм. Захаровым **12.15** Ток-шоу „Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** „Сегодня" **13.30 Комедия „Второе я" 15.35** „По праву" **16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Как сказать начальнику - нет!" **18.30 Сериал „Кодекс чести", 7 с. 19.35** Территория выживания **20.35, 01.05 Сериал „Улицы разбитых фонарей 4" 21.40 Сериал „Черный ворон", 21 с. 23.00** „Страна и мир" **23.35** „Красная стрела" **23.50 Сериал „Клиент всегда мертв", 5 с.11.00** „Сегодня утром" **11.25** „Их нравы" с Дм. Захаровым **12.15** Ток-шоу „Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** „Сегодня" **13.35 Комедия „В бреду" 15.35** „По праву" **16.35** Ток-шоу „Принцип „домино". „Седина в бороду - бес в ребро" **18.30 Сериал „Кодекс чести", 2 с. 19.35** „Территория выживания" **20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4" 21.45 Сериал „Черный ворон" 23.00** „Страна и мир" **23.35** „Красная стрела" **23.50 Сериал „Клиент всегда мертв", 2 с. 01.05 Сериал „Улицы разбитых фонарей" 02.35** „Гордон" **03.35** „Кома: это правда".

# მადონა საზოგადოებრივ წესრიგს კვლავაც არ იცავს



ბრიტნი სპირსისა და მადონას ამბორი

იყო დრო, როცა მადონა ფიზკულტურისა და ფიზიკური ვარჯიშების მომხრე იყო. პირად ტრენერთან კარლოს ლეონთან რომანისა და მისი გოგონას ლუდრესის დაბადების შემდეგ, პოპ-სცენის დედოფალი შეხედულებებსა და ცხოვრების პრინციპებს იცვლის. მადონა იოგამ გაიტაცა. მიატოვა ტრენაჟორები, დილაობით სირბილი და მთლიანად ასანის შესრულებაზე გადაერთო.

თუმცა, იოგა მისთვის არასკმარისი აღმოჩნდა. ნახევარი წლის წინათ მადონამ თავისთვის კაბალი აღმოაჩინა, რის შემდეგაც თავის ახალ გატაცებას აქტიურ პროპაგანდას უწევდა.

გავლენიანი რაბინი შმულ ბოტეხი თვლის, რომ მადონას მიერ დემონსტრირებული დამოკიდებულება მხოლოდ ავნებს იუდაიზმს, როგორც რელიგიას. ვარსკვლავი, ორი შვილის დედა, ინტერვიუებში იმ საიდუმლოებებს ახმაურებს, რელიგიურ მიმდინარეობაში ისეთ საკითხებს ახმაურებს მთელი მსოფლიოსათვის, რისი გამოაშკარავებაც სასტიკად აკრძალულია. ამასთან იგი ამტკიცებს, რომ კათოლიკედ რჩება და კაბალა მისთვის მხოლოდ გატაცებაა, შესაძლოა სერიოზული. წმინდა ტექსტებთან მსგავსი დამოკიდებულება, რაბინის აზრით დაუშვებელია. "გარყვნილი პოპ-ვარსკვლავის მიერ წმინდა სწავლების პროპაგანდა, საყოვალთაო დაცემის მანიშნებელია", - ამბობს შმულ ბოტეხი.

# ამერიკაში მაიმუნების კინოში გადაღების აკრძალვას მოითხოვენ



მაიმუნი კვლავაც პოპულარული თემაა

ისინი ეწევიან სიგარებს, ეკიდებიან ქალზე და მშვენივრადაც სრიალებენ "გორგოლაჭებით". ტარზანის გამოსვლის შემდეგ შიმპანზეს აქტიურად იყენებდნენ კინოში, მოგვიანებით - ტელეგადაცემებში, ბოლოს კი მაიმუნები აქტიურად გამოჩნდნენ რეკლამაშიც - უტყუარი საშუალებაა ხალხის გასაცინებლად.

მაგრამ, ამჯერად მაიმუნს სცენიდან მოხსნას უპირებს აქტივისტების დაჯგუფება, ცნობილი მკვლევარის ჯეინ გუდალის თაოსნობით. ჯეინ გუდალი ორგანიზაცია Chimpanzee Collaboratory-სთან ერთად აპირებს, დაარწმუნოს ჰოლივუდი, რომ აიკრძალოს მაიმუნების მსახიობებად გამოყენება.

"შიმპანზეს, ადამიანების ყველაზე ახლო ნათესავს ცხოველებს შორის, ადამიანთან მიახლოებული გრძნობები და აზრები აქვს, - ამტკიცებს გუდალი, - მოვიდა დრო, რომ ბოლო მოეღოს იმ არსებების ბოროტად გამოყენებას, რომლებსაც ექსპლუატაციას მხოლოდ იმის გამო უწევენ, რომ ძალიან გვგვანან ჩვენ". იმისათვის, რომ შიმპანზე მსახიობად აქციონ, ამტკიცებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები, მას თავიდანვე აშორებენ დედას, რის შემდეგაც ისინი ძლიერი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

აქტივისტები აპირებენ, გამოაქვეყნონ მასალა, რომელიც მკვლევარმა სარა ბეკლერმა მოიპოვა. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში ინკოგნიტოდ დაიარებოდა მალიბუში, სადაც ერთ-ერთ დაწესებულებაში მაიმუნებს ჰოლივუდისთვის წვრთნიან. ბეკლერი ამბობს, რომ მომთვინიერებლები გამუდმებით სცემენ შიმპანზეებს, მხოლოდ იმისათვის, რომ არტისტული ტრიუკების შესრულებაში დაასტატონ.

"ეს ნონსენსია, – აცხადებს სიდ ოისტი, იმ კომპანიის მფლობელი, რომელიც მაიმუნებს ჰოლივუდისთვის წრთვნის, - შიმპანზეებს სიყვარულით ათვინიერებენ და ისინი ძვირფას სასტუმროებში ცხოვრობენ. თანაც, სმოკინგში გამოწყობილი შიმპანზე შესანიშნავად გამოიყურება".

# გოთიკა ინგლისურად

ლონდონში, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში გახსნილი გამოფენა შუა საუკუნეების ინგლისის ხელოვნებას წარმოადგენს. შავი ქსოვილით გაწყობილ დარბაზებში 300-ზე მეტი უძვირფასესი ექსპონატია წარმოდგენილი: მახვილები, საბრძოლო აღჭურვილობა, ქანდაკებები, ნახატები, სამკაული, სამეფო კარის ცხოვრების ამსახველი ნივთები. ამ გამოფენის სახელწოდებაა "გოთიკა. 1400-1567 წლების ინგლისის ხელოვნება".

გამოფენის წყალობით დამთვალიერებელი თითქოს იმ დროში ამოჰყოფს თავს: აქ რიჩარდ III-ის დღიურის წაკითხვაც შეიძლება და ჰენრიხ VIII-ის აღჭურვეილობის ნახვაც, ჯერ კიდევ იმ დროინდელისა, როცა ორი მეუღლის სისხლით ჰქონდა ხელები დასვრილი. აქვეა მებრძოლი ჰენრიხ V მუზარადი, მახვილი და ფარი. მარგარიტა იორკელის პატიოსანი თვლებითაა მოოჭვილი გვირგვინი – ეს ნივთი 500 წლის განმავლობაში გერმანიაში ინახებოდა.

გამოფენა შუა საუკუნეების ყოფის ყოველ ასპექტს მოიცავს – საბრძოლო ხელოვნებით დაწყებული და სუფრის კულტურით დამთავრებული. მნახველი საკუთარი თვალით იხილავს, თუ როგორ დასტიროდნენ იმხანად მიცვალებულებს და როგორ განადგურდა ტაძრები და მონასტრები ჰენრიხ VIII დროს.

თუმცა, ექსპოზიცია მხოლოდ ინგლისზეა კონცენტრირებული, ის იმ ხანის დასავლეთევროპული ყოფის შესახებაც იძლევა წარმოდგენას. მრავალი ობიექტი ნიდერლანდელი და ფრანგი ოსტატების ნახელავია, და თვალნათლივ ჩანს, რომ მაშინ, როცა ინგლისში გოთური სტილი იყო გაბატონებული, იტალიელები იმ დროისთვის შედარებით ნატურალისტურ ხელოვნებას ქმნიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ იმ ეპოქაში ინგლისელები ძალიან მდიდრები იყვნენ და თამამად აძლევდნენ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ რენესანსული ხელოვნების ნიმუშები კონტინენტზე შეეძინათ – ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში ეს ექსპონატებიცაა წარმოდგენილი. ასეთია, მაგალითად, ორი ნატურალური ზომის მამაკაცის ბიუსტი – ერთ-ერთი მათგანი ჰენრიხ VII გახლავთ.

ცალკეული ეგზემპლარების წარმოშობა გაურკვევლია, მაგალითად, პატიოსანი თვლით დამშვენებული ოქროს თილისმისა, რომელიც 1985 წელს შემთხვევით იყო ნაპოვნი. თილისმას საიდუმლო განყოფილება აქვს და უკანა მხრიდან მაგიური წარწერითაა შემკული.

გამოფენა 2004 წლის 18 იანვრამდე გასტანს.

# R.E.M

# სეზონს ხსნის



ცნობილი გახდა, რომ ჯულს ჰოლანდის პოპულარულ ბრიტანულ ტელეშოუს Later ამერიკული სუპერჯგუფი R.E.M გახსნის. ტრიომ უკვე დაასრულა მუშაობა ალბომზე In Time და გადაწყვიტა, ტელეშოუში მონაწილეობით ახალი სეზონის დასაწყისი გამოაცხადოს. რაც შეეხება ჯგუფის ახალ დისკს, მისი შეძენა 27 ოქტომბრიდან იქნება შესაძლებელი.

ტელეშოუში R.E.M ახალ სინგლს - Bad Day წარადგენს. ამერიკელ მუსიკოსებთან ერთად საკუთარ გადაცემაში ჯულს ჰოლანდი ელოდება პოპულარულ ინგლისელ მომღერალს ჯამელიას. ასევე გამოჩნდება იოკო ონოც, რომელიც საზოგადოებას DVD-ს სახით წარუდგენს გარდაცვლილი მეუღლის ცხოვრებიდან ამოკრებილ ვიდეო-მასალას სახელწოდებით "ლენონი ლეგენდა".










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.